



მანთულა მედიკუმები

სრ. საქართველოს სამკითხველ მწიგნობის ფუნქციონის
ყოველთვიური ჟურნალი

საქართველოში



ს ა კ რ ი ლ ი — 1 9 2 9
თბილისი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

617 719
F
1929

პასუხისმგებელი რედაქტორი სიმონ ხუნდაძე

ხარედაქციო კოლეგია

- ბ. ბუაჩიძე
- ვ. კოტეტიშვილი
- ტიციან ტაბიძე
- ლევო ქიაჩელი
- მ. ასათიანი

პოეზიის დღე

5 მაისი ჯერ მწერალთა კავშირისაგან და ეხლა საბჭოთა მწერლების ფედერაციისაგან დადგენილია პოეზიის დღეთ. ამ დღეს ქართული მწერლობა ანგარიშს აბარებს თავის თავს და მკითხველთა მასას, თუ რა ხდებოდა ამ წლის განმავლობაში მწერლობაში, როგორ ეხმაურებოდა მწერალი საზოგადოებრივობას და რა მიღწევა და რა ნაკლი აქვს.

წინათ პოეზიის დღეს მარტო მწერლობა დღესასწაულობდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ხუთი მაისი საზოგადოთ ბეჭედითი სიტყვის დღეა და მწერლობა ამ უზარმაზარ ფრონტზე მხოლოდ ერთ რაზმს წარმოადგენს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ რომ მწერლობას ახალი ძალები ემატება, გამოსული მუშათა ფენებიდან: მუშაკორთა, გლეხკორთა, ახკორთა, სამხკორთა და სხვათა სახით: მთავარი სწორეთ ეს არის დამახასიათებელი, რომ საგრძნობლად იზრდება მწერლობის კადრები, მწერლობა ხდება მასსიური და მწერლობის პროფესიაც მისაწდომი ხდება იმ ფენებისთვის, რომელნიც წინათ სოციალურ უკუღმართობის წყალობით გარიყულნი და განწირულნი იყვნენ ამ სოციალურმა გადაჯგუფებამ თავისი ბეჭედი დაასვა მწერლობასა და მწერლობის ამოცანებს, გაამდიდრა ახალი შინაარსით და დანიშნულებით.

ეხლა მწერლობა საგრძნობი ძალა ხდება კულტურულ რევოლუციის ფრონტზე და მისი ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება.

ზრდის პროცესში იხსნება მტკივნეული ადგილი და საზოგადოთ ქარიშხლიანი ეპოქა მწერლობასაც სთხოვს ტემპის შეცვლას და გარდაქმნას.

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დამახასიათებელია საკავშირო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქცია, რომელიც მოითხოვს აგრეთვე ხელოვნების რეკონსტრუქციასაც, რადგან ცხოვრებამ მათ შორის დაამყარა ორგანიული კავშირი.

მწერლობა, რომელსაც უნდა თავის ეპოქის გამომხატველი იყოს, ამ გზას ვერ ასცდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის მოდუნება და მოკვეთა, ამიტომ მწერლობის მიღწევაც სწორეთ ამ ხაზით უნდა გაიზომოს.

აქ უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობა მთლიანათ ერთნაირათ ვერ ეგუება ახალ პირობებს, რამდენადაც ახალი თაობა, რომელიც დაიბადა ოქტომბრის შემდეგ დაბადებითვე ჩამბულია ამ ცხოვრებაში, იმდენათ ოქტომბრის წინანდელ მწერლობას უხდება ტრადიციის გადატეხა, ახალი გზებისა და კავშირის ძიება თანამდროვეობასთან, რომ შესძლოს მისი შესისხლხორცება.

აქ კი ზოგჯერ მარტო სურვილი არ კმარა, საჭიროა გამძლეობა, ალღო, და სწორი გეზისა და მიმართულების აღება.

მაგრამ ამ დაბრკოლებასთან ერთად ამ მწერლობას აქვს ერთი უპირატესობა, მისი მწერლობის კვალიფიკაციის სიმაღლე, ოსტატობის მეტი სტაჟი, მწერლობის იარაღის, ენის მეტი ცოდნა;

უეჭველია მწერლობა, რომელიც დაიბადა ქარიშხალში და ცეცხლში, რომელიც რევოლუციის სწრაფი ელვით არის ანთებული ვერ გაივლიდა ბუნებრივათ ოსტატობის ამ მძიმე პერიოდს და მას უხდება ორმაგი მუშაობა, რომ გაუთანასწორდეს ძველ თაობას ოსტატობაში, აქ მიზნათ დასახულია არა მარტო გათანასწორება, არამედ გასწრებაც, ასეთი ტემპი აღებულია აგრეთვე ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, ამავე ლოზუნგით, რომ საბჭოთა მეურნეობამ დაეწიოს და გაუსწროს ინდუსტრიის ტემპით კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას რომ წინა თაობის ოსტატობა და ცოდნა ჩვენ ეპოქაში მარტივათ იქნეს გამოყენებული, პირიქით სწორეთ ამ თაობას მეტი შრომა აწევს თავზე გადატეხოს ძველი ფორმა და შეუფარდოს ეპოქის სუნთქვას, რადგან ახალი სოციალისტური სამყარო ახალ ფორმას მოითხოვს ასახავათ და გამოსათქმელათ.

ამის გარდა ქართული ენის ნორმები არც წინათ ყოფილა ჩამოკვეთილი და ჩამოქნილი, და აქ მწერლობას უხდება ზოგჯერ საერთო მემკვიდრეობით დაყოლილი სენის გადალახვა.

ამ მიმართულებით საჭიროა საერთო ფრონტის გაშლა და სწორეთ ამ გასულ წელს ეს საკითხი მეტათ აქტიურათ იდგა.

საკითხი დაისვა ხელისუფლების სათავეში მდგომ პირებისგან და გადავიდა სადისკუსიოთ მწერლობაში, განზრახულია ქართული ენის მცოდნეთა კონგრესის მოწვევა, რომ დაკანონდეს ენის ნორმები, წინასწარ მუშაობას ეწევა საქართველოს ცაკ-თან არსებული კომისია, რომელიც აგროვებს მასალებს ამ კონგრესისთვის: საზოგადოთ კვალიფიკაციის აწევა და სწავლის ლოზუნგი საერთოთ ქართულ მწერლობისთვის, განურჩევლათ თაობისა და მიმართულებისა— დიდხანს კიდევ დარჩება აქტიურ ლოზუნგათ, რადგან ბევრია გასაკეთებელი და ერთი ორი წელი ვერ ამოავსეს იმ ხრამს, რომელიც ბოროკავს მწერლობის განვითარებას.

დამახასიათებელია აგრეთვე სოციალისტურ ქვეყანაში თვით მწერლობის ბაზისის საკითხი.

ინტერნაციონალური შინაარსით და ნაციონალური ფორმით — ასეთია ლოზუნგი ახალი კულტურისა, მაგრამ ჯერ ეს კიდევ ლოზუნგია, ამას სჭირია ხორცისა და სისხლის შედუღება, ამას სჭირია ლიტერატურული ფაქტებით გამაგრება, და რამდენადაც ეს ლოზუნგი ახალია, იმდენათ მოსალოდნელია გადახრა და ძველის რეციდივიც რომელიც უნდა გაასწოროს საღმა და მიუღვომელმა ამხანაგურმა კრიტიკამ.

გამწვაებას შეუძლია საქმე გამოკეთების მაგიერ გაათუქოს კიდევ, მით უმეტეს, რომ მწერლობას შეცდომა აუცილებლათ ექნება, რადგან არა თუ მწერლობა, რომელიც მაინც და მაინც ვერ დაიჩემებს დიდ პოლიტიკურ ცოდნას, არამედ ბრძოლაში გამოცდილი და ნაწირობი ხალხიც იჩენს ზოგჯერ სულმოკლეობას და პანიკას და პარტიას უხდება ბრძოლა კაპიტულიანტებთან და ლიკვიდატორებთან.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა ასეთ შემთხვევაში ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ უკრაინის კვირას. მოსკოვში მოწვეულ იქნა მთელი რიგი უკრაინის მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა, რომ გამოენახათ საერთო ენა რუს ამხანაგებთან, თანამშრომლობის საკითხში.

ამ დელეგაციის ჩასვლამ მოსკოვში დიდი როლი ითამაშა, ორი მოძმე ხალხის წარმომადგენელნი ერთიმეორეს გაეცნენ და გამოიმუშავეს საერთო მუშაობის გეგმა, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ამ დაახლოვებამ თავისი ნაყოფი გამოიღო, და შემუშავდა სისტემა საკავშიროერთა შორის თანამშრომლობისა.

რუსეთში და უკრაინაში დღე არ გავა არ გამოვიდეს ახალი წიგნი, სადაც მწერლები თარგმანებში ეცნობიან მეზობელ მწერლებს, წინათ რასაკვირველია ეს შეუძლებელი იყო, რადგან არა თუ მეფის მთავრობა, არამედ კერენსკის უღლეური დროებითი მთავრობაც ვერ ინელებდა რუსეთში შემავალ ერების ეროვნულ თვითგამორკვევას.

ყველას ახსოვს, როგორი რიხით ექაღნებოდა ჯამბაზი კერენსკი უკრაინას 1917 წელს ავტონომიის მოთხოვნისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ქართველ მწერალთა ფედერაციასაც დაეტყო გამოცოცხლება, ამ ორი წლის წინათ აღძრული იყო საკითხი კავკასიაში მოსახლე ერების კულტურულ დაკავშირებისა, განზრახული იყო დელეგაციების დაგზავნა: ტფილისში, ერევანში, ბაქოში.

წელს ეტყობა ეს საქმეთ იქცა. სომეხ მწერლების მიწვევით ქართველ მწერალთა დელეგაცია მაისის ბოლო რიცხვებში მიემგზავრება ერევანში: ამ ფაქტს დიდი ნიშნელობა ეძლევა, რადგან ყველას ახსოვს, როგორი გამწვავებული იყო წინათ ეროვნული შუღლი კავკასიაში, რასაც არა ერთხელ მოყოლია ხოცვა-ჟლეტა და ხშირათ აშკარა ომი.

საერთოთ ქართველ ხელოვანთა პოლიტიკურ მუშაობაში ჩარევა, რაც გამრიხატა მწერლებისა და თეატრის მოღვაწეთა საკანონმდებლო ორგანოებში არჩევაში, კიდევ მეტ გარანტიას იძლევა, რომ ხელოვნება დაუახლოვდება მასსებს და ორგანიულად ჩაებმება ცხოვრების ამშენელობაში.

თავის პირდაპირ მიზნების გარდა მწერლობა აგრეთვე მოწვეულია დაეხმაროს ხელოვნების სხვა დარგებსაც და აქტიური როლი ითამაშოს ახალ მასიურ ხელოვნებისთვის ბრძოლაში.

აქ უმთავრესია თეატრის საკითხი: ახალი მასიური თეატრი მოითხოვს ახალ რეპერტუარს, სადაც მოცემული იქნება ახალი ყოფა და საზოგადოებრივი ურთიერთობა და აქაც მწერლობა პირველ რიგში უნდა იყოს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მწერლობა თავის სიმალლეზე იდგეს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ აშკარა გარდატეხას, მწერლობამ იბრუნა პირი თეატრისკენ და უნდა მოველოდეთ საგრძნობ შედეგებსაც მივიღებთ.

მაგრამ უმთავრესი მიზანი მწერლობისა, მაინც არის მასიურ მკითხველთან დაკავშირება და დაახლოვება: არასდროს ხალხში არ ყოფილა ასეთი წყურვილი დაწაფებოდა მწერლობას და თეატრს: შეიძლება ითქვას, რომ გასული წელი ამ შემთხვევაში უფრო რეკორდის წელი იყო.

ეს წყურვილი კიდევ იმატებს, რადგან ხელოვნება თავის საქმეთ მიიჩნია მუშათა მასსებმა, და მწერლებს მართებთ გზა გაუხსნან თავიანთ ნაწერებს ახალ მკითხველებთან, და უშუალოთ დაუკავშირდენ მუშათა აუდიტორიებს.

სწორეთ ამისთვის ეწყობა პოეზიის დღე და ბეჭდვითი სიტყვის დღეც, და აქ საქმე გამოაჩენს მწერლობას და მის მესვეურებს.

რომ არ ყოფილიყო პოეზიის დღე დადგენილი წინათ, ეხლა უნდა დაედგინათ, ამიტომ საქიროა მისი ორგანიზაციული მოწყობა და ღირსეული ანიშვნა...

— : —

პოეტებს

(თვითკრიტიკა)

თუმცა თქვენთან ერთად ეს მეოცე წელიწადია,
რაც პოეზიის ნათელ ტვირთის მეც ვარ მზიდველი,—
მაგრამ მოგმართავთ, მეგობრებო, როგორც მკითხველი,
რომ ვთქვა, ამჟამად პოეტისგან თუ რა მწადია.
ერთ ღროს მომწონდა ლექსი უძლურ ცრემლით ნაბანი,
მხიბლავდა მწუხრის პოეზიის შავი მანტია.
ახლა-კი ვამბობ: როცა ირგვლივ ცეცხლი ანთია,
ბრძოლის მაგივრად ატირდება მხოლოდ ჯაბანი.
რა არის ლექსი, თუ არ გრძნობის აპოთეოზი?!
დასტენეთ მზიურ ენერგიით ყოველი სტროფი,
რომ წაკითხვის დროს სიხარულის გავარდეს თოფი
და სტრიქონებმა დაიყეფონ გულის თეოზე.
ნუ იხმართ სიტყვებს: სევდას, ქვითინს, ნიავს და სიოს,
როცა გრიგალი განახლების გრგვინავს გარშემო.
დღეს ჩვენს გრძნობაში ცრემლის შუქი ისე არ შევა,
ბრძოლის ხალისი და უნარი რომ არ დასწიოს.
მისდით ქუხილს. სხვა ტემისთვის დრო აღარ იცლის.
(სატრფოსთან ბრძოლა, უნდა ითქვას, არცა ღირს ომად!)
რკინის რითმებში დინამიტი ჩააწყეთ ბლომად,
მაგრამ... სტრიქონებს ნუ აკუწავთ ჰონორარისთვის.
თორემ არა ჩანს ლექსში ზომა არის თუ არა,
დგას რითმა ყალბზე, ან კუტივით წამოჩოქილი.
ყოველი

სიტყვა

ცალკე

გარბის

დამტოვხალ

ჯოგივით,

თითქო სტრიქონებს ორთქლმავალმა გადაუარა.

რათ გინდათ განგებ აურიოთ მკითხველს გზა-კვალი

და ყასაბივით ჰკეპოთ ლექსი გულასარევად!
მოლუნეთ სიტყვა ძარღვიანი, როგორც ბზაკალი,
მაგრამ სტრიქონმა დე იფრინოს მჭრელ ისარივით.
უმიზნეთ ერთად ყოველდღიურს და საუკუნოს.
ეპოქის გრგვინვით შეანგრიეთ ლექსების კარი.
მუგუზალივით ააცეცხლეთ ყოველი პწკარი,
რომ მთელმა ლექსმა ხანძარივით დაიგუგუნოს.
მოწმეა ძვრათა უდიდესთა ჩვენი თაობა
და მონაწილე გაუზომელ აღორძინების,
მაგრამ ლექსებში ხშირად ისმის ხმა მიძინების,
ან მეტიჩრული მკვეხარობის საცოდაობა.
გაზომეთ სიტყვა. სჯობს ქადილი მორიდებული.
ვის უნდა ლექსში ანაყვირი „აღმშენებლობა“,
თუ-კი თვით ლექსი ბანალობის ლაფში ეფლობა
და თავს აბეზრებს მკითხველს ურიცხვ შორისდებულთ?!
ნუ ჩამომართმევთ ამას, ძმებო, ჭკუის სწავლებად.
რჩევას უბედავს ცხრამეტ არწივს ერთი მერცხალი!
მე თქვენზე მეტი დამიღვრია ლექსების წყალი,
და მეხერხება დამპალ შტოზე ხელის წავლება...

1929. აპრილი.

— : —

როცა მერცხალი მონახავს ბუღეს

წითელ დროშებით
დახურულ ცას
ლალს და იაგუნდს.
პიონერების
დაფდაფებით
ამღერებულ გუნდს.
სოფლის სკოლაში
გოგო ბიჭებს
სკებათ შემუდრულს,
ახალ თაობის
სიმტკიცესა
და რკინის ურდულს.
დილის რიჟრაჟზე
გალვიძებულ
ქარხნის საყვირებს,
გლების მარჯვენას
და გალესილ
თოხის საპირეს.
მიხაკის ფერათ
მოელვარე
წითელ თავსაფრებს,
რიონში, მტკვარში,
ალაზანში
გემების აფრებს.
უდაბურ სამგორს
მტკვარის ტოტის
თხრილებით მორწყულს
ჭალადიდის ტბას—
სამეგრელოს
მოშუშებულ წყლულს,
ენგურის ხევში

დაქანებულ
ფიჭვების ტივებს.
ტირიფონაზე
ზღვათ მოვარდნილ
ბზესა და თივებს.
პურით და ღვინით
პირამდე სავსე
ბელლებს და მარნებს,
ცახიან ჩელტებს,
აბრეშუმის
პარკის ყაზარმებს.
მუხრანის ველსა,
თერგის სათავეს,
თუშებმა ცხვარი,
რომ გაუტყავეს
შესაწირავათ
ლომისს და ლაშარს.
სვანეთის მთებში
გაკაფულ შარას,
იალბუზს გვერდით
რომ დაიტოვებს.
სვანის ბარ-ნიჩაბს
და თაფლის კოდებს.
თურაშაულის
ვაშლის განთიადს
ქარი რომ ხეზე
აღარ აყენებს.
წინანდალს ჩაყრილს
ვაზის ნამყენებს.
ხევსურის ძროხებს,
ახტალაში
ჩაყრილ კამეჩებს,
მზე რომ უმიზნებს,
საფეთქელში
სიცხე აღენჩებს.
ალხისგან დამდნარს
ჯიქურა ცოცხებს,
გვიშბრას და დაფნას.

ჭოროხის პალმებს
და ჩამოხსნილ
ქალების ჩადრებს,
თუთუნის ნეშოთ
ოჯალეშით
სავსე ჩალვადრებს

* *
*

ფსულოს, ცოცხალს,
კაცს ადამიანს.
შირაქის ველზე
ბალახს ნამიანს.
რასაც ნაყოფით
მზე ვერ იცილებს
ოთარაანთ ქვრივის
კრიალა ეზოს
და ფიროსმანის
კრუხს და წიწილებს.
თავზე რძიანი
ქათათ დაღვრილი
ატმით და ტყემლით
ადვას აპრილი.
როცა ბუნება
უცბათ პოეტებს
ცეცხლის ნაღვერდალს
გულში ჩაუდებს,
როცა მერცხალი
მონახავს ბუდეს.
სიმღერა გმართებს
რომ იყო მკვდარი
მეც ამ სიმღერის
მთუთქავს ლადარი
და ეს პოემაც
ასე მზათ არი.
მაგრამ უნდა სთქვა
რომელი ერთი
რომ მოიშველო,
არც არი ღმერთი!..

აპრილი. 1929 წ.

პოემა საბჭოთა დღეებზე

სიმღერა პირველი

I

მზე დიდებული გადმოჰყურებს სამშობლო მხარეს,
კასპიის ზღვიდან თვით შავ ზღვამდე შრომის ხმებთა,
და ფართედ გაშლილ საბჭოების ფოლადის კარებს —
შრომის ხელები მეტ ხალისით დახარბებიან.
თითქო ეს არი, ჩაქუჩები აკვნესებული
აღარ ცხრებიან, გრიალებენ გრდემლების ზღვაზე,
და შრომის მხარეც, სამშობლოს მზეს დახარბებული
როცა თავს უყრის ლეგიონებს საყვირის ხმაზე, —
მიჰყავს უშიშრად იგი ახალ ცხოვრების გზაზე.

II

მაგრამ ყველას ხომ არ იზიდავს და არც ახარებს,
განახლებული ეს ცხოვრება ყოველ მხრივ რთული,
და სწორედ ამან შეაჯავრა ზოგს თავის მხარე,
უიმედობის კაეშანით დაუჭრა გული...
და ასე ბევრნი, დაშთენილნი ქვეყნის გერებად,
—საბრალონია, მათ სიცოცხლე გასტეხს თვით ქვასაც,
მაგრამ ცხოვრება ყველას ხომ ვერ მოეფერება,
არც ურემია, რომ ჩვენს დროში წინაპართ მზგავსათ —
უცადოს ძველი ადათებით დატვირთულ მგზავრსა.

III

იგი წინ მიდის, და ვინც რჩება ამ სწრაფ დინებას,
აღარ უცქერის მამობრივი მზრუნველი თვალით,
რადგან ხედავს, რომ ასეთ კაცის კვლავ აღტკინება —
არ შეიძლება შთაგონებულ ბრძოლების ალით.
და მე აქ მინდა, ამ პოემის ყველა სიმღერებს,

ავანთებინო ასეთ კაცის ყოველი მხარე,
ხომ სულ ერთია, განცდებიდან მიღებულ ბგერებს
ვერ შეაკავებს თავის შხამით ბოღმები მწარე,
თუ გულში ცეცხლი შთაგონების გუგუნებს ცხარე!

IV

აი, ეს გმირიც მეგობრებო, გული რომელის
სულ არ ღებულობს განახლებულ სამშობლო მხარეს.
და ერთ დროს ბრძოლის ჯადოქარი, დაუდგრომელი
დღეს რომ ქედ-მოხრით დგას ფიქრებში ჩაფლული მწარედ—
არის ირაკლი ორბელიძე; თავის მხარეში
იგი დადუმდა, და არაფერს კარგს არ მოელის,
მოსწყინდა ბრძოლა, გრიგალების სიავთარეშე,
და თავის მხარეს, სადაც გრგვინავს შრომა ცხოველი—
იგი უცქერის მწარე ღიმილს ვით უცხოელი.

V

გული უტირის, მაგრამ მაინც იჭერს თავს ფრთხილად,
არ უნდა ვისმეს, დაანახვოს ფარული გლოვა;
თითქოს დედასაც შუბლ შეკრული უცქერს გულგრილად,
ძველ ნაცნობებს და მეგობრებსაც ჩამოეფხოვა.
მაგრამ იმედი არ მოუკლავს, იმის ციმციმი,
როგორც შუქურა, კვლავ უნათებს სევდიან არეს,
უნდა რომ ერთხელ მაინც დასტოვოს მწარე ბოღმები
და შეუერთდეს განახლებულ სამშობლო მხარეს,
რომლისთვის ცრემლი დაუღვრია ბევრჯერ მას ცხარე.

VI

მაგრამ ჯიუტობს კერპი გული, ნებაც სულისა—
ისე შეეკრა, რომ დაუხშო სავალი გზები.
და მჭრელ თვალებში ეხლა, რომ კრთის ბრაზი და რისხვა
დანთებულია გულის ჯავრის ველური გზნებით.
ვით შეურიგდეს, მას რაც არ სწამს გულწრფელი გულით,
რაშიაც კიდევ არაფრით არ დარწმუნებულა!
და ეს კითხვები: უამრავი უცხო და რთული,
რომ მოიწევენ ვით საავდრო ღრუბლების ქულა—
გულის სიღრმეში გრიალებენ ბრალად და წყლულად.

VII

ამხანაგებშიც არავინ ჰყავს ისეთი კაცი —
მისცეს ნუგეში, გზა ახალი გააგებინოს,
და ასე ჩვენს გმირს, გულის კითხვებს ხელიდან აცლის,
უძილო ღამე, სარდაფები, ქალი და ღვინო.
მაგრამ სხვა რა ჰქნას, სულ ერთია, ესეც არ იყოს,
მას ეხლა თავი სულ არაფრად აღარა უღირს,
როცა ხედავს, რომ ცხოვრებამაც უნდა გარიყოს,
დაახრეფინოს მძლედ გაშლილი შტოები მუხის,
თორემ ეს არი, გამოგზავნის ჭექას და ქუხილს!

VIII

გული უკვდება, როცა ხედავს მზეც რომ ციალებს,
ახალ ცხოვრებას, რომ ჩაბმია ყველა მშრომელი,
და მომავალის გაჭედისთვის, რომ მძლედ ტრიალებს,
თავისი ჭვეყნის მანქანები დაუცხრომელი.
მაგრამ ვით კადროს საყვედური უამრავ მასებს,
როცა ის მოდის დაძაბული ძლიერ ჩქერებად
თავისი ძალის შეგნებით და ხალისით სავსე...
აქ, ჩვენს გმირს თვალზე მწუხარების ცრემლი ერევა —
და გრძნობს, რომ უკვე ეთხოვება ბედნიერებას.

IX

მან გადასწყვიტა, რომ დასტოვოს მხარე მშობელი
და თან წაიღოს თავისივე გულის იარა,
რომელიც ვეფხვზე სასტიკია და ულმობელი,
ბოლმით ავსებულ კაცის გულის თანაზიარად.
თავს ზედმეტად გრძნობს, და რომ ეხლა მკვდარია გულით,
უცხო მხარეში იქნებ მაინც არ გაჰყვეს წყევა.
თუმცა შავ-ბედით სამშობლოსგან გამოგდებული,
სადაც არ უნდა არ წავიდეს, არ ჰქონდეს წვევა, —
თავის ნაღველს და მწუხარებას ვერ გაექცევა.

X

მას სიყვარულმაც ცბიერებით მოუკლა ბედი,
ვინც რომ უყვარდა, ჩამოშორდა, სხვას გაჰყვა ცოლად,

და ეხლა ობლად დაშთენილი, მოხრილი ქედით
რალა აზრი აქვს დაუნდობელ შავ-ბედთან ბრძოლას.
და მიდის ეხლა, სულერთია, სადმე ხომ მივა,
იქნებ იპოვოს ერთი კუთხე მყუდრო და წყნარი,
თორემ აქ, თავის ქვეყანაში, სადაც, რომ სტკივა,
ყოველ სუნთქვაზე უბედობა სამშობლო მხარის,
როგორ იქნება, რომ დასძლიოს ნაღველი მწარე!

XI

უკვე მზად არის, არათერიც აღარ აკავენს,
იდუმალებით თავის სევდას გულში ალაგებს,
და ამ ბარგით ის, როცა მიდის გულში გრძნობს მწვავედ,
აღარც კაცია, აღარც ლანდი არც მოქალაქე.
მაგრამ ის მიდის, დე, გაიხსნას კარები გზისა,
ახალ ცხოვრებას, ის რათ უნდა ვინც რომ გაურბის?!
და ამ შეგნებით იტანჯება ირაკლი ისე,
რომ ნაოჭებით დასერილი ფრიალო შუბლი—
თითქოს გაუპეს მოქნეული მახვილი შუბით.

XII

თავის ძმასაც არ ეთხოვება გრძნობებით თბილით,
რადგან ძმა მისი, მებრძოლია ახალ ქვეყნისა,
და მიდის ასე უცხოეთში, გულჩათხრობილი,
არ სცნობს არავის, უკანასკნელ სალამის ღირსად.
მაგრამ ნაღველი, იმისა, რომ გაჭრილი ასე
საყვარელ მხარეს სტოვებს, როგორც უდაბნოს მწირი,
გულს უშფოთებს და უკანასკნელ ბოდვებით საესე,
მშობელ მიწაზე დაემხოება გრძნობებით თბილით,
და მიეცემა გულამოსკვნით ბავშივით ტარილს.

XIII

გათავდა წამი. მორჩა ოხვრას განშორებისა...
მას მიაქანებს ქშენით უკვე მატარებელი,
და როცა ხედავს ამწვანებულ ველებს ქართლისას,
კვლავ მდულარება სათუთ გულის იღვიძებს ძველი.
სტოვებს დიდუბეს, უკან რჩება არაგვი, მცხეთა,

და თვით ოცნება თეთრი მთები კავკასიისა.—
ძეგლი ნუგეშის წარსულის და მომავალ დღეთა...
მატარებელი კი მძლედ მიჰქრის, მზგავსად ტყვიისა,
თითქოს ვეფხვია დაუგეში ჰირკანიისა.

XIV

მას მიაქანებს ასე ბედი განრისხებული
თავის მხარიდან, უცხოეთში გადავარდნილი,
და ნაღვლიან გულს აღარ ახსოვს თავის ერთგული—
ყრმობის წუთები აბრეშუმის დღეებად შლილი.
მაგრამ ის მიდის, არა მიტომ რომ გულს ვით დანა,
სხვა ქვეყნების მზე მოახვედროს ცხოველ-მყოფელი,
არამედ მიტომ, რომ შესჯავრდა თავის ქვეყანა,
და თავის სევდა სიცოცხლეში ჩაუქრობელი
და ამ სევდასთან თავის მხარე, თავის მშობელიც.

15

აი, შორიდან აიმართა აჭარის მთები,
შავი ზღვის პირიც დგას ანკარა, როგორც რომ სარკვე:
და დიდ გემების აწეული, გაშლილი ფრთები—
შეუჩერებლივ ფრიალებენ ბათომისაკენ.
რა სურათია, რა საამო, ერთი მხრით ეს ზღვა,
და მეორე მხრით სალ ქედების გათლილი ტანი.
მაგრამ აქ, ხშირად ტრიალებდა წარსულში რისხვა,
როცა მას მტერი აყენებდა ჭრილობებს დანით.
აი, ეს მხარე არის ძმებო, აჭარისტანი.

XVI

უკვე მზად არის ჩვენი გმირიც, გემის აფრები,
ვით გედის ფრთები ფრიალებენ ანძების ზევით;
ხოლო ირაკლის გული უცემს ავგამძაფრებით,
რომ ეთხოვება მშობელ მხარეს ცრემლების ზღვევით.
ჯალათი წამი... საზარელი ისმის საყვირი,
უნდა მოშორდეს იგი ეხლა საყვარელ არეს,
სადაც უნახავს სიხარულის დღეები ხშირი.
და ხან სევდებით ამღვრეული წუთები მწარე,
უნდა დასტოვოს მან გულდაწვით ეხლა ეს მხარე

XVII

არავინ ახლავს. დგას ბაქანზე მწუხარე სახით,
უკვე ქარიც ჰქრის, თითქო ტალღა გემის ფსკერს თლიდეს,
მაგრამ არ შიშობს და პირიქით მძლე ქარს ეძახის,
თითქოს გრიგალში იყოს ოდნავ სულის სიმშვიდე.
აქ, არავისგან არ ესმის დღეს ნუგეშის ხმები.
არც ჭირისუფლის აღარა სჩანს მზრუნველი თვალი;
ნავთ-სადგურს თავზე მოვლებია კვამლის ღრუბლები,
და ჩვენი გმირიც, მწუხარების კაეშნით მთვრალი,
უცქერის არეს, შეწუხებულ ზაფრიან თვალით.

XVIII

დაიძრა გემი; განშორების მწუხარებისა
უკანასკნელად დაიყვირეს მძლედ საყვირებმა,
და ძლიერ გუგუნს უზარმაზარ დიდი გემისა—
შორით ხმა მისცა ქედებმა და ზღვის ნაპირებმა.
ჩვენ გმირსაც ოდნავ აუჩუყდა სათუთი გული
და მოერია უნებურად ცრემლები თვალზე,
როცა ხედავს, რომ სამშობლოდგან გამოგდებული,
ის იკარგება ქარიშხლიან ცხოვრების გზაზე,
მაინც სიმღერა შემოსძახა სევდიან ხმაზე!

1

აღმართულია შავი აფრები,
უკვე მზეც ჩემთვის სხივს არ იმეტებს,
და ჭაბუკ გულის ავ-გამძაფრებით,
მეც ვეთხოვები ყველა იმედებს.

2

აუშვით ღუზა, თან აღმართედ იალქანები,
შენც დაუბერე გრიგალო ისე,
რომ ჩემს გულსავით აიძვრეს უცებ,
შავად მბორგავი უფსკრული ზღვისა.

საქართველოს
კულტურის მემკვიდრეობის
მინისტრის
გენერალური
დირექტორთა

საქართველოს
ინსტიტუტის
ბიბლიოთეკა

4992
F 719

3

საითკენაც გსურს გასწი ბოცმანო,
ხომ ხედავ ჩემთვის სულ ერთი არის,
მე ალბად ყველა მხარე მიმიღებს
გარდა საკუთარ, სამშობლო მხარის!

4

გასწი, სადაც გსურს, შეცურდი ზღვაში,
გასჭერი შავი ზვირთა კარავი,
გასწი, ხომ ხედავ, ჩემს ქვეყანაში
გულის სამჯავროდ მრჩება არავინ!

5

ნუ გეშინია მეგობარო
ჩემი შეფოთვისა,
და ნურას მკითხავ ამ ჩემ სევდაზე,
ხომ სულ ერთია,
რამე უნდა გულს მილონებდეს,
და რაც იქნება
დე, მოვიდეს ბობოქარ ზღვაზე.

6

არ მინდა ეხლა
მოვიგონო ღუშმანი მტერი,
არც ის, ვინც ეხლა
მაცილებს ცრემლით,
არც ეს ქალები,
რომელთ გული მუდამ სავსეა,
პირმოთნეობით და ცბიერებით.

7

გასწი, ბოცმანო,
თუჯის მკერდით გააპე წყალი,
წყალი ღრიალა
გემის მკერდს რომ ეხვევა ღვედათ

შხოლოდ შენ ერთი ქვეყანაზე არ სწევ ჩემს დარდებს,
ალბად იმიტომ,
პირველად რომ ერთმანეთს ვხედავთ.

8

მშფოთვარე ზღვაო,
მალამო ხარ ჩემი გულისა,
უკვე დრო არის
გამიფანტე ნალველი შორით,
შე შენ გრძნობები გულისანი
მოგანდე ისევ,
ადუღებული ბრძოლით და შრომით.

9

დაიღრიალე საოცნებოვ
ვეფხვის ღრიალით
შენც სხვებთან ერთად
ჩემს უამრავ ბოღმებთა შორის,
რომ დამავიწყო
წამებისა ოხერ-ტიალი
ოხ, ჩემო ზღვაო,
უკეთესო ოცნებათ შორის!

10

დამარცხებული ჩემს ქვეყანაში,
გამოგდებული პანღურის ცემით,
განშორების ჟამს--
საყვარელო ჩემო ქვეყანავ,
შიიღე მაინც სალამი ჩემი.

11

წამყვება ვიცი უცხოეთშიაც
ცხოველმყოფელი შენი მზე
და ეგ შენი მთვარე.
განშორების ჟამს

სევდიანი გულის სალამი—
მიიღე ჩემგან სამშობლო მხარევ!

12

სისულელეა ფიქრი მასზე
რომ ჩემი წასვლით,
ბევრნი სიმწრისგან დაიწყვეტს გულებს,
ვიცი. იქნებით ისევ ისე
ყველანი კარგად,
და უჩემოდაც
არა ნაკლებ იმხიარულებთ.

13

განა არ ვხედავთ?
სჯობდა დედას სულ არ ვეშობე.
შენთვისაც სჯობდა ალბად ჩემო
სამშობლო მხარევ!
თორემ ეს რას გავს,
როცა გულში დათარეშობენ,
მშიერ მგლებივით ბოღმები მწარე!

14

გასწი ბოცმანო,
თუჯის მკერდით გააპე წყალი,
ამდენი დგომით, რად მაგვიანებ,
გასწი გეთაყვა,
იქნებ სადმე შეხიზნო მაინც
თავის ქვეყნისგან
გარიყული ადამიანი

15

ვხედავ, რომ გინდა
მეგობარო, აივსოს ლხინით,
დაჭრილი გული,
რომ იარა აღარ მეწოდეს,

მაგრამ შენ იგი შეგიძლია
დაათრო ღვინით,
სიხარულით კი აწ არასოდეს...

16

ხომ ქრება მაინც, რაც იყო ჩემში,
ულამაზესი გრძნობები დღისა,
ისიც კი ჩემო,
რაც აქამდე მალფრთოვანებდა
და რომლის ხილვა მე არ მეღირსა.

17

მაგრამ რაც არის, დე, დარჩეს ასე,
ნუ ატირდები
მღულარებით ჩემო სულიკო,
ამ წუთისოფლის მოლიპულ გზაზე,
ღმერთმა ჰქნას, მეც რომ დავკარგულიყო.

18

გასწი, ბოცმანო,
თუჯის მკერდით გააპე წყალი,
და განმაშორე ამ ცოდვილ არეს.
თავის ქვეყნისგან,
უარყოფილი გამოგდებული,
შიილოს იქნებ უცნობმა მხარემ!

19

ვით ბროლის ჭიჭა, დაფშენილი ქვაზე,
ისე დაიმსხვრა ცხოვრება ჩემი;
და რომ ვიგლოვო ამ ცხოვრებაზე
სასოწარკვეთის ზარით და ცრემლით,—
ხომ სულ ერთია, ძველი ცხოვრება,
ვით ძერა, მძიმედ დაჭრილი ზღვევით,
ფართხალებს ორთავ ფრთა მოტეხილი
და ველარ ღგება საბრალო ზევით.

და რაღას ეძებ შავპირო ბედო,
 მოკვდა განცთები: ტბილიც და მწარეც,
 და ეხლა ასე, ყოველი მხრიდან
 დაცლილი კაცი—
 სჯობს ისევ დარჩეს სამშობლოს გარედ.

გასწი ბოცმანო,
 თუჯის მკერდით გააპე წყალი,
 ამდენი დგომით, რად მაგვიანებ?
 გასწი გეთაყვა,
 იქნებ სადმე შეხიზნო მაინც,
 თავის ქვეყნისგან გარიყული ადამიანი!

XIX

შუკვე შეცურდა გემი ზღვაში ტალღებს მშფოთვარეს,
 სჭრის რკინის მკერდი ხომალდისა უტეხი ძალით
 და ოდნავ მოსჩანს ხმელეთისკენ, მხოლოდ ის არე,
 სადაც ქედები აღმართულა ქუში და მწყრალი.
 რა ლამაზია ეს ქედები, თვალი კაცისა
 ოდნავ ვერ ძლება მისი ეშხის შორიდან ცქერით.
 აქ, ბევრჯერ ცეცხლი დანთებულა ავ-სიმკაცრისა,
 დაღვრილა სისხლი და ბრძოლების ამდგარა მტვერიც,
 მაგრამ ამაყად, არას დროს არ წასულა მტერი!

XX

ეს მიდამოა, მრავალ ტანჯულ ჩვენი აჭარის,
 სადაც წარსულში იყო ქართველ დედების კვნესა,
 და გული მთავარ ძარღვებიდან გადანაჭარი—
 სიბრალულისგან რომ ცრემლს გვრიდა პიტალო კლდესაც,—
 დღეს საბჭოების დროშების ქვეშ შეფარებული
 აღარა გმინავს, იარებმაც მოუკლეს ტკივილს...
 და ბეგებისგან გათელილი მშრომელთა გული—
 ერთ დროს რომ იყო გარიყული, მკრთალი და ცივი,
 დღეს შუკვე თბება ხუთ-ქიმიან ვარსკვლავის სხივით.

XXI

უკვე დაშორდა გემი ხმელეთს. უცნაურ გზაზე
იგი უშიშრად მიაბიჯებს, ტალღებსაც სერავს.
და აღელვებულ, უანაგო, შფოთიან ზღვაზე—
შორით გაისმის მეზღვაურთა ბრძოლის სიმღერა:
ოხ, რა ტკბილია, გრძელდებოდეს ნეტავ სულ ასე,
და ნუ ექნება მეგობრებო ამ ბგერებს ბოლო,
რომ ჩვენც ავმღერდეთ სიცოცხლეში ერთხელ ამ ხმაზე,—
და ბრძოლის ველებზე, ლხინის დროსაც... ვისურვოთ მხოლოდ:
რომ ამ ბრძოლის ჰიმნს არა ჰქონდეს არასდროს ბოლო...

XXII

ორბელიძე კი დგას ბაქანზე, მკმუნვარე გულით
გასცქერის იქით, სადაც დარჩა სამშობლო მხარე.
სადაც მას ჰქონდა იმედები აღშფოთებული,
ყოფნის დღეები უხალისო, შხამივით მწარე;
მაგრამ ის მაინც არ გამართლდა, რასაც ელოდა,—
რომ მგზავრობაში იქნებოდა მოსვენებული,
მას თავის ბოღმა ისევ თავზე დააწვა ლოდით
და მიმავალი უცხოეთში ჭაბუკი გული—
ამ ცეცხლით იყო კიდევ უფრო აღუღებული.

XXIII

ღამეა უკვე; სირენებიც ამღერებული
თითქო მისდევენ გემს ზავითიან ტალღების ხმაზე,
და ვარსკვლავებით მსხმოიარე ზესკნელის გული
ასარგადონის ქოლგასავით დაჰყურებს ზღვაზე.
ჩვენ გმირს კი ისევ უიმედოთ უტირის გული,
კვლავ ბაქანზე დგას, მდუმარებით გაჰყურებს არეს,
სადაც ზღვა ბორგავს მრისხანებით ატალღებული...
მაგრამ მას ოდნავ გაეფანტა ნალველი მწარე
როცა გემს თავზე გადმოადგა ნათელი მთვარე

ზღვა ბობოქარი ქშინავს და ღელავს,
უკვე აღარ სჩანს ხმელეთის არე;

საქართველოდან, სტამბოლისაკენ—
დახანძრებული მისცურავს მთვარე.

2

ნეტავ სულ აგრე იგრილებდეს
ზღვის სტიქიონი ქუშად და მწარედ;
საქართველოდან გედის სრიალით
სტამბოლისაკენ მისცურავს მთვარე.

3

თითქო აღსრულდა ოცნება მწარე,
აღარ სჩანს არსად სამშობლო მხარე;
მაგრამ ხომ ვხედავ საქართველოდან
სტამბოლისაკენ რომ მისცურავს მთვარე.

4

ხომალდო, შესდევ, გთხოვ ნუ გაუსწრებ,
ეს არის ეხლა ოცნება მწარე—
საქართველოდან სისხლის ცრემლებით
სტამბოლისაკენ რომ მისცურავს მთვარე.

5

სტამბოლისკენ რომ მისცურავს მთვარე.
აი, ხომალდიც ჩამორჩა თითქოს,
აღბათ მნათობის სძლია სიჩქარემ,
საქართველოდან ტივის სისწრაფით
სტამბოლისაკენ მისცურავს მთვარე.

XXIV

აქ, ორბელიძემ იგრძნო ოდნავ სულის სიმშვიდე,
რომ მას აცილებს უცხოეთში სამშობლოს მთვარე,
შემოეცალა თითქოს გულსაც კაეშნის რიდე,
და მწუხარების ცეცხლიც ოდნავ შენელდა ცხარე.
იგი გადმოდგა გემის თავზე, როგორც დემონი,
თვალ-გაშტერებით დააცქერდა გავსებულ მთვარეს,
და აღტკინებულ გულის ჯავრის მოქნეულ ღონით—

მან ზღვის თვალ-უწვდენ აზვირთებულ ბობოქარ არეს,
თავისი გულის მწუხარება შესძახა მწარედ:

XXV

„ბედო შავპირო, რატომ გინდა დაწიხლო ასე,
კაცი, რომელსაც თავის ქვეყნის არ უნდა ავი,
შემოაცალო მეგობრები ცხოვრების გზაზე
და გზა დაუხშო ყოველი მხრით ზათქით და ზეავით.
შავპირო ბედო, ბედო ავო მწუხარებისავე,
ჩემო დუშმანო, უმკაცრესო მტარვალთა შორის,
რად არ მაცალე სამშობლოში სიამე დღისა,
რომ გამიტაცე გრიგალივით იმედით შორით,
სადაც არ თბება კაცის გული ნათელი შრომით!

XXVI

„შავ-პირო ბედო, ჯოჯოხეთის ცეცხლი მედება,
და ილუპება იმედები ხალისით სავსე,
მითხარ სად არის ამ დროს შენი დაიმედება
და წაქეზება ამ ზავთიან ცხოვრების გზაზე?
მაგრამ მე ვხედავ, შენი შხამი მოუსვენარი,
უნდო, ურწმუნო, ველურ წუთებს განმანტოევინებს, —
ეხლა მაშორებს ჩემს ქვეყანას და გლოვის ზარით,
შემდეგ სხვა ათას ჭირის ცრემლებს დამაფრქვევინებს,
ისე ვით წვიმა სცვივა ფანჯრის დანამულ მინებს.

XXVII

„მაგრამ მე ვსტირი არა ჩემს მხნე ყმაწვილ-კაცობას,
და არც სიმუხთლით წამხდარ იმედს ცბიერ დროების,
არამედ ობლად დაშთენილ თავს, გარიყულს ობლად,
დღემდე მდგომარეს ცხოვრებისგან განმარტოებით.
და ბედს ვუჩივი, ეხლა მაინც მითხარ სად არი,
რად არ გვაცალე სურვილების დავაუკაცება,
თვით დარწმუნება ყველაფერში ცხოვრებით მწარით,
რომ ჩვენც ხალხისთვის ვყოფილიყავთ სანდო კაცებად,
მიგველო მასთან სიხარული და აღტაცება.

XXVIII

„ბედო შავ-პირო, უღმობელო, უნდოვ და წბილო,
რატომ დამიქრე ჭაბუკ გულის ნათელი სხივი,
განა მე ისევ უნდა მოკვდე, რომ ვერ ვიხილო
უკანასკნელად ჩემი ქვეყნის სალამი ცივი?
მაშ თუ ასეა, გასწი გემო ფრთებით გედისა,
მზგავსად ტყვიისა გაიქროლე ზავთიან ზღვაზე!
გულო, ხომ ხედავ, სიამის დღე აღარ გვეღირსა,—
და ეხლა, როცა ბოღმებით ვართ ყელამდე სავსე,
მაინც დასქექე სტიქიონის უღმობელ ხმაზე!“

XXIX

ასე სტიროდა ორბელიძე გულში ფარულად,
ის მარტო იდგა ბაქანზე ვით დემონი მწყრალი,
და ზღვის ზვირთები როცა ჰქროდენ მხარდამხარულად,
გემის ბაქანზე ისხმებოდა ტალღებათ წყალი,
სამი დღე არის რაც ზღვაშია, არ უჩანს ბოლო...
აღარც კიდია და არც შორით ხმელეთის არე...
და ჩვენი გმირიც იცქირება იქითკენ მხოლოდ,
სადაც მას დარჩა საყვარელი სამშობლო მხარე,
და ამ მხარესთან იმედები დაქრილი მწარედ.

XXX

გემი მისცურავს, ირგვლივ ქშინავს უფსკრული ზღვისა,
ფრიალებს აფრა, საშინელი უცხო ხმებია;
მღელვარებისგან აგდებული ტალღები რისხვად—
გემის ჯებირებს ბრაზმორევით ეჯიბრებიან.
აქ, მე ვსვამ წერტილს, და ვათავებ პირველ სიმღერას
თუმცა ხომალდი ისევ ისე მისცურავს ზღვაზე,
და მეც მეორე სიმღერაში გაგაცნობთ ყველას,
თუ ვით დაიბნა ჩვენი გმირი ცხოვრების გზაზე—
როცა ჯერ კიდევ იყო იგი ხალისით სავსე.

(გაგრძელება იქნება)

— : —

გ ღ თ ე

I

შემოდგომაა. პარასკევი.

მზე სანთიობოდან გამოსულ ქალივით გაცრეცილია და დამცხრალი.

ყაფანი სავსეა ხალხითა და ხორაგით.

ჰაერი გაპოხიერებულია მაჭრისა და მწიფე ხილის სურნელით.

არის ყაყანი და გაუთავებელი ვაჭრობა.

ამ ორომტრიალში არ ერევიან რაჭველი მეკურტნე მუშები, რომელნიც ერაღის თორნეს წინ გოლიათებივით დგანან და მზათ არიან მთელი ყაფანი ზურგზე აიკიდონ.

ბზის ტოტებ-შემოვლებული კასრებით, წელში მოხრილი ბერძნები, თუმცა საკმაოთ აგრილებულია, მაინც გულდაგულ გაიძახიან: — სზივია, სზივია, ქიბულა, ქიბულაა.

ზოგიერთები ყიდიან სახარინით გატკბილებულ და ნარინჯისფრათ ოდნავ შეფერილ წყალს, რომელსაც სქელ, მაღალ ტარიან ქიქებით ლიმონადივით სვამენ ერთი-მეორის სანახავათ ჩამოსული მოღერებული გოგო-ბიჭები და მათი მაშვლები.

ყაფანის პირისპირ ქალაქის ბალისაკენ მიმავალ განიერ ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია ხარ-გამოშვებული და კონკილა გამოსხლეტილი ურმები, ყურძნისაგან გვერდებ-გამოზნეჭილი ძრებით, რომელთაც ტკბილი—თაფლივით ჟონავს და ზედ ბზიკები ახვევია.

ზოგ მათგანს გადაკრული აქვს ჭრელი სუფრა, ზოგს მოძველებული ფარდაგი და ფარაჯა, რომ ღლაბუცა მოწათფებმა და ურის ბიჭებმა, რომლებიც ხვლიკებივით დაძვრებიან და იმავე დროს ჰყიდიან ასანთს, ლილას, ქინძისთავებს, გოზინაყს და ფოსტის ქალაღდს,—ყურძენი არ მოიპარონ.

წინ, მუშტრების დასანახათ, ძრებს ახდილი აქვთ საფარის ყურე და მოსჩანს ქარვასავით მოქათქათე: ციცქა, ცოლიკოური, ანდასეული, კრახუნა, დონდღლაბი, მაყვალღივით შავი საფერე, მგალობლიშვილი, რქაწითელი და კიდევ სხვა მრავალი ჯიშის ყურძენი.

მიუხედავად მოხუც გარდავლის ნიკოლას დატატანებისა, ბავშვები მაინც ახერხებენ ძარიდან მტევნების ამოძრობას და ცხვირის წუნწკლთან ერთად ინდოურის ჭუკებივით ყლაპავენ მეტი სიმწიფისაგან დამსკდარ მარცვლებს.

თვითონ ნიკოლა ყვერულივით დაბაჯბაჯებს და საუკეთესო მტევნებს აშკარათ ილაგებს სახურჯინე ჯიბეებში, თან მეურმეებს უქებს გარჯასა და მარჯვენას.

ბავშვებმა იციან ნიკოლას ოინები და როცა ის დააპირებს ერადის თორნეში შესვლას ჯიბეების გასაცლელათ, კარებთან ორივე მხრიდან უეცრათ დაეტაკებიან და გაბერილ ჯიბეებს შოთებივით მიაკრავენ მოქცეულ თეძოებზე.

თორნეში დასანაყრებლად შესული, ადრიანად ხელ-გაცლილი სოფლელები, მადიანად ილუკმებიან და ნიკოლას ბუზლუნზე გაუბედავით იღიმებიან. მეთორნე კი, ჩარგვალეებული და ჭიპამდე წვერ-დაფენილი, გულიანათ ხარხარებს და დახლში იჭაჭება.

მახლობელ სამიკიტნოდან ისმის დალალ მახარის რჯული და სალაგათის ფიცი და დალოცვა.

ყათანის მარჯვენა მხარეს კარვებივით ჩამწკრივებულია ტილოს ფარდულები. შიგ გაყუჩებული სხედან ინით ფრჩხილებ და წვერ-შეღებილი, ხანში შესული სპარსელი ბაყლები და ერთ კვნიტ შაქარზე ხმელა სვამენ იმდენ ჩაის, რომ დასაბრუნებლათ ეყოფა პატარა წისქვილს.

სხედან ასე დილიდანვე და სამ თითზე დადებულ ლამბაქს არ იშორებენ ტუჩიდან, ხანდახან შეინძრევიან რომ დაცლილი ლამბაქი ისევ ააპიპინონ. ან კოპიტის ტოტით, ირგვლივ დაბალ ნაპირიან გობებზე ლამაზათ დალაგებულ ხილს ბუზები მოუგერონ.

იმათ იციან, რომ დღეს ყველა ხილს ყიდულობს თვით სოფლელებიდან უფრო იათად და უფრო კარგს. ამიტომაც სხედან ასე თვალებ-მინაბულები და უცდიან მოსალამოებას, რომ გაუსაღებელი ხილი სახლისაკენ აჩქარებულ გლებებს ნახევრის ფასათ ხელიდან გამოაცალონ.

უფრო ახალგაზრდები და მარიფათიანები, რომელთაც ახურავთ წისქვილის თვლების ტოლა ჭილის ქუდები, ყიდიან მუხიან-ქვიტირიდან ჩამოტანილ საზამთროებსა და ბუსუსიან ყვითელ ნესვებს. თითქმის ყოველ ათ ნაბიჯზე მოსჩანს გორახავით აკოკოლიკებული, საზამთროები და მათ თავზე სოლივით ამოჭრილი საზამთროს გული, გაჭრილსავე საზამთროზე ოსტატურათ დადებული.

შედარებით მდიდარ სპარსელებს კი გახსნილი აქვთ მოზრდილი

სავაჭროები, სადაც ყოველთვის იშოვება ბრინჯი, შაქარ-ყინული, ფოჩვიანი და ბრტყელი სურათებიანი კანფეტები, ქიშმიში, ნუში და სხვა ტკბილეულობა. ყველაფერ ამასთან ერთად თანჯარაში გამოწყობილია ჯვარსაწერი ვარდებიანი სანთლები და დიდი და პატარა ზომის კერასები.

განსაკუთრებით დიდ გაწამაწიაში არიან მეწვრილმანეები, რომლებიც სათითაოთ ექაჩავენებინა ჯოგათ მოსიარულე სოფლელ გოგოებს. გოგოები, რომელთაც თან ახლავთ გამოცდილი და ხანში შესული ქალები, დიდის სიფრთხილით არჩევენ და ყიდულობენ—გუნდალახუსტაკს, ფერ-უმარულს, ბოდლოს საპონს, კარდონზე დაკრულ წითელ ვარდებიან სარკეებს და უსულოს წამალს—ხვარასანს. ზოგი, ოჯახის დასამშვენებლად ყიდულობს „ბუზიკას“, რომელსაც გულმოდგინეთ სინჯავენ და მორიგეობით უკრავენ, რომ ცუდი არ გამოდგეს.

საწვრილმანო დუქნების ზევით, პატარა მოედანზე გამოტანილია საგარეოთ შეკერილი კანტიანი წულები, მესტები, უძიროები, ქალის სხვადასხვაგვარი ფეხსაცმელები და თვალის მოსატაცათ საგანგებოთ აწყვია მოგრძო მაგიდების წინა ნახევარზე; საშინაოთ სახმარი კი ზოგი იქვე უწესრიგოთაა დალაგებული, ზოგი კალათებში ყრია ნაგიდების ქვეშ.

მაგიდების თავსა და ბოლოზე მიკრულია წვრილი ფინები, რომლებზედაც ვაშლებივით ჰკიდია ფერადი მეშის მომცრო ბურთები ნაპარსი თმებით გატენილი.

ამავე მოედნის იქითა მხარეს იყიდება სორმონული წითელი თიხის ქოთნები, კოკები, ხალმები, ჭურები, დოქები და კეცები.

მეჭურჭლე არსენა, ღიპიანი და თავის ჭურჭლებივით წვერ-ულვაშიანათ წითელი, ფეხებ-გაფიჩინებული დგას, მარცხენა ხელის გულზე უდევს კვაწია და გვერდებზე გაბედულათ სცემს ბელტ შაურიანს, რომ მისმა ზარასავით ხმამ მიიზიდოს მყიდველები და დააჯეროს ისინი არსენას ჭურჭლების სიკარგესა და გამძლეობაში.

არსენას მოზიარე კი, ახალგაზრდა კაკილა ციბრუტივით ტრიალებს და თავის ენაწყლიანობით არავის უშვებს გამგუნებულს.

ყველგან უამარი ხალხია და ისეთი ჟრიამული, რომ საკუთარი ხმის გაგონებაც ჭირს.

ხალხით სავსეა კოჭლი ამბროსის სადალაქოც. როგორც ამბროსი, ისე ყვავილბატონებით სახე-დასვრეტილი მისი შეგირდი ციცერონი,—ლარიბ აზნაურის ქვრივის ერთად-ერთი ნუგეში,—გამალეობით აწაწყუნებენ მაგრატლებს და წურწურით ჩამონადენ ოფლს ხან-

გამოშვებით უხეიროთ იწმენდენ ფერ-შეცვლილ თეთრი ხალათის კალთებით.

კუბოს მაგვარ სადალაქოში ბულია და ისედაც ბუზებისაგან დასვრილ და ქუჩყით დაფარულ სარკეებში სახეები მოსჩანს, როგორც მღვრიე წყალში.

უფრო ქუჩყიან კედლებზე გაკრულია გახუნებული სურათები, რომელთაგან ერთი გამოხატავს თავების მიერ ფეხებ-შეკრულ კატას. მეორე—მთელი ქვეყნის მეფეებს. მესამეზე დახატულია კაცის დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი, მაგრამ სურათის ეს უკანასკნელი ნაწილი მოხეულია, ასე, რომ ამბროსის სადალაქოში პირველად შესულს გაუჭირდება გაიგოს, თუ რით უნდოდა დაემთავრებია მხატვარს იმ კაცის ბედი. იქვე შრეშით მიკრულია აკაკის სურათი და კიდევ სხვა სურათები.

რომ მუშტრებს ლოდინი არ მოეწყინოთ, მაკრატელთან ერთად ამბროსი ღრანქსაც არ აჩერებს და ხმა-მალლა ყვება სხვადასხვა სასაცილო და საგაზეთო ამბებს.

სიჩქარისა და აგრეთვე ბლაგვი სამართებლის გამო, სოფ. ზართში მწერლათ ნამყოფ ტრიფო სუთიძეს მარცხენა ლოყაზე ჯაგარივით მაგარ წვერს კანიც ჩამოატანა.

როცა ამბროსი ბოდშითა და ხუმრობით შეუდგა ხორკლებიან შაბი-ნატეხით სისხლის შეკავენას, ხოლო ბრაზისაგან გაბერილმა ტრიფომ თავის ბეცი თვალებით მოინდომა, სარკეში კარგათ გაესინჯა ქრილობა, უცებ გარეთ შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი და ხმაური.

ველაზე წინ გარეთ გავარდა ამბროსი, მას ფაცი-ფუცით გაედევნენ სხვები, შემდეგ ციცირონი და მის მიერ ახლად პირგასაპნული იაპონიის ომში ნამყოფი ბეგლარა, სულ ბოლოს კარებში თავი გაყო ტრიფომაც.

შუაგულ ქუჩაში ლადოს გარს შემოხვეოდა ცნობისმოყვარე ხალხი და იყო ჟრიამული.

განგებ შეშინებულ ლადოს ცალი ხელი შარვლისათვის წაევლო რომ არ ჩავარდნოდა, ხოლო მეორეზე ჩაფრენოდა ნიკოლა და პირში საწოვარასავით გამოჩრილ „სვისტოკს“ საშინლათ აწივლებდა.

ლადო კი თვალებს ბაყაყივით კუსავდა და დედას ფიცულობდა, რომ მას მხოლოდ თუთუნი უნდოდა და სრულებით არ უფიქრია, თუ ქისაში ფული იქნებოდა.

სანამ სხვები მიეშველებოდნენ, სტვენით გაბრუებულ ნიკოლას ლადო ხელიდან გაუსხლტა და ჯადოქარივით გაქრა.

ამ დროს ჩამოიარა ბოქაულმა ბექაიამ და... წესრიგიც დამ-
ყარდა.

სადალაქოში შემობრუნებული ამბროსი და მისი მუშტრები ხმა-
მალლა იცინოდნენ და თან აკვირვებდათ ლადოს მოხერხება. ტრი-
ფოც იღიმებოდა. მას ლოყა უკვე გამრთელებოდა და აღარც გულმო-
სულობა ეტყობოდა.

ამბროსის სადალაქოდან, რომელიც მოთავსებულია სობორო-
საკენ მიმავალ ქუჩაზე — ერთი მოზრდილი სვრელის ოდენა მოედნის
ბოლოში, ვიდრე გადახურულ ყაფნამდე — ჩაცუცქული დედაკაცები
ყიდიან სიმწიფე მორეულ ლედებს, ატამს, ჭკვიტას, კანათა ფხალს,
მოლოქას, ბოლოკს, პატარა ბავშვის თავის ხელა ვაშლებს, გომიჯებს,
კვახის ფოთლებზე დალაგებულ სქელ ფელამუშის ნაჭრებს, ხოკერა
და თათრულ კვახებს, ყელ ჭრელა წინდებს, ჭყინტ სიმინდს, ერთ
წველაზე ამოყვანილ უმარილო ყველს, ეკალას, წიწილებს, მოჩეთებს,
სანაშენოთ უვარგის დედლებსა და მამლებს.

ეს ქალები ყოველ პარასკევსა და კვირას ჩამოდიან მახლობელ
სოფლებიდან ქუთაისს და გაჭირვების გამო ფულზე გაწუწუკებულნი,
ყველაფერს მისხლობით ყიდიან; ამის გამო, ვაჭართა ცოლები, დაცო-
მებული ტანით რომ ძლივს დადიან, საათობით კაპასობენ კაპიკის
გულისათვის.

სანამ რამეს იყიდდენ, ერთი ოცჯერ მაინც მოიფიქრებენ,
დაათვალიერებენ, რასაც კი შეიძლება გემოს გაუსინჯავენ, წიწილებს
ხელში აწონიან, კვერცხებს მზეზე გალანდავენ და დედლებს საკვერ-
ცხეებს მოუსრისავენ.

ყაფანის ბჭესთან კი მორებივით აწყვია სიმინდის ფქვილით,
ძაძით, მართალი ღომით, ცერცვით და ლობიით სავსე პირმოხსნი-
ლი ტომრები.

თვით ყაფანში ფეხზე ვაჭრობენ ჩარჩები, რომელთაც კალათებსა
და ყუთებში უწყვიათ სვრეტილებიანი და მლაშე ოსური გოგორა
ყველი, შამაია ტარანი, ფარვა და ფირხიული.

იქვე გაკოტრებული სირაჯები ეხლა მაჭარს ჩარექობით ყი-
დიან.

მუშტრები, უკეთესის შოვნის მიზეზით, ყველა ღვინოს სერიო-
ზული იერით სინჯავენ და მანამ წრუბავენ, ვიდრე ჭიქას არ დაც-
ლიან.

აღმოსავლეთის მხრით, ყაფანშივე მსხვილ ჯაჭვებით დაკიდებუ-
ლია სასწორი. სწორედ იმ დროს, როცა ლადოსაგან აფორიაქებული
ბაზარი ჯერ კიდევ არ იყო დაშოშმინებული, მწონავმა აღმასხანამ,

რომელსაც ცალი თვალი გადმობრუნებული აქვს და გაპრეხილ ულვაშის კუდები ცხვირის გაბერილ ნესტოებში შეჩრილი, სასწორზე შესვა ბოთე ქალი და თან ეშმაკურად ჩაიციანა.

დაინახეს თუ არა ბოთე სასწორზე, ისევ ატყდა ხმაური და ხმამალალი სიცილი. აღმასხანამ მოინდომა ხალხის კიდევ უფრო გახალისება და სასწორის ერთ თვალს გამოაცალა დასაყრდენი ყუთი, შემდეგ ზედ იმდენი გირები დააწყო, რომ უეცარ დაყანთვრით ჰაერში ატყორცნილმა ბოთემ, ხეზე თმებ დაკიდებულივით დაიწყო ფართხალი და კივილი.

— ორი ფუთი მარტო მაგის ძუძუები გამოვა...

ძლივს წარმოსთქვა მეტი სიცილისაგან ხველა ატეხილმა ყასაბმა და მუცელზე ხელები მოიჭირა.

— რამოდენა ბარძაყები ქონია ამ შეჩვენებულს!

— მთლად შიშველი არ ყოფილა ეს ოჯახამოვარდნილი!

კისერ მოღრეცილი ამბობს ვილაცა.

— კაცო, რას აბიაბურებ და აწვალებ მაგ ქალს. ან მაგის დრო არი?

წყრომით შესძახა აღმასხანას ლობიოს ასაწონათ ახლად მოსულმა ბრგე მოყვანილობის გლეხმა.

— შენ ვინ გეკითხება ამის ვეჭილობას? თუ გშურს, შენც აგწონი.

— მე შენ გელაპარაკები, ლაყბობის დრო არ არი. არც მაგ ქალის ასე სამასხროთ აგდებთა ვაუკაცობა.

— ბიჭოს! ერთი უყურეთ ამ რეგვენს რა ამბავშია!

— ცოტა ენას მოუკელი, თორემ მამაჩემს ააქ ცხონება, მე შენ მესერზე გადასაკიდათ მოგაქციო.

— ჰატ შე წუწყო...

დაიღრიალა აღმასხანამ და ნახევარ ფუთიან გირას ხელი დაავლო. შეიქნა მიწევ-მოწევა და დედ-მამის უხიაგათ ხსენება.

ატეხილ ღრიანცელზე გაჩნდა ნიკოლა თავის „სვისტოკით“ და სირაჯ პორფილესა და იქვე მყოფთა დახმარებით, ვიდრე სხვა პოლიციელები მოვიდოდნენ, როგორც იქნა, მოჩხუბრები გააშველა.

ნიკოლამ თავის ხშირათ პატივისმცემელ აღმასხანას უსაყვედურა წესრიგის დარღვევა, ხოლო გლეხს დაექადნა დაჭერით, თუ კიდევ ხმის ამოდებას გაბედავდა.

აღმასხანამ ბურღულულით ბოთე ძირს ჩამოათრია და ბარეორი მუჯღლუგუნიც უთავაზა.

ეხლა ნიკოლამ წაავლო ხელი და აბუზული ქალი ყათნიდან

ჯიკავ-ჯიკავით გააგდო, შემდეგ შემობრუნდა, პორფილეს ერთი ჭიქა მაჭარი ჩამოასხმევინა და მოფარებით გადაკრა.

— ჰაი დედასა, რა ქალი იყო ერთ დროს! ხო!— ტუჩების წუწნით ჩაილაპარაკა ნიკოლამ და ცარიელი ჭიქა პორფილეს გაუშვირა.

— ვინ! ბოთე? იცნობ მაგ ქალს ნიკო თუ?

წელში გაუსწორებლათ შეეკითხა პორფილეს და ტიკის თავის მოკვრა შეაჩერა.

— ხო. ეხლა რათ ღირს მისი ნაცნობობა პორფილეს ჩემო, მარა ერთ დროს კი ვიცნობდი. ხო, როგორ არა, ვიცნობდი.

— სიდან, რაფერ!..

გაიკვირვა პორფილემ და ჭიქა მეორეჯერ აუღსო.

— ძველი ამბავია... დიდიხნის... ხო, დიდიხნის.

უპასუხა ნიკოლამ და ჭიქა სწრაფად გამოცალა. შემდეგ ცოცხვით უღვაშები სახელოთი მოიწმინდა და დაუმატა:

— ხო, კაი მაჭარია, კაი. ამისანა მაჭარი ამ ყაფანში კი არა, გრიგოლაშვილსაც არ ექნება, ხო, გრიგოლაშვილსაც.

პორფილემ ჯერ მეზობლათ ღვინით მოვაჭრე გაბრიელას ცივათ გადახედა და ცოტა მოფიქრების შემდეგ ნიკოლას მიმართა:

— თუ კაცი იყო ერთ მოცლილ დროს მომიყვები მისი ამბავი. მართალი გითხრა კიდევაც მეინტერესება და კიდევაც მებრალება ი საწყალი.

— ხო, როცა გინდა, ხვეწნა რა საჭიროა. ხო, კი, როცა გინდა.

— ჰო, და რაღამ ასეა, ბარელამ დღეს იყოს, ბაზრობის შემდეგ. შენც თავისუფალი იქნები და ერთად ვისადილოთ ტუტუიას ხარჩოვნიასში. ა? ერთ ორ ჩარექას ქე წამევიღებ. ცოტა სხვა საქმეცა მაქვს შენთან.

— ხო, ვყაბულობ. ერთად ვისადილოთ. ხო, კარგი.

შეპირდა ნიკოლა და ბაჯბაჯით გაეშურა საწვრილმანო დუქნებისაკენ, სადაც ურიის ბიჭები ერთი-მეორეს ყვინჩილებივით ჩაფრენოდნენ.

II

უკვე მზე იძირებოდა, როცა ნიკოლა და პორფილეს ტუტუიას ხარჩოვნიასში შევიდნენ. თითქმის ყველა მაგიდები დაკავებული იყო.

მაგიდებს უმთავრესად გარს უსხდენ მეკურტნე მუშები, უცოლ-
შვილო და სხვის სახელოსნოებში ნაჭრობით მომუშავე თერძები, ხა-
რაზები, მექვაბეები, მახლობელ სოფლებიდან გროშებისათვის გადმო-
ხვეწილი დურგლები, მხერხავეები და საერთოდ ისეთები, რომელთაც
საკუთარი დაზგა არ ქონდათ და არც სახლში ეგულვებოდათ თბილი
საჭამანდი.

სერმიის უქონლობის გამო ტუტუია ღვინოს არ ყიდდა და
ამიტომ იყო ახლად შემოსულებმა ისე ჩაიარეს შუა დუქანში, რომ
არავინ მიიპატიჟა.

ერთ დროს ტუტუიასანა სამიკიტნო არავის არ ქონია მთელ
ქომაში, არც იმისანა არღანი ედგა ვინმეს, მაგრამ მას შემდეგ,
რაც ტუტუიას კაცი შემოაკვდა, მისი საქმე უკულმა შებრუნდა.

ციმბირ მორებულმა და გაღატაკებულმა ველარსად მოიმაგრა
ფეხი და ბოლოს, როგორც იყო, ყაფნის ახლო „ხარჩოვნიის“ გახსნა
მოახერხა.

ეხლა უკვე მოტეხილი და თხასავით წვერმოშვებული ტუ-
ტუია უხალისოთ მიდი-მოდიოდა უიატაკო და დაბალ ჭერიან დუ-
ქანში უწესრიგოთ დალაგებულ მაგიდებს შორის. ცხელ და პილპილ
მორეულ ხარჩოთი პირგამოთუთქული მუშტრებიც უხმოთ ილუკებო-
დენ და ყელგაქონილ სურებით რიონის წყალს ისე გემრიელათ სვამ-
დენ, როგორც სვირულს.

ახლად მოსულები კუთხეში აქეთ-იქიდან ოსტატურათ მოუ-
სხდნენ მაგიდას, რომ მაჭრის დაღევა არავის შეემჩნია. პორფილემ
ჩოხაში დამალული ჩარექიანები ფეხებში ფრთხილად დაილაგა და
ერთი ოყა პური მაგიდაზე დადვა.

ტუტუიამ, ჯერ განთავისუფლებულ მაგიდებიდან მოწებული საი-
ნები აალაგა და შემდეგ კუთხისაკენ გაეშურა, ქონისაგან გალიგნული
და ყიდვის დღიდან გაურეცხავი ტილო მაგიდას წესათ მიუსვ-მოუ-
სვა და გვერდზე ჩაილაპარაკა:

— რას მიბრძანებთ!

— რა უნდა გიბრძანო ჩემო ტუტუია. ხარჩოს მეტი რა გექ-
ნება. ხო, ხარჩო მოგვიტანე. პილპილი ბლომათ უქენი. ხო.

გამოეხმაურა ხმელა პურით პირგამოტენილი ნიკოლა.

ტუტუია გველნაკბენივით გატრიალდა: მას დაავიწყდა რომ ამ
ჭუჭყიან დუქანში იყო და არა ქომაში—რიონის პირათ კოხტათ გა-
მართულ სამიკიტნოში, სადაც სტუმრებს სწორეთ ასე თავაზით მი-
მართავდა და სადაც ზაფხულის მოკლე მთვარიან ღამეებს ქეიფში
ატარებდენ ჯერ კიდევ იხტიბარ გაუტეხავი თავად-აზნაურები. მათ

თან ახლდა დანიელა ურია, რომლის კრიალა და საამო ხმას რიონის ღუღუნთან ერთად ემხში მოყავდა მოქეიფენი. ამ საპატო სტუმრებისათვის სუფრა ყოველთვის სამიკიტნოს გვერდით, რიონზე გადამდგარ ტარაველში იშლებოდა და სუფრას თვით ტუტუია აწყობდა, ალიონზე, ნირ გაცუდებულ სტუმრებს ეტლებამდე არღნით მიაცილებდა და შემდეგ 'შუადღემდე იმავე ტარაველში ეძინა.

მოგონებით აღერდილმა ტუტუიამ გაპიპინებული ღრმა საინები უგემურათ დააწყო მაგიდაზე და სწრაფად გამობრუნდა, ცოტახნის ბორილის შემდეგ დანჯღრეულ სკამზე შედგა და შუაგულ ღუქანში დაკიდებული, გვერდებ შეჭყლეტილი ლამფა ჩამოიღო. შიგნავთი ჩაასხა, ხრჩოლისაგან გამურულ შუშას, მომტვრეულ თავის მაგიერ, ქალაღი გაუკეთა და აანთო.

მზუტავ სინათლეზე გამოჩნდა კარებთან წაქცევაზე მიმდგარი დახლი და იქვე კედელზე უფხოთ მიმაგრებული თაროები. თაროებზე კიდევ ეფარა ოდესღაც ბირდაბირის პირივით ნაპირ ამოჭრილი ქალაღი და ზედვე ეწყო სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის გამტვერული ბოთლები.

— ხო-ხო, ამომეგსო ფერდები. კი, გვარიანათ ვისადილეთ. მგონია ჩარექიანებიც გამოგწრიტეთ, ა!—კმაყოფილებით ალულლულდა ნიკოლა და ქისა ამოიღო, გამხმარი ფოთოლი-თუთუნი ხელისგულზე მოფშენა და ყალიონი გაიწყო.

— იმე, ჯერ მეორიზა ხელი არ გვიხლია, არც ასე პატარაა ჩემი ჩარექიანები, რამ გაგიტეხა გული შე კაცო.

უკანასკნელი ლუკმის გადაყლაპვით უბასუხა პორფილემ, თითები კიდევ ერთხელ გაილოკა შემდეგ, ქვევიდან ბოთლი ამოაძვრინა და ყაფნიდან წამოღებულ, როდინივით წელში გამოყვანილი საჭაშნიკე ჭიქა ნიკოლას მიაწოდა.

— იფ, აგაშენოს ღმერთმა, პირდაპირ მაცხონე. ხო, მაცხონე და ცხონდი. სამაგიეროთ თუ ნიკოლა ვარ, იმ უცხვირპიროს ქე მოგაშორებ. ხო, მოგაშორეფ იმ წუწკს, მოსვენებას რო არ გაძლევს.

— სულ მოშორებას არ ვჩივი, მარა ყაფნის სხვა კუთხეში გადაყვანას რომ მოახერხებდე, ძაან დაგიმადლი.

გასაწყლებული ხვით წარმოსთქვა პორფილემ და ღვარძლიანათ დაუმატა:

— მუშტრებს პირდაპირ ხელიდან მაცლის ის უსინდისო.

— ხო, დიდი ხანია ვიცი რო უსინდისოა. კი. ერთხელ არ მოგაწოდებს ჭიქას. უსინდისოა ხო.

დაუდასტურა ნიკოლამ და კვლავ დაიტრაბახა:

— მარა თუ ნიკოლა ვარ მეთქი, ოუდგამ ფეხს იქიდან. ხო, სულ ავბარგავ ამ არე-მარედან. აბაა!

ნიკოლამ ისე ბეჯითად და მუქარით წარმოსთქვა ეს სიტყვები, თითქოს ბოქაული ბეჯია ყოფილიყო და არა ნიკოლა, რომელსაც მაინც და მაინც არავინ ეპუებოდა, სანამ „სვისტოკს“ არ მოიშველიებდა.

პორფილე ეხლა თითქმის სავსებით დარწმუნდა, რომ თუ ნიკოლა მართლა მოინდომებდა, ხვალდანვე მოაშორებდა აბეზარ მეზობელს—გაბრიელას. რამე შარს მოსდებდა, ან ბეჯიას სიტყვას მიუტანდა და... ორი ჩარევა ღვინო აღარ ენანებოდა.

რომ ნიკოლას, პორფილეს ასეთი გულუხვობა ქრთამათ არ ჩაეთვალა, დაიმედებულმა, ლაპარაკი ჩამოაგდო ბოთეზე და თან თითოჯერ კიდევ გაისველეს ყელი.

— არა, მართლა იცნობდი ნიკოლაა? მერე და რამ გააბოთავა ი საცოდავი?

ნიკოლას თითქოს არაფერი გაუგონიაო, ჩანაცრებული ყალიონი ჩექმის ყელზე დაირეკა, სამამასახლისო ჯაჭვით კისერზე დაკიდებული „სვისტოკი“ ხელში შეათამაშა, შემდეგ რამდენჯერმე წამოაბლოყინა და ყრუთ წარმოსთქვა:

— ხო, როგორ არა, ვიცნობდი. თუმცა სულ ერთხელ მინახავს იმ დროში, მარა სამუდამოთ კი დამამახსოვრდა, მიტო კი არა როლამაზი იყო, არა, სხვა რაიმეს გამო...

ხო, ათი წელი იქნება მას შემდეგ. მეტიც. მაშვინ ტყიბულში ვიყავი სტრაჟნიკათ. ქე გითხარი ძაან ლამაზი იყოთქო. ხო და იმ სილამაზემ ისიც დალუპა და კილო რამდენიმე კაცი. აბაა. მეც ბეწვზე გადავრჩი.

ნიკოლამ ბელტათ ამოახველა, ჩამოგრძელებული ქარხალივით გაწითლებული ცხვირი გაცრეცილი ფარაჯის კალთით მოიწმინდა და ხრინწიანი ხმით განაგრძო:

— იმ ქალის ქმარი ტყიბულში მუშაობდა. ხო, მალაროებში. ღმერთს წინაშე, ანგეშივით ბიჭი კი იყო. მოხდენილი. ცოლი სოფელში, საწირეში ყავდა დატოვებული მოხუც დედასთან. ყოველ საღამოს ოჯახში მიდიოდა.

ერთ უქმე დღეს, გაზაფხულზე, რაცხა ეშმაკათ ცოლი ძუძუს ბალანით, ქე ჩამეიყვანა ტყიბულში. ხო და გადირია, ყრმაწვილო, ვინც კი თვალი შეასწრო. მეც მთელი ღამე მეღანდებოდა მისი ბროწეულივით მოლაჟღაჟე ლოყები და ტყიბულის ნახშირით შავი თვალები. მაშვინ მეც გვარიანი ბიჭი ვიყავი, აბაა! ეხლა ქე რაღა ვარ! მისი ჩრდილი.

— რას იზამ, დროს თავისი მიაქვს, მარა შენ ჯერ სანანო რა გაქ ბეჩა ნიკო. ბევრ მოწიფულ ვაჟკაცს კიდო ჯობიხარ. გული გაუკეთა პორფილემ.

— არა, ისე კი არა ვარ მართლა დაძაბუნებული, მარა მაშინ უფრო მერჩოდა გულიც და მკლავიც...

წელში გასწორებით და ამაყათ წარმოსთქვა ნიკოლამ და ცოტახნის შემდეგ ისევ ჩვეულებრივა ხმით დაიწყო:

— ხო, იმას ვამბობდი, გედირია ყველა, მარა ჩვენი ბოქაული არისტრახო აბაშიძე სულ შეიშალა. ხო, პირდაპირ ჭკუა დაკარგა აბაა! იმ დღიდან მოკიდებული ამეიჩემა ი ბიჭი და დოუწყო ქირჩიმალი. სულ უთვალთვალებდა. ხო, კარგათ მახსოვს, სწორეთ პირველ მაისს, ღამით ტყეში აღმოვაჩინეთ მუშების თავყრილობა, თარული კრება გვემართათ. ხო, ის ბიჭიც იქ იყო. თურმე ახალთაობის საქმეში ერია. თავი კაცი იყო. ჩვენში დარჩეს და ის ბრიყვები, თურმე ხელმწიფის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობდენ. აბაა!

ხო, პირველად ბოქაული იმ ბიჭს ეცა, რაცხა ჭალაღებე უპოვა და დილის მატარებლით ქუთეისისკენ უკრა თავი, ხო, მასთან სხვებსაც, რამდენიმე კაცს, დანარჩენი ქე გოუშვა. ეს რო იქოურმა სტანციის ჟანდარმებმა გეიგეს გულზე გასკდენ, რო ვაჯობეთ მიტო! მააშ!

ამის შემდეგ, ასე ერთი თვე არ იქნებოდა გასული, ბოქაული ქუთეისში გამოიხმეს. ხო რამდენიმე დღე შეიგვიანა. სასამართლომ თურმე მაინცდამაინც იმ ბიჭს მიუსაჯა ციმბირი, აბაა! დანარჩენებს რა უქნეს აღარ მაგონდება.

ხო, ის დღე კი მახსოვს, როცა ბოქაულმა ცალკე გამიხმო, თავის გულის ნადები გამანდო. ძაან კი მენდობოდა, მარა მაინც მკვახეთ მელაპარაკებოდა, თავს არ მიყადრებდა. დავასკვენით რო იმ ღამესვე წავსულიყავით საწირეში, იმ ბიჭის სახლში, მარა გაგვეგონება, რო იტყვიან—კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, სწორეთ ჩვენზე ახდა ეს სიტყვები...

ხო, ასე მაღალი ვახშმობა იქნებოდა, ტყიბული რო უკან ჩამევიტოვეთ და საწირისაკენ ვქენით პირი. წინ რო არავინ შემოგვეფეთებოდა, ვარჩიეთ ტყე-ტყე სიარული. ხო, მთვარე ჯერ არ იყო ამოსული და ფრთხილად მივაბიჯებდით. გვარიანი მანძილის გავლის შემდეგ ქე მივაღექით ერთ ხრამს და დავაპირეთ თავის მორება, რადგან, როგორც ეტყობოდა ღრმა უნდა ყოფილიყო და ძნელათ გასარები, მარა ამ დროს შენს მტერს იმისთანა, ჩვენ დაგვემართა: იგრიალა თოფებმა და... ყველაფერი აირია. ხო დაყრუვდა. გესმის პირდაპირ მეხი დაგვეცა. აბაა!

ნიკოლამ შეისვენა. ძველი ამბის გახსენებით სიფითრე გადა-
კრულ სახეზე ხელი ჩამოისვა და ისევ განაგრძო:

— ხო, სამ დღეს ბურანში ვიყავი. როცა გონს მევედი, უკვე
თოფურისას საავადმყოფოში ვიწექი, ქუთეისში. ველარც ფეხებს ვან-
ძრევდი, ველარც აი ამ ხელს, აბაა! ბოქაული იმ ღამესვე მომკვდა-
რიყო, ტყიბულშივე... კაი კაცი კი იყო ცხონებული, მარა ნამე-
ტანი მსუნაგი იყო—ლამაზ ქალს რო დეინახავდა გიჟდებოდა. ხო,
წერა რო ეიტანს კაცს თორე რათ უნდოდა ისეთ ჩინიანს და გვა-
რიშვილს იმ ბიჭის ნათრევი ქალი,

სამი თვე ვიწექი. ბევრი მაწვალეს, მაჯახირეს, მარა გადა-
მარჩინეს კია. თუმცა მას აქეთ ცოტას ქე მევიკოჭლებ. ხო, ვინამ
საავადმყოფოდან გამოვიდოდი, იქ მეიყვანეს საწირელი გლეხი,
ტყეში მუშაობის დროს ხე დაცემოდა ფეხზე.

ხო და იმან მიაშობო რომაო... და ხმაგაკმენდილ პორფილეს
თვალწინ წარმოუდგა:

ახლად აგებული ორთვალისანი წაბლის სახლი, ჯერ კიდევ მოუ-
წყობელი და ნახევარზე ყავრით და დანარჩენზე ისლით დახურული.
ეზო სავსეა ნაირი ხეხილით, რომელთა ქვეშ ბიბინი გააქვს მუხლე-
ბამდე მოწეულ კოინდარს.

ოჯახის ბურჯის დაკარგვით დამეხილი და თვალეზ ამოლილა-
ვებული ცოლი და დედა სასოებით შეჩერებთან აკვანში ჩაკრულ
ბავშს, რომელიც არტახებიდან განთავისუფლებულ ხელებით გაყუჩე-
ბული ეთამაშება აკვანის ტარზე დაკიდებულ კაკილას და ავგაროზს.

გოდებით გულმოოხებული რძალ-დედამთილი ძალას იკრებენ
და ჩვეულებრივზე უფრო გულმოდგენეთ უვლიან კარ-მიდამოს.

იმ იმედით, რომ შეიძლება ოჯახს როდესმე დაუბრუნდეს
მტრისა და მოყვრისათვის პასუხის გამცემი, მთელი დღე ირჯებიან
და ორთავე ცდილობს—კერა არ გაცივდეს, ბავშს ფუძე არ მოე-
შალოს.

უკვე შუა ზაფხულია. დიდიხნის სიცხეების გამო ეხლა შეყვი-
თლებულ კოინდარში გოჭებიანი ღორი დარბის და გამალეებული
ედებს უდროო სიმწიფისაგან ძირ ჩამოცვენულ ხილს.

მთელი დღე განუწყვეტლივ ისმის ერთმანეთში არეული მშიერ
გოჭების ჭყვირილი, დედლების კრიახი, თუთის ქვეშ დაბმულ ხბოს
ბლავილი და ჭიჭინობელების ჭიჭინი.

ერთ კვირა დღეს მოხუცებულმა აიჩემა ხრესილში გამოჩენილ
მარჩიელთან წასვლა, უნდა გაიგოს შვილის ამბავი, იქნებ სანუგეშო
უთხრას რამე.

შინ მარტო დარჩენილმა მაიამ უხმოთ ჩამოიღო კედელზე და-
კიდებული სურათი და ცრემლ მორეულმა დიდხანს უცქირა.

ბავშვით გულამომჯდარმა ქმრის სახელი ხმა-მალლა წარმო-
სთქვა და სურათი ტუჩებთან მიიტანა. შემდეგ მოწყვეტით აკვანს
მიუჯდა და ცრემლებით დასველებული სურათი ბავშს ხელში მისცა:

— შეხედე, შეხედე ბიჭიკო... შენი მამაა... ხომ კარგი მამა
გყავს? დააკვირდი, დააკვირდი ჩემო დედიკო, ჩემო ობოლო ბიჭო.

და მაიას ხმამალალი ქვითინი აუვარდა. შეშინებულმა ბავშმა კი-
ვილი გააბა და დედას მკერდზე მოეპოტინა. მაიამ ძლივ შეიმაგრა თავი
და ბავშს ძუძუ მისცა. დიდხანს იყო ასე მაია და ჩუმათ იმდულრე-
ბოდა. ბავშს ჩაეძინა.

რადგან სახლში შეხუთული იყო ჰაერი, აკვანი ფრთხილათ გა-
რეთ გამოიტანა და სოხანეზე ჩრდილში დადგა, ბავშს მამის დარაიის
ახალუხი გადაათვარა სახესა და ამოშლილ ხელებზე, რომ ბუზებს
არ შეეწუხებია.

ტირილით თვალებ დაწითლებული და გულზე მწუხარება მო-
შგებული მაია, რა დარწმუნდა რომ ბავშს გულდაგულ ეძინა, სუ-
რათი უბეში ჩაიდვა და ბოსტნისაკენ გაეშურა.

თუმცა მისი დედამთილი ბოსტანს ყოველ დღე რწყავდა, სიც-
ხეს მაინც მოეთუშა ყველაფერი და მაია კარგახანს მოუნდა, ვიდრე
ერთ ინჯრა ფხალს იშოვნოდა. ბოლოს ფხალით და წვანილით კაბის
სავსე კალთა მაიამ მაგრათ დაიჭირა და თავის უნებურათ სახლისა-
კენ გაიქცა.

მიუახლოვდა თუ არა სახლს ერთი საშინლათ შეკივლა და იქვე
ჩაიკეცა. როცა მოსულიერდა, ისევ გულისგამგმირავი კივილი მორთო,
ხან არა ადამიანური ხმით ყვიროდა და წიოდა, სახეს იკაწრავდა და
უნებურათ ჩამოშლილ თმებს ორივე ხელით იგლეჯდა.

მაიას კივილით შეშინებული მეზობლები თავგამეტებით მორ-
ბოდენ. ზოგი ლობეზე ხტებოდა და ზოგიც კიშკარში ერთიმეორეს
ასწრებდა. მალე ეზოში შემოცვინდა მახლობელ ეკლესიაში წირვა
მოყურებული ხალხი და... ყველას საზარელი სანახავი დახვდა:

სოხანეზე სისხლის ტბაში ცურავდა გადმობრუნებული აკვანი.
იქვე ეგდო ბავშის დასახიჩრებული თავი.

ამ საზარელი სურათით გულდათუთქული ქალები მაიასთან ერ-
თად ცივი ხმით კიოდენ და მოსთქვამდენ. შეშინებული ბავშები და
შეძრწუნებული კაცები კი გახევებულნი იდგნენ.

უცებ მაია გაინაბა. შემდეგ ერთბაშად ზეზე წამოიჭრა და აკვანი
წამოაყენა, მაგრამ ბავშის დაგლეჯილი შიგანი რომ დაინახა, კივი-
ლით სახლში შევარდა და კარები ჩაკეტა.

ხალხში სამარისებური სიჩუმე დამყარდა. აღარც მაიას კვილს მოისმობდა... მალე ხალხი გამოერკვა, აჩოჩოლდა და კარების შემტვრევითანავე, რამდენიმე კაცმა, კუთხეში მიყუჩული მაია გარეთ გაუძალიანებლად გამოიყვანა. ეხლა მაია იღიმებოდა, სახე საცოდავით მოღრეცოდა და ხანგამოშვებით ჯრალაცას თავისთვის ჩუმათ ლაპარაკობდა...

— ხო, ასე მიაშბო იმ კაცმა, რომელსაც ყველაფერი ეს თავის საკუთარ თვალთ ენახა.

— კი, მარა რას შეეჭამაო აი ბავში? ძლივს შეეკითხა შიშით თვალეზადმოკაკლული და თმა აბურძგენილი პორფილე.

— ღორს... ხო, ღორს... დაეგლიჯა მას აქეთაა ღორის ხორცს რო არ ვჭამ, მძულს...

სინდისის დამშვიდებით წარმოსთქვა ნიკოლამ და ადგა.

დუქანში ორი-სამი კაცი-ლა ილუკნებოდა. ტუტუია დახლში იჯდა და ყვინთავდა.

როცა პორფილე და ნიკოლა გარეთ გამოვიდნენ, ოდნავ წინწკლავდა და სამხრეთის ქარი უბერავდა.

ყაფანი თიხქმის სულ დაცლილი იყო. აქა-იქ ბეუტავდა საზამთროებთან და ხილის ფარდულში სახელდახელოთ დაკიდებული ფარნები და სპარსელი ბაყლები ფეხი-ფეხზე გადადებულნი ისევ ჩაის სრუტავდენ.

— : —

მუნასიბი

არხივიდან ამოსვლის შემდეგ
როცა ჰაერში გახაფხულის სურნელება ტრიალებდა

რად ავიხირე არხივი,
სულის და გულის მდაღველი;
ან რათა ვწრომობ ამდენსა,—
განა ცოტა მაქვს ნაღველი?
მინდა ავცელქდე, ვით უწინ,
მაგრამ რომ არა მცალია?!..
სოსო, რა კარგი დღე არის!
სოსო, რამდენი ქალია!

რას ვეჭიდები ამ გუჯრებს,—
ამ ცხრათავიან მდევებსა,—
ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი,
მე ამდენ გამოკვლევებსა!
ჰაერში ოქრო ლივლივებს,
მთებზე—ზურმუხტი, ლალია...
აფსუს, რა კარგი დღე არის!
აფსუს, რამდენი ქალია!

სადა ხართ, ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით;
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უხალთუნებით!—
თორემ ვბერდებით! და გულმაც
ლოდინის შხამი დალია...
ჰაუ, რა კარგი დღე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!

1929. აპრილი.

შრომის ზმირს

მოდი ქაბუკი შორი სოფლიდან
და ქარხნის ბულმა დაგწვა თვალები.
არ იყო შენთვის უცხო ოფლი და
ლუკმა-პურისთვის გარჯა, წვალება.
კარგად იცნობდი თოხსა და გუთანს,
ებრძოდი შავბედს ჯერ ერთი ციდა.
უნთებდი სანთელს ქრისტეს და გუდანს,—
მაგრამ დუმილი ცვივოდა ციდან.
შრომა ამაოთ გეკარგებოდა...
ან რას მოგცემდა ხრიოკი მიწა?
თვალწინ სხვა კუთხე გეკარგებოდა,
სადაც სიმდიდრე ზღვასავით იწვა.
და ქალაქისკენ გამოიქეცი,
რომ გაქცეოდი ტანჯვათა კოცონს...
და დღეს, როს შრომის ბურჯად იქეცი,
იგონებ წარსულს და თავი მოგწონს.
მაგრამ მაშინ კი სულ სხვას ფიქრობდი,
როცა მიგჯაჭვეს მანქანის ლერძზე,—
გულში ჩაგიჯდა სევდის მიკრობი
და ჭმუნვის ლოდი დაგეცა მკერდზე.
ვით გალიაში ჩასმული ლომი,
ეხეთქებოდი გამურულ კედლებს;
მაგრამ ძნელია შიმშილთან ომი,
როცა მოგისევს შავფიქრთა მხედრებს.
ბედის განაჩენს ჟამით დანებდი,
იტვირთე შრომა აუტანელი,
და ასრულებდი რასაც ბრძანებდა
ოქრო, ცივი და გაუტანელი.
ჭმნიდი სიმდიდრეს,—
ის სხვას მიჰქონდა
და კითხულობდი:

„რად ხდება ასე?!“

და შენი ფიქრი ნელ-ნელ მიგორდა
სიმართლის ბჭესთან და ეძმე მასებს.

და დაიგრგვინე:

„დავლევოთ, ძმებო,

ეს ბორკილები ოქროს და რკინის,

რომ მოგვსალტვია უჩინრად ძვლებზე

და ანთებს გულში ტანჯვის საკირეს!“

და შემდეგ მუდამ ორ ფრონტზე იბრძვი,

არ იცი შიში, არ იცი დაღლა,

ქვეყნის სიკეთის შეგნებით იწვი

და შრომის გმირი გქვიათ შენ ახლა.

— : —

ლი ა ფ ე რ ე ბ ი თ

(სამაისო).

ვხედავ:

 ქუჩებს მოსდებია
საუცხოვო ალი!
ეს წითელი დროშებია:
მოდის:

 კაცი...

 ქალი...

პიონერთაც მოდის გუნდი,
ბარაბანით...

 სტვენით...

მომავალში მთლად დავრწმუნდი
ნახულ-მონასმენით!

 ზღვაა—ეს, რომ მოირხევა
თუ ცოცხალი ძალა?
ქუჩებშიც რომ არ ეტევა
ასე რამ გაშალა?

 სოფლებიც რომ აზვირთულა
ირგვლივ—ბევრზე ბევრი,
ცეცხლის ფრად რომ გაკვირტულა:
მთა, ქალა თუ ტევრი...

 ასე წითლად რამ გააპო
ცის უკმეხი მზერა?
რა მაჯაა, საარაკო,
ან რა გულის ძგერა?

 თუ ფირუში იჭერს მარჯანს,
ვით ძვირფას თვალს—ბუდე,
ქვეშ უპყრია მიწა ამ ჯანს,
ცაა მხოლოთ ზღუდე!

არა. არა...

დღეს ცამც დასთმო,
მზე მას რაშით აპობს:
მტვერსა ჰყრის და მიწას ათოვს,
ავარაყებს... ამკობს...

მიწამც მკერდი გადისერა
მარჯნის ურიცხვ ზოლით!..
ეს ხომ სისხლით დაიწერა
და მოიგო ბრძოლით!

ეს ხომ შრომის ჯარი არის,
პროლეტარიატი,
ახალ დღეთა დარ-ავდარის,
ბრძოლის ვარიანტი!

დღეს ის ძალთა ჩინებაა,
გამომწეურება,
ჩვენი აღორძინებაა,
მტრის ავსვეურება!..

აღლუმია იგი ჩვენი
და აღრიცხვა ძალთა...
მოდის დროშა, ო, რამდენი!
სთესს უხვების კალთა!..

თითქოს წითელ ტყეში ვდგევარ,
ვჭვრეტ ამ ულევ ტყესა,
და მეც ამ დიდ ტყესა ვგევარ,
ვგევარ ა იმ მზესა!

ამ ხალხს ვგევარ:

ამ კაცს...

ამ ქალს...

და ამ პიონერებს...

გულიც, რაც კი ხვდება ამ თვალს,
მასვე იმეორებს...

და ცემაზე ბარაბანის,
„დინგ-დანგ“!—ისიც ურტყამს...

ჯანმა ცნობა იცის ჯანის,
გულიც სწორობს გულთან!

და მოიწევს:

კაცი...

ქალი...

პიონერთა გუნდი...
დავიჯერე მომავალი,
მასში მთლად დავრწმუნდი!

ეს ხომ შრომის ჯარი არის,
პროლეტარიატი,
ახალ დღეთა დარ-ავდარის
ცეცხლის გირლიანდი...

— : —

წარსული და აწმყო

(მოხუცი გლეხის ნაამბობი)

თუ უწინ
სისხლით
ვრწყავდით
ბატონთა
მინდორ-ველებს;—
გულში იმედსაც
ვრგავდით,
სამტროდ ვლესავდით
ცელებს.
ვშრომობდით,
ოფლსა ვღვრიდით,
სიკვდილის წაღდი
გვსხლავდა;
სხვისთვის სიმდიდრეს
ვქმნიდით,
ჩვენ კი სიმშვილი
გვკლავდა.
არ გვქონდა
მოსვენება,
ძილი არ იყო
მონის;
მუქარა,
კიცხვა,
გინება
გვესმოდა
მხეცი ბატონის.
ზოგნი ძაღლებზე
გვცვიდნენ
და ზოგნიც

მიმინოზე;
ქალებს ნამუსსა
ჰხდიდნენ,
ან ჰყიდნენ
ოსმალოზე.
ჩვენ მომსწრენი ვართ
ყველა:
კევრში
სახრის ქვეშ
ხტუნვის
და ბოლოს
ძლივს გვეშველა,
გაჰქრა ღრუბელი
ჰმუნვის.
გავნთავისუფლდით
ბრძოლით,
ალიგვა
ღამე ბნელი
დაიმსხვრა
ბორკილები,
გატყდა
მონის უღელი,
ვლადობთ
შვილით და
ცოლით,
ხარობს
მთელი სოფელი.
იქ, სადაც გლეხი
წინათ

ებრძოდა მიწას
ბარით,
ტრაქტორმა
დაიგრგვინა,
ღრმად ხნავენ
რკინის ხარით.
სკოლებით
დაიქსელა
სოფლები,
თემი,
დაბა;
ცხოვრებაც
ღუღს და ღელავს,
ვუსმენთ რადიოს
ხარბათ.
იქ, სადაც უწინ
ცელით
ძვიდნენ
მრავალნი
ყანას, —
ღღეს მხოლოდ
ერთი ხელი
მართავს
სათიბ-მანქანას.
ჭრაქის მაგივრად
ქობში
ჩახჩახებს,
ელნათური,
ყველა ჩაბმულა
დოდში,
ყველგან შრომაა
ძმური.
იჭრება
გზა და არხი,

მრავლდება
სამკითხველო
და აყალიბებს
ხალხი
კომუნას,
სასახელოს.
საერთო
ხენა და თესვა
ახალი მანქანებით;
მოისპო
ტანჯვა-კვნესა,
ისმის მხნე
სიმღერები.
რაც იყო,
აღარ არი
და ველარც
დაბრუნდება;
ოქტომბრის
ცეცხლის ქარი
ყველგან
აგუგუნდება.
აღარ იქნება
ქვეყნად:
დავა,
ომი და
შური;
აღორძინდება
შრომა,
შრომა საერთო
ძმური
და იგუგუნებს
მედვრათ
ჰიმნი კოლექტიური.

მამარჯანიშვილი კალიშვილი

I

დაწესებულებაში ხმა გავარდა: პარმენ ჯამბაზაძე დაითხოვესო.

— მიქარვია, — ამბობდენ ერთნი. — მაგას ვინ გადააყენებს, ბედი სწყალობს, ყველაფერი გაუდის. არა, ტყუილია, ბატონო!

— ფაქტია, ბატონო, ფაქტი! — დასძენდნენ მეორენი. — ისეთმა პირმა სთქვა გადააყენესო, რომ შეუძლებელია არ ვერწმუნოთ.

— თქვენს პირს შაქარი, თუ ასეა, მაგრამ... — თავს აქნევდენ ურწმუნონი.

— აი, ნახავთ, დღეს ბრძანებაში იქნება გატარებული! — მტკიცედ და დარწმუნებით სთქვა იმ განყოფილების მდივანმა, რომლის გამგედაც ჯამბაზაძე იყო. — აი, კოტეს ჰკითხეთ, თუ არ გჯერათ.

კოტე იმ დაწესებულების პასუხისმგებელი კომუნისტი იყო. ყველანი მიცვივდნენ კოტეს და სეტყვასავით მიაყარეს კითხვები:

— ამხანაგო კოტე, მართლა გადააყენეს ჯამბაზაძე? ამხანაგო კოტე, მართლა სწერენ ბრძანებას? ამხანაგო კოტე, მართალია ხმები რომ დადის?

— მართალია, ამხანაგებო! ჯამბაზაძე გადაყენებულია, — უპასუხა კოტემ, — დღეს ბრძანება იქნება.

ყველამ სიამოვნებით და თავისუფლად ამოისუნთქა, დაიწყეს მოგონება ჯამბაზაძის შესახებ. ერთი ვერ ასწრებდა მოგონებას, რომ მეორე გააგრძელებდა, მეორეს მესამე უმატებდა, მესამეს მეოთხე. და იმ ლაპარაკისათვის გარეშეს რომ ყური დაეგდო, დაახლოვებით შემდეგს სურათს წარმოიდგენდა:

პარმენ ჯამბაზაძე უწინ პროვინციაში მსახურობდა, იქ დაწინაურდა, მაგრამ ტფილისიდან მოსული განკარგულებით ყოყოჩობისა და ზვიადობისათვის ადგილიდან მოხსნეს. უადგილოდ დარჩენილი პარმენი ტფილისში ჩამოვიდა. აქ რალაცა მანქანებით მან დიდი ადგილი ჩაიგდო ხელთ: ამ დიდი დაწესებულების ერთ-ერთი განყოფილების მმართველობა იშოვნა.

როცა მმართველი პირველად შემოვიდა განყოფილებაში, გასცა ფიცხელი განკარგულება; მიატოვეთ მუშაობა და შეიკრიბენით ჩემს

კაბინეტში. შეკრებილ მოსამსახურეებს მმართველმა შემდეგი სიტყვით მიმართა:

— ამხანაგებო! მე, პარკენ ჯამბაზაძე, ვარ თქვენი მმართველი. კონკრეტულათ რომა ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვარ თქვენი უფროსი და თქვენ მე უნდა მემორჩილებოდეთ. გარდა ამისა, მე ერთი პრინციპიალური საკითხი ახლავე უნდა გადავწყვიტო: ჩემთან შემოსვლა არავის შეუძლია, თუ ამის შესახებ მე წინასწარ მდივანმა არ მომახსენა. მე ვხედავ, რომ დისციპლინა თქვენში არ არის მაგალითად, მე პროგრამულ სიტყვას ვამბობ და ზოგიერთ თქვენგანს კი ეცილება. თქვენი სიცილი ჩემთან პირველი და უკანასკნელია. გარდა ამისა, სასტიკად გიკრძალავთ ლაპარაკს, სიცილს, და ყოველივეს რაც ჩემგან არ იქნება ნება დართული.

და მმართველი ერთი საათის განმავლობაში ვრცელს ლექციას უკითხავდა თავის ახალ თანამშრომლებს დისციპლინაზე, მუშაობაზე, ავტორიტეტზე. ბოლოს, მოსამსახურეები დაითხოვა და კაბინეტში შევიდა.

— მდივანო!— დაიძახა კაბინეტიდან მმართველმა.

როდესაც მდივანი ეახლა, მმართველმა უბრძანა;

— რეორგანიზაციაა საჭირო. ჩემი საწერი მაგიდა უნდა ფანჯრისაკენ მივწიო. გარდა ამისა, აქვე, მეორე, პატარა მაგიდა უნდა დაიდგას და ხუთი სკამი. გაიგეთ, ხუთი სკამი, არც მეტი, არც ნაკლები. გაძლევთ ოცდა ოთხ საათს ამ რეორგანიზაციის დასამთავრებლად.

თავის პირდაპირ მოვალეობას მმართველი ასე ასრულებდა: როდესაც მასთან ხელქვეითი გამგეები მოხსენებით მივიდოდნენ და შეეკითხებოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ ამა თუ იმ საკითხში, ჯამბაზაძე შეეკითხებოდა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ ამ საკითხზე?

და როდესაც გამგე პასუხს მისცემდა, მმართველი თვალებით ჭერს შეაშტერდებოდა, მერე იმ თვალებს გამგისაკენ გადმოაბრიალებდა და დინჯად, პროფესორის კილოთი ეტყობდა:

— მეც ასე ვფიქრობ. აბა, ასე გააკეთეთ...

და თავისი სიტყვებით გაუმეორებდა გამგეს გამგისავე აზრს. როდესაც უმაღლეს ინსტანციებში რომელიმე პროექტისათვის საჭირო იქნებოდა დასაბუთებული მოხსენება, მმართველი იმ მოხსენებას გამგეს დააწერინებდა, თავის სახელს მოაწერდა და ისე გაგზავნიდა.

უყვარდა სხვისი დაჩრდილება, თავისი თავის გაზვიადება.

ხშირად კაბინეტის კარს გააღებდა, ელსმენს ჩამოიღებდა და რომელიმე დიდ პასუხისმგებელ პირს დაუწყებდა ხმა-მალლა საუბარს: აი, ვის ველაპარაკები, პატარა კაცი ხომ არ გგონივართო.

მაგრამ ასეთი ოინის დროს მმართველს ერთხელ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ერთხელ ავად გახდა. რამოდენიმე დღე იწვა. როცა მომჯობინდა და სამსახურში მოვიდა, კაბინეტის კარი ღია დატოვა, ელსმენი ჩამოიღო და გამოიძახა ერთი დიდი პასუხისმგებელი პირი, რომელიც სწორეთ იმ დღეებში, როცა მმართველი ავად იყო, მოსკოვს გაეგზავრა.

— ალლო! — ლაპარაკობდა ელსმენით მმართველი. — თქვენა ბრძანდებით, ამხანაგო ონოფრე? გმადლობთ, გმადლობთ!.. ახლა კარგათა ვარ, არა მიშავსრა. რა? ჰო, საქმე კარგად მიდის, ჩემი განყოფილების მუშაობა კლასიკურად მაქვს დაყენებული. თავს მოვუარო? რასა ბრძანებთ, ამხანაგო ონოფრე! სანამ თებზე ვდგავარ, თავს როგორ გავუფრთხილდები? ხომ იცით, ჯერ საერთო საქმე და მერე კერძო. რა? ამ საღამოს შემოვიარო? ავტომობილს გამომიგზავნით? მცხეთისაკენ გავისეირნოთ? გმადლობთ, გმადლობთ, რათა სწუხდებით? ჰო, კარგი, თქვენი ნება იყოს! მაშ მე გიცდით. ნახვამდის...

მოსამსახურეები ყურს უგდებდენ მმართველის საუბარს და შეკავებული სიცილით იცინოდნენ.

ერთხელ ერთ მოსამსახურეს შვილი გაუხდა ავად. მოსამსახურემ განცხადება მიართვა მმართველს და ავანსი, ითხოვა. მმართველმა იმ განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადო: „ვინაიდან ავანსს მოსამსახურის ბიუჯეტზე უარყოფითი გავლენა აქვს, შეაქვს მასში მერყეობა და უკარგავს წონასწორობას, დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას“.

ასე მიდიოდნენ დღეები, თვეები. ყველას შეაძულა თავი ჯამბაზაძემ. ყველა გაუბოდა მასთან დამოკიდებულებას. რამოდენიმე თანამშრომელმა კიდევ მიანება თავი სამსახურს: სხვაგან გადავიდნენ. მმართველმა ეს იცოდა, მაგრამ აინუნშიაც არ მოსდიოდა. ერთხელ კიდევ სთქვა?

— თებზე მკიდია თანამშრომელთა პატივისცემაო.

ბოლოს, კოკამ წყალი ყოველთვის ვერ მოიტანა. ერთხელ ჯამბაზაძე სადღაც მოულოდნელად გაიწვიეს და მოსთხოვეს დასაბუთებული აზრი იმ საქმეზე, რომელიც მას ებარა. ჯამბაზაძე სახტად დარჩა. ვერაფერი სთქვა და იმ დღეს მისი კარიერაც გადაწყდა.

აი, ისეთი კაცი იყო პარმენ ჯამბაზაძე.

II

გავიდა რამოდენიმე დღე. განყოფილება განაგრძობდა ჩვეულებრივ მუშაობას, მაგრამ ნერვიულობა ყველას ემჩნეოდა.

— ვის დანიშნავენ ნეტავი?— ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— ვინც უნდა დანიშნონ, იმაზე უარესი მაინც არ იქნება.

— არა, ძმაო, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის დანიშნავენ. უხეშ, ბრიყვ და უზრდელ ადამიანთან სამსახური წამებაა, კაცურ კაცთან მუშაობა კი ბედნიერებაა.

— თქვა რუქამ არაკი.

— რუქამ კი არა ზურგიელიძემ.

ასეთი საუბარი ხშირათ ისმოდა განყოფილების მოსამსახურეთა შორის.

ერთ დღეს განყოფილებაში ვიღაცამ სთქვა: ახალი მმართველი დანიშნესო!

— ვინ? ვინ?— მიაყარეს კითხვები.

— სპეცია?— კითხულობდნენ ერთნი.

— პარტიულია?— კითხულობდნენ მეორენი.

— არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ პირდაპირ დაზვიადან დანიშნეს, მიუგო ამბის მომტანმა.

— ერიჰაა!— სთქვა ერთმა ძველმა „სპეცმა“, — ახლა იმას უნდა ასწავლო. კაცო, აქ სკოლა ხომ არ არის, რომ სასწავლებლად მოვიდეს?

— ოღონდ სამართლიანი იყოს და, რაც უნდა ის იყოს!— სთქვეს სხვებმა.

ამაზე ლაპარაკი შესწყდა.

ორი-სამი დღის შემდეგ, დილით, განყოფილებაში შემოვიდა ერთი სადად ჩაცმული, ახოვანი კაცი. ხელში რუსული ქუდი ეჭირა, ძველი ფეხთსაცმლები ეცვა, ტანზე შავი ხალათი და ხალათზე უბრალო ტყავის სარტყელი ერტყა. გაუბედავად შემოვიდა და მმართველის კაბინეტისაკენ გაემართა. კაბინეტთან რომ მივიდა, მდივანმა შეაჩერა:

— შესვლა აკრძალულია! ვინ გნებავთ?

— მე... მე ამ განყოფილების მმართველი ვარ...— დინჯად და ხმა-დაბლა უპასუხა სადად ჩაცმულმა კაცმა.

მდივანი გაოცდა, ხელი პირთან მიიტანა, თითები მილივით გააკეთა და ჩუმად გადასცხა მოსამსახურეთ:

— ახალი მმართველია...

ყველა გაოცდა. წამოიშალნენ ადგილებიდან, შეჯგუფდნენ და დაიწყეს კითხვა-გამოკითხვა.

— ზ...ზრ...ზრ...რ...რ...—მოისმა კაბინეტიდან ზარის ხმა.

მდივანი შევიდა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით, ამხანაგო?—შეეკითხა ახალი მმართველი მდივანს.

— მე განყოფილების მდივანი გახლავართ, — უპასუხა მდივანმა.

— სთხოვეთ მმართველის მოადგილეს და გამგეებს.

როდესაც მოთხოვნილი მუშაკები კაბინეტში მოგროვდნენ, მმართველმა ყველას ჩამოუარა, ხელი ჩამოართვა; გვარი, სახელი და თანამდებობა გამოჰკითხა, მერე სთხოვა განეგრძოთ მუშაობა როგორც უწინ.

— მე ამ საქმისა არა მესმის-რა. მაგრამ თქვენს ცოდნასა და პატიოსნებას ვანდობ ჩემს თავსა და საქმეს. იმედი მაქვს, ჩვენ გვექნება საერთო ენა და ვიქნებით ერთმანეთის კმაყოფილი.

მერე ახალი მმართველი და მისი მოადგილე მარტონი დარჩნენ და ბევრ ხანს ითათბირეს.

როცა პასუხისმგებელი მუშაკები კაბინეტიდან გამოვიდნენ, გაიმართა მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. როგორც ყოველთვის ხდება, ისინი სამ ჯგუფად გაიყვნენ.

პირველი ჯგუფი ამბობდა:

— რა უნდა გააკეთოს იმ კაცმა, რომელსაც არაფერი ესმის? ხურმა ხომ არაა? ასე, ძმაო, საქმე არ გაკეთდება. თავისი აზრი არ ექნება.

ამ ჯგუფში განსაკუთრებით ცხარობდა დავით იორაშვილი. ოხუნჯობდა:

— ვარდანის „მელის წიგნიდან“ ერთი არაკი მომაგონდა. „ერთი რძალი იყო მშვიდი და მდაბალი. დედამთილმა და მამამთილმა სთქვეს: „ჩვენი რძალი ვცადოთო“. ერთმა უთხრა: „რძალო, კარი მიუგდეო!“ მეორემ უთხრა: „კარი გააღეო!“ რძალმა კიდევ გააღო, კიდევ მიუგდო“... ასე იქნება ეს ბატონიც უკეთეს შემთხვევაში: ეტყვი—გააღებს; ეტყვი—მიუგდებს.

ამ არაკმა ყველა გააცინა.

მეორე ჯგუფი ამბობდა:

— რა ვუყოთ, რომ საქმე ჯერ არ ესმის? უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ მმართველი კლასი უნდა იდგეს სათავეში. შეისწავლის თანდათან. მთავარი მხოლოდ ისაა, გამოდგეს კარგი ადმინისტრატორი და იყოს სამართლიანი.

ამ ჯგუფის თვალსაზრისს თავგამოდებით იცავდა ალექსი შევარდნაძე მან დავით იორაშვილს არაკზე არაკითვე უპასუხა;

— ვარდანის „მელის წიგნში“ მეორე არაკიც არის. „კაცი ერთი, სიცხეში აღმართ მიდიოდა. ბევრს გაისარჯა, ადამ და ევა გაჰკიცხა, თქვენის მოუთმენლობით სამოთხიდან გამოსცვივდითო. გრვენა ანგელოზი და უთხრა: „თუ მოითმენ და ხმას არ ამოიღებ, წაგიყვან სამოთხეშიო“. აღუთქვა, ხმას არ ამოვიღებო. უეცრათ დაეძინა, ნახა თავისი თავი სამოთხეში; ფრიად გაიხარა. ნახა: კაცი ეკალსა და ხის შტოებს იკიდებდნენ და სიმძიმით ვერ აეწიათ. კიდევ და კიდევ უმატებდნენ. ვერ მოითმინა და უთხრა: „თქვენ, უგონოებო, შეიმსუბუქეთ, რომ შეიძლოთ წაღება!“ თვალი გაახილა, ნახა: ისევ აღმართში აკიდებული კვნესით მიდის“...

— თქვენი იგავი ვერ გავიგეთ, ბატონო ალექსი?—დაცინვით უთხრა ალექსის დავითმა.

— გაუგებარი არაფერია. ახლო წარსულში ჩვენ ყველანი მძიმე ტვირთ აკიდებულნი მივდიოდით აღმართს. ვხედავდით: კაცი ეკალსა და ხის შტოებს იკიდებდნენ და სიმძიმით ვერ აეწიათ. ახლანდელი მდგომარეობა წარსულთან შედარებით სამოთხეა. და რათ გინდა უთხრა იმ ხალხს: თქვენ უგონოებო, რათ არ შეიმსუბუქეთ ტვირთი? გინდა ვარდანის მგზავრით სამოთხიდან გამოგავდონ და ისევ აღმართს გაუდგე?

მოგონება ფრიად მწარე იყო და არავის გაუცინია, მხოლოდ ამ არაკმა ყველა ჩააფიქრა. ალექსიმ დაუმატა:

— აბა, დაფიქრდით თვითონ. არც ერთი დიდი სოციალური ცვლილება უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა. იგავები რათ გვინდა, ბატონებო, ისტორიას მივმართოთ. განა ჩვენ არ ვიცით, რომ რუსეთში ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ათეული წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა წლიდან-წლამდე ეცემოდა, სანამ ხალხი შეეჩვეოდა ახალ სოციალურ პირობებს? მაგრამ მეურნეობის დაცემა იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ბატონ-ყმობის გადაგდება მიუღებელი იყო?

მესამე ჯგუფი კი ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა. იმას უცდიდა ვინ გაიმარჯვებდა ბოლოს. ეს ჯგუფი ყველას თავს უხრიდა და ტაშს უკრავდა მრუდსა და მართალს, ვისაც კი კაპორალობა შეეძლო და ჯოხი ხელთა ჰქონდა.

III

ახალი მმართველი, პეტრე ხატიაშვილი, მართლაც დაზგის მუშა იყო: თავდაპირველათ ის უარზე იდგა: ეშინოდა ასეთი დიდი თა-

ნამდებობის მიღებისა. მეფის ჟანდარმებს არ შეუშინებია, ციხე-კატორღას მისთვის წარბი არ შეუხრევენებია, ამ განყოფილების ჩაბარებისა კი ეკრძალებოდა.

— ღმერთმა იცის მაგათი თავი, ვისთან მომიხდება მუშაობა ვგებ შეითქვინენ, პირი შეჰკრეს, ცუდი რამ ჩამადენინონ და გამიტეხონ სახელი. მე კარიერის მაძიებელი არა ვარ. ჩემი საქმე ქარხანაა და არა კაბინეტებში ჯდომა, — ეუბნებოდა თავის ამხანაგებს.

— მართალი ხარ, პეტრე, მაგრამ მონაპოვარს გაძლოლაც უნდა, — უპასუხეს.

— მერე, ეს ხომ უნდობლობაა ინტელიგენციისადმი? ჩვენ თუ ინტელიგენციას არ ვენდეთ, მარტონი ვერას გავხდებით.

— რატომაა უნდობლობა, კაცო? ერთად რომ ვიქნებით, შევეჩვევით ერთმანეთს, შევეგუებით.

ასე იყო თუ ისე, პეტრე ხატიაშვილი დანიშნეს პასუხიმგებელ ადგილზე. დაჯდა კაბინეტში.

და იმ დღესვე, როდესაც პეტრე პირველად მოვიდა დაწესებულებაში, სამსახურის გათავების წინ უთხრა მდივანს:

— განყოფილების თანამშრომელთ სთხოვეთ ხუთიოდე წუთით დაიცადონ მუშაობის შემდეგ.

როცა სამუშაო დღე გათავდა, მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს კაბინეტთან. ყველა დაინტერესებული იყო, რას იტყოდა მმართველი. ყველას ახსოვდა პარმენ ჯამბაზაძე, მისი პირველი სიტყვა და უნებლიეთ იბადებოდა შედარების აზრი, შერჩევის სურვილი.

— ამხანაგო, მოსამსახურეები გელიან. — მოახსენა მდივანმა პეტრეს.

პეტრე პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა. ღელავდა. ეუცნაურა ეს გრძნობა. გაახსენდა, თუ როგორ აუღელვებლად იდგა ბარიკადებზე, როგორის სიმტკიცით შეუხედავს მრავალჯერ სიკვდილისათვის თვალებში, ხოლო ასეთი აღელვება არ უგრძნია.

გამოვიდა კაბინეტიდან. საერთო სალაში მისცა ყველას და თვალი გადაავლო დარბაზს.

უჰ, რამდენი ქალია!.. ყოველი ჯიშის, ყოველი ფერის. შავი თმიანი, ჩალისფერი, ქერა. გატიტვლებული მკლავები, დეკოლტე მუცლამდე, ამოფუებული ძუძუები. თვალი მოჰკრა ერთ ქალს: ჩალის ფერი თმა ოფოფის ქოჩორივით წინ გადმოევარცხნა, გრძელი შავი საყურეები ჰქონდა, ტუჩები წითლად შეუღებავს, თეთრი და მსუქანი ხელები ფართე გავაზე დაეწყო; გვერდით გამდგარა, ფანჯარასთან, ყველაზე უკან. კისერი მოუღერებია და ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა.

პეტრეს თვალი თვალში გაუყარა იმ ქალმა, შემდეგ თვალები და-
ბლა დახარა და მარჯვენა ფეხით თავის წინ წრე შემოივლო. პე-
ტრემ თვალი მოჰკრა ლაკის ტუფლებს, პატარა ფეხებს და ისიც შე-
ნიშნა, რომ ქალს თხელი კაბა ეცვა, გამჭვირვალე, და იმ კაბაში
ნათლად დაინახა განიერი თეძოები.

პეტრემ ქუდი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში ჩასდო, მერე
ისევ მარჯვენაში გადაიღო. მარცხენა ხელით ოდნავ შეჭალარავე-
ბული ხშირი თმები გაისწორა, ლომის ფაფარივით რომ დაჰყროდენ
მალალსა და ღია შუბლზე. წელში გაიმართა, მხრებში გასწორდა და
თანამშრომლებს მიმართა:

— ამხანაგებო! ბოდიშს ვიხდი, რომ ხუთიოდე წუთს წაგარ-
თმევთ... მე... მე უბრალო მუშა ვარ. ბევრი არა მისწავლია რა.
თქვენისთანა წრეში მე ჯერ არ მიმუშავებია. თუ რამეში შევცდვ,
გთხოვთ მკაცრად არ განმსაჯოთ. მე ვიმუშავებ თქვენთან ერთად,
ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით. ნაკლი ბევრია, ბევრი რამ
გვაკლია, მაგრამ ჩვენს გულწრფელს მუშაობას ჩვენს მშრომელ ხალ-
ხსა და ქვეყანას ნუ მოვაკლებთ. უსამართლობას ჩემგან არ ექნება
ადგილი. ისე მომეპყარით როგორც თანასწორსა და ამხანაგსა, მე
ვეცდები დავიმსახურო თქვენი ყურადღება. მეტი, მეტი არაფერი,
ამხანაგებო!..

პეტრემ მოკლე სიტყვა თმების ენერგიული დარხევით დაამთა-
ვრა. ერთხელ კიდევ დაუკრა თავი ახალ აუდიტორიას და კაბინე-
ტში შევიდა.

მოსამსახურენი რამოდენიმე წამს უხმოდ, უსიტყვოდ იდგნენ.
შემდეგ უშქარ ბრბოსავით ახმაურდნენ. უზიარებდნენ ერთმანეთს იმ
შთაბეჭდილებას, რომელიც დასტოვა ახალი მმართველის სიტყვამ.

— ამისთანა კაცთან თავს დავაკლავ სამუშაოს, — ამბობდა
ერთი.

— მუშაა, ჯერ არ გაურყვნია ბიუროკრატობას. ნეტავი ბო-
ლომდე შერჩებოდეს ეს სიმარტივე და გულწრფელობა! — ოხვრითა
და ნატვრით დასძენდა მეორე.

— პირველად მესმის ამ ხალხისაგან ასეთი ოქროს გულწრ-
ფელი სიტყვები... ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქმნას... — თავს აქნევდა
და არ ამთავრებდა თავისს აზრს მესამე.

— აი, ამასთან დავჯდები და, თუ არ მიმტყუნა, მთელი ღა-
მეებით ლექციებსა ვუკითხავ, — სთქვა ხმა მალლა შევარდნაძემ.

— ქართული ანდაზაა, ფონი გასვლის შემდეგ დალოცეო. —
გესლით უპასუხა იორაშვილმა შევარდნაძეს.

შევარდნაძეს ეწყინა. შეჩერდა იორაშვილის წინ და ცივად უთხრა:

— ბატონო დავით! გამიგონია. მართლმორწმუნე მუსლიმანი თავის სიცოცხლის მიზნათ ისახავს მექას ჩასვლას და მუჰამედის საფლავის ლოდის ამბორს. ამის შემდეგ ის გახურებული შანთით ამოიწვავს თვალებს: უკეთეს ვერ ვიხილავო... შენ ასეთ თვალდამწვარ მუსლიმანს მაგონებ. შენ გადაგიწყვეტია, რომ ძველის შემდეგ უკეთესს ვერ იხილავ და ამოგიწვავს თვალები. არ გეწყინოს, მაგრამ მე ის გითხარი, რაც ვიგრძენი შენი ანდაზის შემდეგ.

— იცი რა, ბატონო ალექსი! მე ქართლელი ვარ, შენ იმერელი. გვირაბის იქითელი ხალხი ჩქარია, გრძნობით მოქმედობს, ამერეთი კი დინჯია, თუ გნებავს გონება ზანტიცაა, მაგრამ გონებით კი მოქმედობს. გასვლის შემდეგ ფონის დალოცვაც ქართლმა შექმნა. მე თვალდამწვარი ფანატიკოსი არა ვარ. გარწმუნებ, ოღონდ ამ ხალხმა ჩვენს ქვეყანას გულწრფელათ ემსახუროს და მე პირველი დავუკრავ ტაშს. მე, შენ იცი, გულგატეხილი ვარ, მაგრამ ჩვენს ახალ მმართველზე მოგახსენებ, ოღონდ მან გვიჩვენოს სურვილი თავისი სიტყვების ასრულებისა. ოღონდ ის გულმოდგინედ მოუჯდეს საქმეს, ავტონომილებით არ დაიწყოს სეირობა და მე, სიტყვას გაძლევთ ამ ხალხთან, პირველი მივალ მასთან, ქედს მოვიხრი და საჯაროდ ვეტყვი: ურწმუნო თომა ვიყავ, შენ გაიმარჯვე, გალილეველო!

— არ იზამ შენ ამას! — უთხრა ალექსიმ.

— ვიზამ!

— ერთი კარგი ვახშამი, — უთხრა ალექსიმ.

— მოდის. — უპასუხა დავითმა.

— მოწმეთ თქვენ იყავით! — მიუბრუნდა ალექსი იქ დამსწრეთ და დაუმატა: ვნახოთ ვინ წააგებს.

ამ ლაპარაკში ქუჩაშიც გამოვიდნენ და დაიშალნენ.

IV

პეტრე ხატიაშვილი იყო ძველი რევოლუციონერი, მუშა. არც მარტში და არც ოქტომბერში მოსულა ის რევოლუციასთან. არც ანგარების უსირცხვილო ქვეყნიდან ჩამოსულა საგასტროლოდ რევოლუციასთან. არა! რევოლუცია მოვიდა მასთან ერთად. შორით მოდიოდნენ რევოლუცია და პეტრე, შორით. და იყვნენ ორნივე განუყრელი.

რევოლუციამდე პეტრეს სოციალიზმის დამყარება უფრო იოლ საქმედ მიაჩნდა. მას სოციალიზმი ურყევი ნებისა და უდრეკი

სურვილის შედეგად წარმოედგინა. ის დარწმუნებული იყო, რომ ბარიკადებიდან გამარჯვებით ჩამოსვლა და პირდაპირ სოციალიზმში შესვლა ერთი იქნებოდა. ამ მხრით ის ძლიერ წააგავდა ცნობილ პასტორ ობერლინს, რომელიც ელზასის ქალაქ გოლდბახში თავისი სარწმუნოებრივი აღტყინებით იქამდე მივიდა, რომ საიქიოს გეოგრაფიული რუკა შეადგინა და ზეციერი იერუსალიმის გეგმაც კი დაურთო. პეტრესაც ჰქონდა ასეთი გეგმა. მაგრამ პეტრეს გეგმასთან ერთად ჰქუაც ჰქონდა. არ იყო ფანატიკოსი და როდესაც დაინახა, რომ რევოლუციისათვის საჭიროა არა მარტო ბარიკადებზე ბრძოლა, არამედ კაბინეტშიაც ჯდომა, ანგარიში, არშინი და გირვანქები, შეურიგდა მდგომარეობას და ხელი მიჰყო მისთვის ახალ საქმეს.

ძნელი იყო პეტრესთვის ეს საქმე. მაგრამ პეტრე რევოლუციონერი იყო და იმ ხალხის წრიდან გამოსული, რომელმაც ერთ სუსხიან ოქტომბრის დღეს ძველს ქვეყნიერებას პირში მიახალა: ან თქვენ, მილიონებო... ან ჩვენ ასეულებიო...

და... Fortus fortuna adjuvat.

პეტრე ჯერ შუახნის კაციც არ იყო, მაგრამ დიდი დაკვირვებისა და ტაქტის პატრონი იყო. ის ჯერ შორიდან უყურებდა თავისი განყოფილების მუშაობას, აკვირდებოდა როგორც თანამშრომლებს ისე იმ ხალხს, რომელიც მის დაწესებულებაში მოდიოდა. როცა ქალაქებზე ხელის მოწერა დაიწყო, შავების დატოვებაც დაიწყო; გაღამობით იმ შავებს კითხულობდა, სწავლობდა. მან შეამჩნია, რომ დაწესებულების თანამშრომელთა ნაწილი მას აღმაცერად უცქეროდა, ხანდახან დასცინოდა კიდევ. მაგალითად, მეზობელ განყოფილების უფროსმა ერთხელ ერთი ქალაქი მოუტანა და უთხრა:

— ამხანაგო პეტრე, ეს ფრიად სერიოზული საკითხია და მინდა პირადად თქვენი აზრი.

მერე მეზობელ განყოფილების უფროსი დაჯდა და დაუწყო ბაასი. პეტრემ ვერაფერი გაუგო და უთხრა:

— მე ამ საკითხზე პასუხს ვერ მოგცემთ. ჩემი თანაშემწე იცნობს ალბად ამ საკითხს.

და დაუძახა თანაშემწეს.

როდესაც თანაშემწე შემოვიდა, პეტრემ უთხრა:

— ამხანაგო ლადო, ამ ამხანაგს აინტერესებს ერთი საკითხი. მე პასუხი ვერ გავეცი და გთხოვთ განუმარტოთ.

— მაშ მე და ლადო ცალკე მოვილაპარებთ. — დაცინვით სთქვა მეზობელ განყოფილების უფროსმა და წამოდგა.

— არა, უკაცრავათ! — მტკიცედ და ცივად უპასუხა პეტრემ. — ილაპარაკეთ აქ, მე მინდა ყური დაგიგდოთ და ვისწავლო.

მეზობელ განყოფილების უფროსი გაწითლდა, გადაყლაპა ეს მწარე აბი, მოიღრუბლა და დაჯდა.

კიდევ ასეთი შემთხვევა იყო: განყოფილებას ორი დადგენილების პროექტი უნდა დაემუშავებინა. მოწვეულ იქნა განყოფილების კოლეგიის სხდომა. სხდომა პეტრემ გახსნა. დავით იორაშვილმა ციფრებით აჭრელებული ქალაქი პეტრეს გაუწოდა და კოლეგიის წევრებს ხუმრობით უთხრა: პირველ საკითხზე მოხსენებას ამხანაგი პეტრე გააკეთებსო.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

პეტრე არ დაიბნა. გაიღიმა და სთქვა:

— მე და ამხანაგმა დავითმა შრომა ასე გავიყავით: დავითი თეზისებს მოგახსენებთ, მე კი იმ თეზისებს გავავითარებ ამ ციფრებით. აბა დაიწყეთ, ამხანაგო!

დავითი გაწითლდა. პორტფელი გახსნა, დაიწყო ქალაქის ძებნა; ვერ ნახა და სთქვა:

— ბოდიშს ვიხდი, თეზისები სახლში დამრჩენია.

— მაშ ეს საკითხი ხვალისათვის გადავდოთ! — სთქვა აუღელვებლად პეტრემ. — ხვალ დავითი თეზისებს მოგვიტანს. ახლა გადავდივართ მეორე საკითხზე.

ამ პასუხმა ისეთი გავლენა მოახდინა თათბირის წევრებზე, რომ პეტრეს ღირებულება ერთი ორად გაიზარდა იმათ თვალში, ხოლო დავითის საქციელი ყველამ დაჰგმო.

ერთხელ პეტრემ ალექსის სთხოვა:

— ამხარაგო ალექსი, მე მინდა ჩამოდენი მე საკითხს გავეცნო. მირჩიეთ, რა და რა წიგნები წავიკითხო.

ალექსიმ მზიარულად უპასუხა:

— სიამოვნებით, ამხანაგო პეტრე!

და ჩამოუწერა ჩამოდენი მე წიგნი. მერე დაუმატა:

— თუ გნებავთ, ჩამოდენი მე სპეციალური საკითხი ერთად გავარჩიოთ. მე საღამომობით მოვალ ხოლმე.

პეტრემ მადლობის მიზნად ხელი გაუწოდა.

და ჩაუჯდა წიგნებს. ხშირად მთელს ღამეებს ათენებდა. კითხულობდა სპეციალურ წიგნებს, აკეთებდა ამონაწერებს, იზეპირებდა, სწერდა, ხევდა, ისევ სწერდა. ხშირად ცივი ტილოთი შეიკრავდა თავს, როცა დაიღლებოდა. ახალ წიგნებს ყიდულობდა, ან ძველს, ძნელ საშოვარ წიგნებს იშოვნოდა, და სანამ არ მოერეოდა არ მოეშვებოდა.

— კატორღამ არ გამტეხა და ეს გამტეხს?—ეტყოდა თავის თავს პეტრე, როცა დაღლილობას იგრძნობდა, გაიზმორებდა, ფაფარივით აყრილ თმებს დაარხევდა, პაპიროზს მოუკიდებდა, ცივს ტილოს შუბლზე დაიდებდა და ისევ ჩაიძირებოდა წიგნებში. ჩაიძირებოდა და დაემუქრებოდა ვილაცას სივრცეში:

— მე თქვენ მოგახრევინებთ ქედს, თუ რევოლუციონერი ვარ! ერთხელ პეტრეს ერთმა მოსამსახურემ განცხადება დაუდო წინ. მოსამსახურე ითხოვდა ავანსს—ოჯახური მდგომარეობის გამო.

— რამდენი გინდათ, ამხანაგო?—შეეკითხა პეტრე.

— ორი თუმანი,—უპასუხა მოსამსახურემ.

„მიეცეს 20 მანეთი“—დააწერა განცხადებას წითელი მეღვინით. გაბრწყინებული მოსამსახურე სასწრაფოდ გავიდა კაბინეტიდან და უთხრა ამხანაგებს:

— მომცა. ორი თუმანი, მომცა.

პეტრეს განყოფილებაში ერთი მოხუცი გადამწერი მუშაობდა. პეტრემ შენიშნა, რომ იმ მოხუცს ფეხსაცმელიდან თითები უჩანდა, დაიბარა და უთხრა:

— ამხანაგო ლევან, თქვენ შეგიძლიათ საღამოობით მოხვიდეთ სამუშაოდ?

ლევანი ყოყმანობდა, ბოლოს უთხრა:

— ბატონო, ამხანაგო, ოთხი შვილი მყავს, ვერ აუვედი ოჯახსა. ჩემი ცოლი მრეცხაობს და საღამოობით იმას ვეხმარები. თუ შეიძლება, გამათავისუფლეთ. მე აქ ზედმეტი მუშაობით იმდენს ვერ გავაკეთებ, რამდენსაც სახლში. გარდა ამისა, მე ძალიან შორსა ვცხოვრობ.

— ნარდად აიღეთ. სახლში გადასწერეთ.

ლევანს თვალები გაუბრწყინდა და უთხრა:

— თუ სახლში მანდობთ, ამაზე უკეთესი რა იქნება? დიდს სიკეთეს მიზამთ.

— აი, ეს ცნობები შეავსეთ და ერთ თუმანს მიიღებთ.

მოხუცი ლევანი გაკვირვებით უყურებდა: ამ ცნობების შევსებას ორი საღამოს მეტი არ დასჭირდებოდა.

— ფულს ავანსად მიიღებთ. შეგიძლიათ შევსებული ცნობები ორი კვირის შემდეგ მოიტანოთ.

მოხუცმა სუნთქვას მოუხშირა. და ორმა მარგალიტმა, მოხუცის ქუთუთოებზე რომ დაეკიდა, უთხრა პეტრეს, თუ რაოდენი კეთილი და ლამაზი საქმე ჩაიდინა მან.

იმ დღეს მდივანი ავად იყო და მის მაგივრად ხელმოსაწერი ქაღალდები ქალმა შემოუტანა პეტრეს.

ქალი შემოვიდა კაბინეტში და ქალაქლები პეტრეს წინ დააწყო. ერთი ქალაქი იატაკზე ჩამოვარდა. ქალი დაიხარა ქალაქის ასაღებად. პეტრემ დახრილ ქალს თვალი გააყოლა და დაინახა თოვლივით თეთრი პერანგი, შეხსნილი აზღუდი და ორი ძუძუ, თითქოს ნამტირალევი. პეტრეს მოაგონდა სადღაც გაგონილი შედარება: „შენი ძუძუნი, ვითარცა ორნი ნუკრნი ტყუპად შობილნი“.

— რატომ ნუკრნი?— იფიქრა პეტრემ.

ქალმა ქალაქი აიღო და წელში გასწორდა. მერმე მხრები გაიშალა, ღრმად ამოისუნთქა, იმ ამოსუნთქვის დროს ძუძუები ზევით აიტყორცნა.

პეტრემ ბევრი ხანია შეამჩნია ეს ქალი, მაგრამ შემთხვევა არ ჰქონია გაბაასების, ეს ის ქალი იყო პირველად რომ თვალი მოჰკრა პეტრემ, როდესაც სიტყვას ეუბნებოდა ახალ თანამშრომლებს. პეტრემ იცოდა ამ ქალის სახელი და გვარიც: ვიქტორია ერისთავის ქალი. ქართლის უძველესი თავადის გვარი.

ძველ ბერძნებს ერთი ლამაზი თქმულება ჰქონდათ: ერთხელ ზევესმა ადამიანი შუაზე გაჰყო. ერთი ნახევარი ქალად აქცია, მეორე ნახევარი კი ვაჟად. პელიონის მთის მწვერვლიდან ერთი ნახევარი მაშრიყისაკენ ისროლა, მეორე ნახევარი—მალრიბისაკენ, და სთქვა: ეძებეთ ერთმანეთიო. მას შემდეგ ეძებენ ერთმანეთს ნახევრები: ქალნი და ვაჟნი. ამ ძებნაში იქმნება სიცოცხლე, ლამაზდება ცხოვრება, თენდება დილა, და ღამდება ღღე. ამ ძებნაში იბადება სილამაზე, ხარობს შეყრა, ლაღობს შედუღება და ტირის შემცთარი შეერთება ჟამსა გაყრისას.

ამ ძებნასა და შეერთებას წინ ვერ უდგებიან ციხეთა ზღუდენი, კლდეთა სიმაგრენი, სირცხვილის ორპირობა და პირობათა შეუვალობა.

მოისპოს ეს იდუმალი ძალა, რომელიც ერთმანეთს აძებნიანებს განახევრებულ ადამიანებს და დაჭკნება სილამაზე, მოკვდება აზრი, მოისპობა სიცოცხლე,

აღბად ეს დიადი და მარადული ძალა იყო, ვიქტორიას რომ დაურბინა ტანში იმ პირველ ღღეს, პეტრე რომ სიტყვას ამბობდა. აღბად ეს საუკუნეთა ეხო იყო, პეტრეს რომ იმ ღღეს თმები ლომის ფაფარივით დაარხევენა...

მაგრამ ვიქტორია იყო ქალი და პეტრე ვაჟი. საჭირო იყო პირველი ნაბიჯი და არც ერთი არ სდგამდა მას. ვიქტორია იყო ამაყი ქალი, ხოლო პეტრე—ნაძალადევის მუშა, მორცხვი და ქუში.

პეტრემ ხელი მოაწერა ყველა ქალაქებს. ვიქტორიამ აიღო ის ქალაქები, ერთი წამი კიდევ შეჩერდა პეტრეს წინ, გააპო ტუჩები, მერე ისევ შეკრა; მობრუნდა და ნელის ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

V

დაწესებულებაში განცხადებას დაატარებდნენ. იმ განცხადებაში ეწერა: „ამით ცხადდება მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომ პარასკევს, მაისის შვიდს, სალამოს შვიდ საათზე, დანიშნულია კომუჯრედის ღია სხდომა. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. პეტრე ხატიანევილი შემდეგ თემაზე: „კოოპერაციის მდგომარეობა და მისი ამოცანები“. მოსამსახურეთა დასწრება სავალდებულოა“.

უკანასკნელი სიტყვა წაშლილი იყო და წითელი მეღვინით გადასწორებული: სასურველია, ესე იგი—როგორც გინდა, მიხვდიო... —

— ოპონენტებად ცნობილი ეკონომისტები არიან მოწვეულნი, — ნიშნის მოგებიდ უთხრა შევარდნაძეს იორაშვილმა.

— ვნახოთ, ვნახოთ... — უპასუხა შევარდნაძემ და რაღაც უცნაურად გაიცინა. მან იცოდა, რამდენ დროსა, შრომასა და ენერგიას ხარჯავდა პეტრე წიგნების დაძლევაზე. იცოდა ისიც, რომ ამ ცხრა თვის განმავლობაში პეტრემ შეითვისა ის, რაც მას საშუალებას მისცემდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა განყოფილების მუშაობა. იცოდა ისიც, რომ პეტრემ უკვე რამოდენიმე საფუძვლიანი წერილი მოათავსა პრესაში. იმ წერილების ავტორს თვით იორაშვილი აქებდა და ერთხელ კიდევ სთქვა: — ეს დალოცვილი ნეტავ აქ იყოსო. შევარდნაძემ ისიც იცოდა, რომ პეტრეს კრძალვით მოსდიოდა პირველი სიტყვის სხვისთვის დათმობა. კრძალვითვე მოუვიდა ის პირველი სიტყვა... ბევრი არა მისწავლია-რაო. მართალია, უნივერსიტეტში არ უსწავლია, მაგრამ ქართულ ენაზე გამოსულ სოციალისტურ ლიტერატურას კარგად იცნობდა და, რაც მთავარია, არ იყო ზვიადი, ყოყოჩი და მდგომარეობით მთვრალი და გაბრუებული. შევარდნაძე იმასაც იყო მიმხვდარი, თუ რატომ აგვიანებდა პეტრე გაქანებას: პეტრეს უნდოდა მოულოდნელი შეხვედრით დაეჭექა დაწესებულებაში, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს საჭირო იყო.

ამიტომ იცინოდა უცნაურად შევარდნაძე და ეუბნებოდა იორაშვილს:

— ვნახოთ, ვნახოთ!

— ჰო და ვნახოთ! — უპასუხებდა დავითი. — შვიდ საათამდე

შვიდი საათი და დარჩა. მე გეთანხმები, რომ პეტრე უკვე გაეცნო საქმის კურსს, ჭკვიანურსა და დასაბუთებულს განკარგულებებს იძლევა, მაგრამ მაინც... ჰო, ვნახოთ, ვნახოთ.

პეტრეს მოხსენებას თითქმის მთელი დაწესებულება დაესწრო. ყველას აინტერესებდა რას იტყვის ნაძალადევიდან მოსულიო.

ალბად იმას, ვინც განცხადებაში უკანასკნელი სიტყვა წითელი მელნით გადაასწორა, ტანმა უგრძნო, რომ ყოველთვის არაა საჭირო ბრძანება და მათრახი, რომ ერთი ნებით მოსული სჯობს ასს მოდენილს...

— მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ხატიაშვილს, — სიტყვა თავმჯდომარემ და დარბაზში ჩამოვარდა მყუდროება და სიჩუმე.

პეტრე წამოდგა. მაგიდაზე ქალღმერთები დააწყო, დაახველა, ხელი თავზე გადაისვა, მერმე ფათარივით ხშირი თმები დაარხია და დარბაზს თვალი გადაავლო.

— თითქოს ნაფიცი ორატორი იყოს, — გაიფიქრა გულში დავითმა.

პეტრეს თვალწინ დაუდგა მისი ქაღილი: „მე თქვენ მოგახრევიანებთ ქედს, თუ რევოლუციონერი ვარ“.

უეცრათ პეტრეს თვალები ფანჯრისაკენ მიიმართნენ. რაფაზე იჯდა ვიქტორია, ფეხი ფეხზე დაედო; კალთაში თაიგული ჩაედო-ტიტველი მკლავებით მუხლებს მოხვეოდა, კისერი ზევით აეწია, ქუჩიდან შემოჭრილი სიო კულულებს ურბევდა, დიდრონი თვალებით პეტრეს მისჩერებოდა და შეკუმშულ ტუჩებით ვარდის ფურცლებსა სრესდა.

პეტრემ დაიწყო მოხსენება. ყოველი გამოხედვა ვიქტორიასკენ უცნაურ ძალას და სილამაზეს მატებდა მოხსენებას. ორი საათი ილაპარაკა პეტრემ. და როდესაც გაათავა, დარბაზი აქუხდა ნიჭის, გულწრფელობის და ნათელი აზრის დასაჯილდოვებლად.

მეორე დღეს პეტრეს განყოფილების თითქმის ყველა მოსამსახურეებს თავი მოეყარათ ერთ რესტორანში. დავით იორაშვილი იხდიდა წაგებულ ვახშამს. ბევრი ეხვეწნენ დავითს ვახშამის ფასი თანაბრად გაენაწილებინათ, მაგრამ არ დათანხმდა.

— მე ქართველი ვარ და სიტყვა უნდა შევასრულო. გარდა ამისა, მე მარტოხელა კაცი ვარ. თქვენ რა გენაღვლებათ ჩემი ფული?

მერმე დავითი დაიყოლიეს: ნახევარი უნდა გადაეხადა.

პეტრეს მოწვევისას უთხრეს: ამხანაგური ვახშამია და გთხოვთ მობრძანდეთო. პეტრემ არ იცოდა ვახშამის ნამდვილი მიზეზი და მოვიდა.

როდესაც სუფრას მოუსხდნენ დავით იორაშვილმა სავსე თასი
ხელთ აიღო და დაიწყო:

— ბატონებო! საუკუნეთა ქარტეხილიდან ჩვენ, ქართველებს,
სამი თვისება შეგვრჩა: სიმამაცე, გულწრფელობა და ქალის პატივის-
ცემა. სიმამაცე გვიცავდა, გულწრფელობა გვლუბავდა, ქალის პატი-
ვისცემა გვალამაზებდა. მე დღეს მინდა გულწრფელობაზე გელაპარა-
კოთ, ათასში ერთხელ თუ ამ გრძნობას ცუდი არა მოყვება რა და
ასეთი გამონაკლისი ბედნიერი დღეა ჩემთვის ეს დღე. აქ გულწრფე-
ლობას სიცილი მოჰყვება. ჩვენი აქ შეყრის მიზეზი პატივცემული პე-
ტრეა. როდესაც პეტრე მოვიდა, მე ვთქვი: რა ეცოდინება, რას შეს-
ძლებს-მეთქი. ზოგნი კმაყოფილნი იყვენ პეტრეს დანიშვნით, მაგრამ
ეს გრძნობა გამოწვეული იყო უღირსი პარმენ ჯამბაზაძის გადაყენე-
ბით. მე ვთქვი პეტრეს შესახებ: ვნახოთ და ფონი გასვლის შემდეგ
დავლოცოთ-მეთქი, ხოლო თუ ფონი დასალოცი იქნა, მე პირველი
ქედს მოვიხრი და ვეტყვი პეტრეს: შენ გაიმარჯვე, გალილეველო!
და, აი, დღეს, ჩემი ქართველური გულწრფელობით მე ვალიარებ
თქვენს წინაშე: მისი პირველი სიტყვა მე ოინი მეგონა, მე ვიყავი
ურწმუნო თომა და მქონდა კიდევ ამისი საბუთი. მე მარტო უნი-
ვერსიტეტში კი არ გამომიმუშავებია ჩემი შეხედულებანი, არამედ და
უმთავრესად ცხოვრებაში. ცხოვრებაში კი ბევრი მსმენია ლამაზი
სიტყვები, ცოტა მინახავს ლამაზი საქმეები. პეტრემ მაშინ სთქვა:
ვემსახუროთ გულწრფელად ჩვენს ხალხს და ქვეყანასო. და მე, მარ-
ტოხელა კაცი, რომელსაც არა გამაჩნია რა, ვამბობ: მე ვარ მდიდა-
რი ჩემი ერის წარსულით და ვსუნთქავ მისი მომავალით. და მას, ვინც
ხალხს ემსახურება ღირსეულად, — აქ დავითი მიუბრუნდა პეტრეს —
ვინც არ შერცხვება მის წინაშე, მიიღებს ხალხი. გულწრფელად გისურ-
ვებთ ხალხის ასეთ სამსახურს, ნაძალადევიდან მოსულსო. ვუსურვებ
თქვენ კლასს ისეთ გამარჯვებას, როგორც გერგოთ პირადათ თქვენ,
აშხანაგო პეტრე! გულწრფელად გეუბნებით: ქედს ვიხრი თქვენს წი-
ნაშე... შენ გაიმარჯვე, გალილეველო!

დავითის გულწრფელობამ სუფრა ტაშით ააგრიალა.

დავითმა თასი გამოსცალა და ალექსის გადაულოცა. ალექსიმ
სიტყვა წარმოსთქვა და თავისი მხრივ ვიქტორიას გადაულოცა.

საერთო გულწრფელობამ. სიხარულმა და სილაღემ პატრეს ტუ-
ჩები აუთრთოლეს, როცა მან სამადლობელი სიტყვა დაიწყო. და იგი
სიტყვა პეტრემ ასე დაასრულა:

— გალილეველი ძლიერი იყო თანამებრძოლთა თანაგრძნობითა

და სიყვარულით. მაშ, გაძლიერდეს, გაღრმავდეს და აყვავდეს ჩვენი გრძნობა—დიდი, უსრული და ლამაზი...

და როდესაც მაისის დილამ თვალების ფშვნეტა დაიწყო მტკვრის ტალღებში, ორნი მიდიოდნენ მტკვრის პირას ამომავალი მზისაკენ: ერისთავიანთ ნაშთი და ხატიაშვილთა წანაპარი.

და ვიქტორია ეუბნებოდა პეტრეს:

— იცი, ვიქტორია ნიშნავს გამარჯვებას. პეტრე ნიშნავს კლდეს. დღეს კლდეცა და გამარჯვებულებაც შენა ხარ.

1926 წ.

— : —

ტრიფონ რამიშვილი

ტრიფონ რამიშვილი დაიბადა 1875 წელს გურიაში, სოფ. სურებში. სამოქალაქო სასწავლებელი ბათომში დაასრულა, თავისი ბიძის ისიდორე რამიშვილის ხელში რომელიც იმ ხანად მასწავლებლობდა.

1892 წელს ტრიფონმა სცადა ტფილისის სასულიერო სემინარიაში შესვლა, მაგრამ ვერ მოახერხა და მაშინ იგი ტფილისის საფერშლო სკოლაში შევიდა.

აქ მან სწავლა დაამთავრა 1892 წელს. იმავე წელიწადს საბეითლო ფერშლად დანიშნეს ბათომის მხარეს, საიდგანაც ფერშლად გადაიყვანეს კახეთში, სოფ. ენისელს.

მისი თანდაყოლილი გურული სიმკვირცხლე, ალტაცებული ხასიათი, მოსიყვარულე გული და იშვიათი დაკვირვების ნიჭი კახეთის სიდინჯეში დადულდა და მისმა დრამატიულმა ნიჭმა პირველად აქ დაიდო დვრიტა. იქაური ცხოვრების ხლართზე ააგო მან თავისი პირველი დრამატიული ნაწარმოები — „მეზობლები“, რომელმაც ერთბაშად მოუპოვა მას ქართველი საზოგადოების ყურადღება.

კახეთიდან ტრიფონი 1899 წელს ტფილისში გადმოიყვანეს ფერშლად სოლოლაკის საგიჟეთში. იქაური ცხოვრების ქარგაზე ააშენა მან თავისი ლამაზი პიესა „შეშლილები“, რომელსაც ალ. წუწუნავა სახალხო სახლში საუცხოოდ სდგამდა და ნიკო გოცირიძემ თანამედროვე პიესებიდან პირველად მასში გრუშევსკის გაპიროვნებით გაშალა თავისი კომიკური ნიჭი.

1904 წელს ტრიფონი დიდუბის ამბულატორიაში განდაიყვანეს, სადაც მთელი ათი წელიწადი გაატარა. და იქ დასწერა მან ტფილისის ცხოვრებიდან აღებული შინაარსის პიესები: „ექიმი არშიბაჯიანი“, „საბედისწერო დამბაჩა“ და სხ.

1921 წელს ტრიფონი გადმოიყვანეს ფერშლად ვერის ამბულატორიაში, სადაც უკანასკნელ წუთამდე სცხოვრობდა. აქ დასწერა

მან „სტუმარ-მასპინძლობა“, „მონადირე ქალები“ „საბჭოთა სახლი № 5“ და სხ.

სახალხო სახლი და პროვინციის სცენა ათეული წლების მანძილზე იკვებებოდა მისი პიესებით, მის კალამს ჩვენს ხალხში შეჰქონდა განმაახლებელი სიო, რომლის გამომხატველიც იმ დროს იყო „მეზობლების“ გმირი მენაბდიაშვილი.

ტრიფონისაგან ვერასოდეს ვერ მოისმენდით პირადი ცხოვრების შესახებ დაჩივლებას, უიმედობას, უთავბოლო წუწუნს.

მუდამ აღზნებული მისი გონება უკანასკნელ დღემდე მხოლოდ საზოგადო ჭირვარამს დასტრიალებდა.

სიყრმიდანვე ღარიბი გლეხის კერაზე გამოზრდილი, ბავშობაშივე დაობლებული, ჯანით სუსტი, მაგრამ გულით მდიდარი და გონება მკვირცხლი, იგი ნამდვილი ღვიძლი შვილი იყო ტურფა გურიისა.

სიჭაბუკეში მომსწრე მესამე დასის ჩასახვისა, ძველი და ახალი თაობის იდეური ბრძოლისა, ძველი ბიუროკრატიული რუსეთის გამარუსებელი პოლიტიკისა, მუშათა დევნა-გაციმბირებისა იგი, ბუნებრივის მიზიდულობით, აჰყვა რუსეთის პირველი რევოლუციის ტალღებს; მან მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ გადასდო თავი და თავისი კალმით ხელი შეუწყო ხალხის გამოფხიზლებას.

ეს გეზი მას სიკვდილამდე არ შეუცვლია.

ორი მოსისხლე მტერი ჰყავდა ტრიფონს კერძო ცხოვრებაში, რომელთა ანაწერაც გახდა: ერთი იყო დუხჭირი ცხოვრების სინამდვილე, რომელმაც არგუნა ფერშლობა, რასაც მისი ბუნება ვერ ეთვისებოდა. მეორე იყო უღმობელი სენი, დაუნდობელი ჭლეტი, რომელმაც ადვილად დაჰრია ხელი მის სუსტ აგებულობას და ადრეულად მოიდნო კიდეც.

მას დარჩა ერთად-ერთი დაობლებული ქალი, რომელიც წელს ამთავრებს უნივერსიტეტს, დარჩა აგრეთვე დაქვრივებული მეუღლე.

თან წარიტანა მრავალი ლამაზი ოცნებები და იშვიათი გულითადად ადამიანობა.

— : —

ახალი სლიმარასური ქართული

(დასასრული) *)

5. ისტორიულ-მოკვლევითი პრინციპი

ამ პრინციპის აუცილებლობა შემდეგს ფაქტებსა და მოსაზრებებზეა დამყარებული:

როგორც წინა მუხლში გამოვარკვეეთ, მწერლობაში ქართული ენის ძირითადი კილოების (ქართლ-კახურისა და იმერულ-გურულის) ცოცხალ ფორმებს უპირატესობა უნდა მიეცეს მკვდარი ფორმების წინაშე. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ცოცხალი ფორმები ამ კილოკავებშიაც საკმაოდ სხვადასხვაობენ; ჩვენ მიერ ზემოთ დადგენილი ეროვნული პრინციპი კი მოითხოვს—მართლწერაში უაღრესად დაცულ იქნეს ფორმათა ურთიერთობა. იკითხება: როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში; რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ჩვენი არჩევანი ახალ ცოცხალ ფორმათა შორის, რამდენათაც კი შესაძლოა, მტკიცე საფუძველზე იყოს დამყარებული და თან ყველასათვის სავალდებულო და მისაღები?

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ აქ ენის ფონეტიკურ მხარეს ვერ დავემყარებით, რადგან როგორც სხვა ენებში, ისე ქართულშიაც ენის ფონეტიკური მხარე საოცრად მერყევი და ელასტიურია, იგი თავის განსაზღვრულ (გამოთქმის) კანონებს ემორჩილება, ზოგჯერ თვით მოლაპარაკის ინდივიდუალურ თვისებებზედაც დამოკიდებულია, თან ენის მორფოლოგიურს მხარეზე ულმობელად ზედმოქმედებს და სამორფოლოგიო ელემენტების (თავსართის, ძირის, ჩასართის, ფლექსიის) ერთსახეობას მუდამ საფრთხეში აგდებს: ზოგან სკვლის ამ ელემენტებს, ზოგან ჰკვეცს, ზოგან სრულიად სპობს, ზოგანაც ისეთის „ხორცმეტებით“ სტვირთავს, რომელთაც, მორფოლოგიური თვალსაზრისით, არავითარი გამართლება არ მოეპოვება. პირიქით, ენის მორფოლოგიური მხარე შედარებით უფრო მდგრადი, ნაკლებ მერყევი და კონსერვატიული მხარეა. ამიტომ, თუ გვსურს ჩვენს

*) იხ. „ქართ. მწერლობა“ № 3.

მწერლობაში ფორმათა ერთსახეობა დაცულ იქნეს, ორთოგრაფიის მთავარ საფუძვლად უნდა მივიღოთ ენის ის მხარე, რომელშიაც უკეთ წარმოდგენილი და დაცულია (ან ძლიერი ტენდენცია მაინც არის) დაცულ იქნეს მონათესავე ფორმებისა და ელემენტების ერთსახეობა. ასეთ მხარედ კი, როგორც ყოველ ენაში, ისე ქართულშიაც უნდა ჩაითვალოს მორფოლოგიური მხარე ენისა.

მეორე მხრით, ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა შემდეგი ფაქტები და მათგან გამომდინარე დასკვნაც იქნეს გათვალისწინებული:

თანამედროვე ქართველობა გუშინდელი და გუშინწინდელი ერი არ არის, რომელიც მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოსულიყოს უბრალო სატომო ან სათემო მასის მდგომარეობიდან და მხოლოდ ახლა იწყებდეს ისტორიულ ცხოვრებას: მას აქვს დიდი ხნის ისტორია და მდიდარი კულტურული წარსული, რომელთანაც ხილულის თუ უხილავი ძაფებით შეკავშირებულია მთელი მისი აწმყო და მომავალი. ამგვარადვე თანამედროვე სალიტერატურო ქართული უბრალო სათემო დიალექტი როდია, რომელზედაც მხოლოდ გუშინ დაწყებულიყოს მწერლობა და რომელსაც ძველი სალიტერატურო ენისაგან არავითარი მემკვიდრეობა, არავითარი ტრადიციები არ დარჩენილდეს. იგი მთელი თავისი ნახევრით ძველის (და საშუალო) მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულის ნაყოფსა და ბუნებრივს გაგრძელებას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, როგორც ქართველ ერს, ისე თანამედროვე სალიტ. ქართულს აქვს არა მხოლოდ აწმყო არამედ ისტორიული წარსულიც, რომელთანაც იგი გადაბმულია ერთგვარის სალიტერატურო ტრადიციებით და ფორმათა გენეტიური ნათესაობით. როგორც ისტორიულ ერს, ჩვენ, ქართველობას, არ შეგვიძლია სრულიად გავწყვიტოთ კავშირი ჩვენს კულტურულ წარსულთან, არ შეგვიძლია—გვერდი ავუაროთ ყოველგვარს ტრადიციას, რომელიც ჩვენს წარსულთან გვაკავშირებს; და რადგან სამწერლო ეროვნული ენა ერთი იმ ელემენტთაგანია, რომელიც ერის აწმყოსა და წარსულს ერთმანეთთან აკავშირებს, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რამდენადაც კი შესაძლოა, ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულთა შორის კავშირი არ მოიხსნოს. მაგრამ ამ კავშირს მუდამ საფრთხეში აგდებს ენის ფონეტიკა, ენის ცოცხალი და მუდამ მოძრავი ფონეტიკური ფაქტორები. სამაგიეროდ ენის მორფოლოგიაში და ისტორიულ-გენეტიურად უფრო ძველ ფორმებში უკეთ დაცული და წარმოდგენილია ამა თუ იმ სიტყვისა და ელემენტების ერთსახეობა. და ამგვარად, ისტორიულ თვალსაზრისითაც, უპირატესობა უნდა მიეცეს ენის მორფოლოგიურ მხარეს ფონეტიკური მხარის წინაშე.

ამ მთავარი პრინციპიდან გამომდინარე სახელმძღვანელო წესები შემდეგია:

a) როცა ძირითად ცოცხალ კილოებში,—ე. ი. ქართლ-კახურ-იმერულ-გურულში, საიდანაც უნდა მოხდეს ფორმების არჩევა სალიტერატურო ენისათვის,—კიდევ ცოცხალია რომელიმე ძველი ფორმა მის საბადლო ფორმებთან ერთად, რაგინდ უკანასკნელი ძალიან გავრცელებულნიც იყონ, უპირატესობა მაინც ამ ძველ ცოცხალ ფორმას უნდა მიეცეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას სალიტერატურო ტრადიციაც მხარს უჭერს. მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ ძირითად კილოკავებში მიმართულებითი (გნებითი) ბრუნვის დაბოლოება ორი სახით ცოცხლობს: დ და თ (კაცად და კაცათ), უპირატესობა პირველს უნდა მიეცეს როგორც უძველესს, რაგინდ მეორე (თ) ფორმა დიდად გავრცელებულიც იყოს, მით უმეტეს, რომ დ-ონთან ფორმას მიმართულებითს ბრუნვაში ფრიად ხანგრძლივი სალიტერატურო ტრადიციაც მხარს უჭერს.

b) მაგრამ თუ ძველი ფორმა ძირითად კილოებში ცოცხალი აღარაა და მის საბადლოდ ორი ან მეტი ცოცხალი ფორმა მოიპოვება, მაშინ მწერლობაში უპირატესობა უნდა მივსცეთ იმ ცოცხალ ფორმას, რომელიც გენეტიურად უფრო ახლოა ძველ მკვდარ ფორმასთან. ამ წესის ძალით, ორი ცოცხალი თანამედროვე ფორმიდან: ქუთაისი და ქუთეისი მწერლობაში უპირატესობა ნარგუნები აქვს პირველს—ქუთაისი, და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან გენეტიურად ეს ფორმა უფრო ახლო დგას ძველ მკვდარ ფორმასთან „ქუთათისი“... ამავე წესის ძალით, მაშასადამე, თანამედროვე ცოცხალი ფორმიდან თფილი და თბილი უპირატესობა უნდა მიეცეს ფორმას: „თფილი“ რადგან გენეტიურად ეს ფორმა უფრო ახლო დგას უძველეს პროტოტიპთან: „ტფილი“.

c) ამგვარადვე (როგორც ხ მუხლში იყო ნათქვამი) უნდა მოვიქცეთ იქაც, სადაც ლიტერატურული ტრადიციაც უკვე დიდ ხანია შეწყვეტილია ან იმდენად შესუსტებულა და სხვა ახალი მიმდინარეობისათვის დაუთმია ადგილი, რომ ძველ ცოცხალ ფორმას ამა თუ იმ ძირითად კილოში უკვე „მომაკვდავი ფორმის“ სახე მიუღია: იქ მომაკვდავ ძველ ფორმას მწერლობაში ვეღარ აღვადგენთ. ასეთია მაგალითად უუძველესი ფორმა „მოსულარიანი“, რომელიც ქვემო იმერეთში დღესაც ცოცხალია,

მაგრამ ლიტერატურიდან დიდი ხანია განდევნილ იქნა და მისი ადგილი ახალმა უფრო გავრცელებულმა ცოცხალმა ფორმამ დაიჭირა: მოსულან. მრავალ საუკუნოვანი შეწყვეტა სალიტერატურო ტრადიციისა ამ შემთხვევაში შეუძლებელ ჰყოფს ამ ფორმის უძველესი ცოცხალი (დიალექტურად) ფორმა („მოსულარიან“) კვლავ ჩვენს მწერლობაში შემოვიტანოთ და გავაბატონოთ. ამავე წესში ჰპოებს გამართლებას იმ მწერალთა არჩევანიც, რომელნიც თანამედროვე ლიტერატურაში უპირატესობას აძლევენ ფორმას „სახლიდან“, ერთი მხრით, მომაკვდავი ფორმის წინაშე „სახლიდგან (<+ „სახლითგან“) და მეორე მხრით, გენეტიურად უფრო დაშორებული ფორმის წინაშე „სახლიდამ“: ამ ფორმებში ფორმა „სახლითგან“ მკვდარია „სახლიდგან“—მომაკვდავი, ხოლო დანარჩენი ორი: სახლიდან და სახლიდამ—ცოცხალი, მაგრამ ამ ორში გენეტიურად პირველი უფრო ახლო დგას ძველ პროტოტიპთან, ვიდრე მეორე, და ამიტომ უპირატესობაც მას უნდა მიეცეს („სახლიდან“).

ასეთია ძველი სალიტერატურო ტრადიციების შესუსტებისა და ახალი ტრადიციების გაძლიერების ბუნებრივი შედეგი. სწორედ ამ წესის ძალით ჩვენს მწერლობაში უპირატესობა დათმობილი აქვს და კიდევაც უნდა დარჩეს ფორმას: „დავჯექი“. „ვიჯექი“, ნაცვლად მორფოლოგიურად სწორე ფორმისა: „დავჯედი“, „ვიჯედი“, და მისთანანი. უკანასკნელი ფორმა დღეს კიდევ ცოცხალია გურიისა და ქვემო იმერეთის რაიონში, მაგრამ დიდი ხანია უარყოფილია ძირითადი კილოების დანარჩენ რაიონებსა და მწერლობაში და ამიტომ შეუწყნარებელია მისი მწერლობაში შემოტანა და გაბატონება.

d) დანარჩენ შემთხვევებში კი, საზოგადოდ, მორფოლოგიურად სწორე ლიტერატურულ ფორმებს უნდა მიეცეს უპირატესობა დიალექტიურ-ფონეტიკური ფორმების წინაშე, რასაკვირველია, ძირითადი კილოების ფარგალში. ამიტომ უნდა ვწეროთ:

გავუკეთე და	არა	გაუკეთე (მე მას)
ვუყვირი	„	უყვირი („ „)
ვვარგობ	„	ვარგობ (მე)
დავვარდი	„	დავარდი (მე)
ვიყვირისთ	„	ვიყვირით (ის თქვენ)
გწერსთ	„	გწერთ (ის თქვენ)

ამავე ფორმების გამართლებას ჩვენ ვპოულობთ შემდეგს პრინციპშიაც; რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. აქ კი ისტორიულ-მორფო-

ლოგიური პრინციპის დასამთავრებლად შემდეგს შემთხვევებსაც მივაქცევთ ყურადღებას.

არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც მოფოროგიურად სრული და სწორე ფორმა აღარც ერთ ძირითად კილოში ცოცხალი აღარაა და მისი ადგილი აქ მის საბადლო ფონეტიკურ ფორმას დაუჭერია. ასეთია მაგალითად შემდეგი ფორმები:

მკვდარი:	ცოცხალი:
რათა.	რათა (კავშირი)
რათგან, რათგან	რადგან („ „)
ზემოთ	ზემოთ
ქვემოთ	ქვემოთ
აქათ.	აქეთ
ავდეგი.	ავდექი
დადეგ.	დადექ.

ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, უპირატესობა მეორე რიგის (ცოცხალ) ფორმებს დარჩება თანახმად ჩვენი პრინციპისა. მაგრამ ზოგჯერ მკვდარი მორფოლოგიური ფორმის საბადლოდ ცოცხალ კილოკავებში (და ლიტერატურაშიაც) ერთზე მეტი ფონეტიკური ექვივალენტი მოიპოება; მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რამდენადაც კი შესაძლოა, დავიცვათ პატივისცემა მორფოლოგიური პრინციპისადმი და სადავო ცოცხალ ფორმებში უპირატესობა უნდა ვარგუნოთ იმ ფორმებს, რომელნიც გენეტიურად უფრო ახლო დგანან მორფოლოგიურს პროტოტიპთან. ამ წესის ძალით, წყვილ-წყვილი ფორმებიდან; ადგენ და ადგნენ, მოვიდენ და მოვიდნენ, თამაშობდენ და თამაშობდნენ უპირატესობა ეკუთვნის ფორმებს: ადგენ, მოვდენ, თამაშობდენ, რადგან გენეტიურად იგინი უფრო ახლო დგანან მორფოლოგიურ-ისტორიულ პროტოტიპთან: ადგეს, მივიდეს, თამაშობდეს.

ასეთია ისტორიულ—მორფოლოგიური პრინციპი. გადავიდეთ უკანასკნელ პრინციპზე, რომელსაც „სასინატაქსო-ლოდიკურს“ ვეძახით.

6. სასინატაქსო-ლოდიკური პრინციპი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ენა უპირველეს ყოვლისა აზრების გამოსახატავი იარაღია. ამისდა მიხედვით ენა იმდენად უფრო მაღლა დგას, რამდენადაც ზედმიწევნით სისწორით და ნიშან-

დობლივ ხატავს აზრის ყოველგვარ მიხვრა-მოხვრას, ცნებათა შორის არსებულს ლოდიკურს დამოკიდებულებას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ელემენტების სისწორით ხმარებასა და სისრულით წერას, რომელნიც სიტყვათა შორის არსებულს სასინტაქსო ურთიერთობას გამოხატავენ.

ამ პრინციპის ძალით სასტიკად უნდა დავიცვათ მაგალითად სასინტაქსო წესები ზმნის (შესმენილის) შეთანხმებისა სუბიექტთან და ობიექტთან (ქვემდებარესთან და დამატებასთან). ავიღოთ მაგალითად შემდეგი წინადადება:

ძველმა მეგობრებმა წერილი მოგწერესთ.

აქ შესმენილი შეთანხმებულია როგორც ქვემდებარესთან („მეგობრებმა“ რომელიც მესამე პირის მრავლობით რიცხვში ზის), ისე დამატებასთან („თქვენ“, რომელიც აქ არა ჩანს, არამედ ნაგულისხმევია); საკმაოა—ამ ზმნას დაბოლოება თ გამოვაკლოთ და დამატება მაშინვე აირევა მხოლოობითი რიცხვის მეორე პირთან (შენ—მოგწერეს). ცხადია, მაშასადამე, რომ ზემოაღნიშულ ფრაზაში, როცა იქ დამატებად მრავლობითი რიცხვის მეორე პირია ნაგულისხმევი, შესმენილის დაბოლოება სრული სახით უდნა დაიწეროს: მოგწერესთ. მაგრამ თუ იმავე წინადადებაში ნაცვალსახელს „თქვენ“ უკვე ვიხმართ, მაშინ კი ზმნის ბოლოს ასო თ შეიძლება გამოიტოვოს, რადგან ქართულ ენას გამეორება არ უყვარს, და ამასთანავე აზრი მაშინ უ-თ-ანოდაც თავისთავად ცხადია: „ძველმა მეგობრებმა წერილი თქვენ მოგწერეს“.

სამაგიეროთ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ამ მაგალითში თ-ანის წინ ასო ხ-ანის გამოკლება: მოგწერეთ“, რადგან მაშინ შეიცვლებოდა არა რიცხვი დამატებისა, არამედ პირი ქვემდებარისა: „ძველმა მეგობრებმა წერილი მოგწერეთ“. სახელდობრ მესამე პირის მაგივრად ქვემდებარის ადგილს დაიჭერდა პირველი პირი და „ძველმა მეგობრებმა“ გადაიქცეოდა ამ პირველი პირის შინაგანი სუბიექტის (ქვემდებარის) გარეგან გამოხატულებად (გარეგან ქვემდებარედ). სამწუხაროდ ამგვარი შემოკლება ზმნის დაბოლოებისა ძლიერ გავრცელებულია აღმოსავლეთის კილოებში და ახალმწერლობაშიაც გვხვდება. ავიღოთ სანიმუშოდ ფორმა: „მოგმართესთ“ (იგი თქვენ), „გთხოვსთ“ (იგი თქვენ), რომელშიაც ს-ანი მესამე პირის (მხოლ. რიცხვის) სუბიექტის მაჩვენებელია. საკმაოა ამ ფორმიდან ელემენტი ს გამოვტოვოთ: „მოგმართავთ“, „გთხოვთ“, რომ სხვადასხვა რიცხვისა და პირის სუბიექტები ერთმანეთში აირიოს, რადგან ეს უკანასკნელი ფორმა თავისთავად მრავლობითი რიცხვის

პირველი პირის (ჩვენ) ფორმაა და არა მხოლოდითი რიცხვის მესამე პირისა (ის). მაგრამ მაგალითი ყველაფერსა სჯობს. ვთქვათ—თქვენ წერილი მიიღეთ ერთი თქვენი ნაცნობისაგან, რომელიც, სხვათაშორის, გწერსთ შემდეგს:

„როგორც შევიტყვე. ჩემს მეგობარს შარშან თქვენთან ერთი სათხოვარი ჰქონია. ერთი ამგვარი სათხოვარი დღესაც გამოუჩნდა, რის გამოც მოგმართავთ და გთხოვთ—უშველოთ რამე“.

აქ აშკარაა მხოლოდ ერთი: თხოვნა მიმართულია მეორე პირის მრავალბითი რიცხვისადმი (თქვენ); მაგრამ ვინაა მიმმართველი: წერილის ავტორი (1-ელი პირი), თუ მისი მეგობარი (მე-3-ე პირი), რომელსაც ზემოთ იხსენიებს, ეს აღარა სჩანს: ამიტომ წერილის მიმღები საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, თუ უარის თქმა დასჭირდა: არ ეცოდინება, ვის უნდა უთხრას უარი? წერილის ავტორს, თუ მის მეგობარს?

აშკარაა, ასეთ გაუგებრობას ადგილი არ ექნებოდა, თუ მართლწერაში სასტიკად დავიცავთ შემდეგს წესს: ზმნის დაბოლოებიდან ნუ გამოვაკლებთ ნურცერთს ცოცხალ ელემენტს, რომელსაც იქ განსაზღვრული მორფოლოგიურ-სინტაქსური ფუნქცია ეკუთვნის. ასეთი ელემენტია ს მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტისათვის (ის, მან), რის გამო მისი გამოტოვება ზმნის დაბოლოებაში, როცა იქ სუბიექტად სწორედ მესამე პირია ნაგულისხმევი, შეუწყნარებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ უნდა ვწეროთ (როცა სუბიექტი მხოლ. რიცხვის მესამე პირია):

გწერსთ	და	არა	გწერთ
გაქებსთ	„	„	გაქებთ
გყავსთ	„	„	გყავთ
გაქვსთ	„	„	გაქთ.

სასინტაქსო-ლოლიკური პრინციპის დაცვა საჭიროა აგრეთვე სახელების შეთანხმების წესშიაც, მაგალითად, როცა ერთს არსებითს სახელს წინ რამდენიმე განსაზღვრება მიუძღვის: სანიმუშოდ საკმაო იქნება შემდეგი ფრაზა მოფიტანოთ:

„ბრმასა და ყრუ ადამიანს ადვილად ვერაფერს გააგებინებენ“.

საკმაოა ამ მაგალითში პირველ სიტყვას დაბოლება („სა“) მოაკლოთ, რომ სულ სხვა აზრი გამოვიდეს: „ბრმა და ყრუ ადამიანს ადვილად ვერაფერს გააგებინებენ“, ე. ი. „ბრმა და ყრუ“, რომელ-

თაც წინა ფრაზაში განსაზღვრების ადგილი ეჭირათ, ქვემდებარედ გადაიქცენ.

ასეთია ჩვენი პროექტის მთავარი პრინციპები, როგორც ვნახეთ, ამ პრინციპებში მტკიცე შინაგანი კავშირი და განსაზღვრული ხასიათის თანამიმდევრობაა: ყოველი შემდეგი პრინციპი წინა პრინციპის აუცილებელ დამატებასა და შესამზღვრას წარმოადგენს. მათში ყველაზე უფრო ზოგადი და, მაშასადამე, განყენებული სახე პირველ პრინციპს ეკუთვნის, ყველაზე უფრო გარკვეული და კონკრეტული — უკანასკნელი პრინციპისაა. პირველი პრინციპი ზოგადად და ფართოდ შემოხაზავს იმ მასალას, რომელიც შეიძლება შემოტანილი იქნეს სალიტერატურო ენაში: ეს მასალაა ყველა მარტივი ბგერა, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ისმის, და რომელსაც მწერლობაში შესაფერისი მარტივი ნიშანი (ასო) მოეპოება. მაგრამ ეს პრინციპი არას გვეუბნება იმის შესახებ, უნდა დაიწეროს თუ არა ყველაფერი, რაც გამოთქმაში ისმის, ან სახელდობრ რა უნდა დაიწეროს. ამის პასუხს დანარჩენი პრინციპები იძლევიან. ენის მთლიანობის პრინციპი გვიკარნახებს, რომ ორისა და მეტი მონათესავე ფორმიდან მწერლობაში მხოლოდ ერთი უნდა შემოტანილი იქნას. ევოლუციური პრინციპი პირველ კონკრეტულ ხაზს ავლებს წინა პრინციპს და გვეუბნება, რომ მონათესავე ფორმათა შორის არჩევნის დროს ენის მკვდარი ფორმები სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს თანამედროვე სალიტერატურო ქართულიდან. მაგრამ ეს პრინციპი არას გვეუბნება იმისას, თუ სახელდობრ რომელი ფორმები უნდა ჩაითვალოს მკვდარ ფორმებად თანამედროვე ქართულისათვის. ამ საკითხზე პასუხს გვაძლევს კულტურული პრინციპი, რომელიც ნიშანდობლივ მიგვითითებს იმ რაიონზე, საიდანაც უნდა ამოღებულ იქნეს ცოცხალი ფორმები სალიტერატურო ენისათვის; მაგრამ ეს პრინციპი აღარაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ამ ცოცხალ ფორმათაგან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა სალიტერატურო ენაში. ამის პასუხს იძლევა ისტორიულ — მორფოლოგიური პრინციპი. რაც შეეხება სასინტაქსო ლოდიკურ პრინციპს, იგი მხოლოდ წინა პრინციპების ფარგლებში მოქმედებს და მათს წრეს ვერ გადასცილდება. ესევე უნდა ითქვას პირველი პრინციპის შესახებაც.

ჩვენი ფიქრით, ეს პრინციპები (ყველანი შეერთებით) სრულიად საკმაონი არიან თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმების მოსაწესრიგებლად. საჭიროა მხოლოდ ცალკე გამოყოფილ იქნეს ზოგიერ გრაფიკული ხასიათის საკითხში და ნასესხები სიტყვები მართლწერა.

ზოგიერთი ზრახვიკული საკითხი

აქ ჩვენ შევეხებით ასომთავრულების ხმარებასა და რთული სიტყვების (და მათი მსგავსი კომპლექსების) მართლწერას.

ა) ასომთავრულების ხმარება. ასომთავრულების ხმარება ქართული მწერლობიდან კარგა ხანია იღვენება, მაგრამ მთლად განდევნილი მაინც არაა. ჩვენი ფიქრით, ასომთავრულების (დიდრონი ასოების). ხმარება უსარგებლოდ აძნელებს როგორც წერას, ისე სტამბაში აწყობას, და ამიტომ უმჯობესია ამგვარად შეზღუდულ იქნეს: ასომთავრულები (დიდრონი ასოები) უნდა ვიხმაროთ მხოლოდ სათაურებში და ნაწარმოებისა და თვითეული თავის დასაწყისში, დანარჩენ შემთხვევაში კი ასომთავრულების ხმარება ხაჭირო არაა.

ბ) რთული სიტყვებისა და მათი მსგავსი კომპლექსების წერა შემდეგი წესით უნდა წარმოებდეს: 1) როცა რთული სიტყვა ერთადერთი ცნების გამომხატველია მაშინ მისი ნაწილები, რამდენი ძირისგანაც გინდა შედგებოდეს, ერთად უნდა დაიწეროს, როგორც ერთი სიტყვა: თავისუფალი, მამაკაცი, დედამიწა, გულკეთილი, თავშიშველი, თმაგაკრეჭილი, გონებადაბნეული, თავლაფდასხმული და სხვანი; 2) მაგრამ, თუ რთული სიტყვა იმდენ ცნებას გამოხატავს, რამდენი ძირიც მასში მოიპოვება, მაშინ ამ ძირთა შორის პატარა ხაზი (დეფიზი) უნდა დაისვას: დედ-მამა, და-ძმა, გადატან-გადმოტანა, ქართლ-კახეთი-იმერეთი და სხვანი; აგრეთვე ცალ-ცალკეობისა და ჯგუფ-ჯგუფობის აღმნიშვნელი რთული სიტყვები, რომელნიც ერთისადაიმავე ძირის გამეორებით არიან შედგენილნი: ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად, ორ-ორი, სამ-სამი, ას-ასი და სხვანი. 3) ერთად უნდა დაიწეროს „და“ კავშირით გადაბმული ნაწილებიც რთული სიტყვისა და რთული რიცხვითი სახელები ასამდე: თანდათან, პირდაპირ, სხვადასხვა, ერთდაიგივე, ოცდაერთი, ოთხმოცდაცხრამეტი, ოთხმოცდაპირველი, სამოცდამეათე და სხვანი; 4) ერთად უნდა დავწეროთ ზმნის რთული ფორმებიც, რომელნიც ვარ და ვიყავი ზმნის შემწეობით არიან ნაწარმოებნი: ვყოფილვარ, მყვარებიხარ, წასულიყო, გაცუდებულიყო და სხვანი; 5) რთული სიტყვების ხასიათს ატარებს კომპლექსი კუთვნილებითი ნაცვალსახელებისა (ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი) და მათ წინ მდგომი სახელები ახლო ნათესავებისა: მამა, დედა, პაპა (ბაბუა), დიდედა (ბებია), ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიცოლა (ძა-

ლუა),—და ასეთი კომპლექსები ერთად უნდა დაიწეროს: მამაჩემი, მამაჩემს, მამიჩემის, მამიჩემით, მამაჩემო და სხვანი; 6) ამავე ხასიათის მატარებელია კომპლექსი რომელიმე სახელისა და ერთმარცვლოვანი თანდებულებისა: ზე, ში, თან, კენ, გან, მდე,—და იწერება ისე როგორც რთული სიტყვა, ე. ი. ერთად: ხეზე, სახლში, კაცთან, სოფლისკენ, ქვისაგან, ტყიდან, ქალაქამდე, 7) გამონაკლისს შეადგენენ (ტრადიციის ძალით) ერთმარცვლოვანი თანდებულები: წინ, ქვეშ, წილ და ყველა ორმარცვლოვანი თანდებული, რომელნიც ცალკე იწერებიან. ასე: სახლის წინ, თავ ქვეშ, თვალი თვალისა წილ, ჩემ მიერ, მას უკან, ათი წლის შემდეგ და სხვანი; 8) ცალ-ცალკე იწერება აგრეთვე რთული ზმნის ფორმები, რომელნიც ვიქნები-ს (იქნა, იქნეს) შემწეობით არიან ნაწარმოებნი: მოკლულ იქნება, დაწერილ იქნა, მიღებულ იქნეს და სხვანი, აგრეთვე ძველი ქართულიდან შემოსული ზმნის რთული ფორმები: ყურადვილე, გულისხმა ვყავ, შეურაცხ ვყავ, თაყვანი ვსცეთ და სხვანი.

III

ნასესხები სიტყვები და მათი ორთოგრაფია.

უძველესი დროიდან ქართულ ენას ბევრი უცხო სიტყვა აქვს შეთვისებული და ახლაც ბევრს ითვისებს; უეჭველია შემდეგშიაც ასე იქნება. ეს მოვლენა ერისა და ენის ევოლუციის აუცილებელი კანონია და ამიტომ მასთან პრინციპიალური ბრძოლა უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა მხოლოდ — უცხო სიტყვათა შეთვისების კანონი გამოინახოს და ნასესხებ სიტყვათა ორთოგრაფია ამ კანონის კვალობაზე მოეწყოს.

როგორც მოგეხსენებათ, უცხო სიტყვებს ქართული ენა თავისი საფონეტიკო და სამორფოლოგიო წესების თანახმად გარდმოჰქმნის და ისე შეითვისებს ხოლმე.

უცხო სიტყვათა ფონეტიკური გარდმოქმნა დღემდე ასე გამოიხატებოდა: ზოგჯერ ნასესხები სიტყვის ძირი საოცრად იცვლებოდა (მაგალ. სიტყვაში „აფთიაქი“), ზოგჯერ ნასესხებ ძირში ასოები გადაისმ-გადმოისმოდა („მაწრა“), ზოგჯერ ხმები გამოაკლებოდა (ეკლესია, კლასი), ზოგჯერ ნასესხებ სიტყვაში ხმები ოდნავ იცვლებოდა („ლოლიკა, ანგელოზი, მარკოზი), ზოგჯერ კი ნასესხებ ფუძეში არავითარი ცვლილება არ ხდებოდა (მაგალ. „პოლიტიკა“). ნასესხებ სიტყვათა მორფოლოგიურად გარდმოქმნა დღემდე ასე წარმოედა: ქართული ენა ზოგჯერ უცხო სიტყვის წმინდა

ფუძეს სესხულობდა და ქართულ დაბოლოებას უმატებდა: სინთეზ-ი, კლას-ი; ზოგჯერ უცხო სიტყვის ფუძეცა და დაბოლოებაც შემოჰქონდა და მხოლოდ შემდეგ უმატებდა ქართულ დაბოლოებას: ანგელოზ-ი, მუზე-უმ-ი, თეზ-ის-ი¹⁾; ზოგჯერ უცხო სიტყვას მისივე სუფიქსით სესხულობდა და შემდეგ ქართულ სუფიქსსა და დაბოლოებას უმატებდა: სოცი-ალ-ურ-ი, პოლი-ტიკ-ურ-ი ან საპოლიტიკო და სხვანი.

ერთი სიტყვით, დღემდე უცხო სიტყვათა შეთვისების დროს ქართული ენა ერთს მტკიცედ განსაზღვრულ წესს არ იცნობდა და ამიტომ წარსულის მაგალითი მომავლისთვის აქ ჩვენ სახელმძღვანელოდ არ გამოგვადგება. მაგრამ ერთი რამ კი ითქმის: ის უცხო სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენაში უკვე დიდხანია შემოსულან და აქ განსაზღვრული სახით მოქალაქობრიობა მოუპოვებიათ, იმავე სახით უნდა დავტოვოთ, რა სახითაც ახლა იგინი, ქართველის გამოთქმაში არსებობენ, მხოლოდ უნდა ვეცადოთ—ამ სიტყვების მართლწერა მათს გამოთქმას შეეთანხმდებოდეს, როგორც არის მაგალითად შემდეგს სიტყვებში: მაზრა, აფთიაქი, ეკლესია, კლასი, ლოდიკა, არქეოლოგია, ანგელოზი, პოლიტიკური, სოციალური და სხვანი, ე. ი. ყოველი მარტივი ბგერა ნასესხებ სიტყვებში უნდა გამოიხატოს მისი შესაფერი ერთი ასოთი.

მაგრამ, თუ უცხო სიტყვა თანამედროვე ქართველის გამოთქმაში სხვადასხვა სახით გვხვდება, ან უკეთუ მისი გამოთქმა და ორთოგრაფია რამე ეჭვს ჰბადებს, მაშინ საკითხის გამოსარკვევათ უნდა მივმართოთ იმ სიტყვის პირველ დედანს და უპირატესობა მივცეთ ისეთ გამოთქმასა და მართლწერას, რომელიც ერთი მხრით არ ეწინააღმდეგებოდეს ქართული ენის ფონეტიკასა და მორფოლოგიას და მეორე მხრით, რამდენადაც კი შესაძლოა, სისწორით გადმოგვცემდეს ამ სიტყვის ფონეტიკურ სახეს (გამოთქმას) მის პირველ დედანში, საიდანაც სხვა ენებსაც უსესხებიან ეს სიტყვა.

ამ წესის თანახმად უნდა ვთქვათ და უნდა ვწეროთ:

სინთეზი	—	და	არა	სინტეზი
რედაქცია	„	„	რედაქცია	
აქტი	„	„	აკტი	
ჰიპოთეზა	„	„	გიპოტეზა	და სხვანი,

1) არის ისეთი შემთხვევაც, როცა ერთსადაიმავე უცხო სიტყვას ქართული ენა ორგვარი სახით ითვისებს: უცხო დაბოლოებითურთ, რომელსაც ქართულ დაბოლოებას უმატებს (ფილოსოფოს-ი), და მარტო ქართული დაბოლოებით (ფილოსოფ-ი).

რადგან ფონეტიკურად პირველი რიგის ფორმები უფრო ახლო დგანან პირველ დედანთან ვინემ მეორე რიგისა¹⁾).

რაც შეეხება იმ უცხო ტერმინებს, რომელნიც სულ ახლად შემოდინან ჩვენს სალიტერატურო ენაში ან შემდეგში შემოტანილ იქნებიან, იქ უმჯობესი იქნება—ასეთი წესი დავიცვათ:

ჩვენ უნდა ვისესხოთ მხოლოდ ძირები ასეთის ტერმინებისა, რასაკვირველია, პირდაპირ იმ დედნიდან, საიდანაც სხვა კულტურულ ენებს უსესხნიათ (როგორც მოგეხსენებათ, ევროპული ენებისათვის ასეთს წყაროს წარმოადგენს ლათინური და ბერძნული ენა), ამ ძირებს უნდა მივუმატოთ წმინდა ქართული სამორფოლოგიო ელემენტები (დაბოლოება და, თუ საჭირო იქნება, საზედსართაო თავსართი და ჩასართიც) და მთელი სიტყვა ვწეროთ ისეთის ორთოგრაფიით, რომელიც სისწორით გადმოგვცემდეს ამ სიტყვის ძირის ფონეტიკურ სახეს მის პირველ დედანში. ავიღოთ მაგალითად საჭიმო ელემენტების სახელები: Jodum, bromum და სხვანი. ამ ტერმინების ძირია: Jod—**იოდ**, brom—**ბრომ**; მაშასადამე ქართულად ეს ტერმინები გამოითქმის და დაიწერება ასე: **იოდ-ი**, **ბრომ-ი**. ასევე უნდა დაიწეროს: ქლორ-ი, ნატრ-ი, კალ-ი და სხვანი. ზედსართავი სახელებიც ამავე ძირებისაგან უნდა ვაწარმოოთ ასე: იოდ-იან-ი, იოდ-ურ-ი, ბრომ-იან-ი, ბრომ-ულ-ი, ქლორ-იან-ი, ქლორ-ულ-ი და სხვანი.

დასასრულ, ორიოდვე სიტყვა უცხო საგეოგრაფიო სახელებისა და საზოგადოდ საკუთრებითი სახელების შემოტანისა და მართლწერის შესახებ.

1) სწორედ ამ წესის თანახმად უნდა ითქვას და დაიწეროს:

ეთიკა	და	არა	ეტიკა
ესთეტიკა	„	„	ესტეტიკა
თეზისი	„	„	ტეზისი
დევი	„	„	მდევი
კომედია	„	„	კამედია
რედაქტორი	„	„	რედაკტორი
ინსპექცია	„	„	ინსპექცია
კოლექცია	„	„	კოლექცია
დიალექტი	„	„	დიალექტი
სკოლა	„	„	შკოლა
ფოსტა	„	„	ფოშტა
სიმპათია	„	„	სიმპატია
ჰაერი	„	„	აერი
ჰორიზონტი	„	„	გორიზონტი
შაჰი	„	„	შახი, შაი.
სიუჟეტი	„	„	სიუჟეტი.
პოპულარული	„	„	პოპულიარული
კამისია	„	„	კამისია
ოფიცერი	„	„	აფიცერი
კონტროლი	„	„	კანტროლი
კომპანია	„	„	კამპანია და სხვანი.

ქართულ ენაში, როგორც მოგეხსენებათ, მრავალი საკუთრებითი სახელია შემოტანილი. ბევრმა მათგანმა წმინდა ქართულ სახელებთან ერთად შესაფერისი ევოლუცია განიცადა და შედარებით მტკიცედ განსაზღვრული სახე მიიღო: მიქაელ—მიქელ, იოვანე—ივანე, პეტრე—პეტრე, ჰრომი—რომი, ჰრომაელი—რომაელი, ევროპია—ევროპა, ევროპიელი—ევროპელი, ევროპიული—ევროპული, მეგვიპტელი—ეგვიპტელი და სხვანი. ბევრიც იმავე სახით არსებობს, რა სახითაც შემოსულა: მარკოზ, დავით, გიორგი, თამარ, როსტომ, ათონი, იტალია, სერბია, ინგლისი, ლონდონი, მოსკოვი და სხვანი.

ზოგიერთ საგეოგრაფიო სახელს ქართული ენა სთარგმნიდა ან ქართულის თავსართ-სუფიქსით აწარმოებდა—ასე: შუამდინარე, მთაშავეთი, სა-ბერძნეთ-ი, სა-თათრეთ-ი, ინდოეთ-ი, ბულ-გარეთ-ი და სხვანი.

ჩვენი ფიქრით, ის საკუთრებითი სახელები, რომელნიც კარგახანია შემოსულან ჩვენს ენაში და აქ განსაზღვრული სახით გაბატონებულან, უმჯობესია იმავე სახით დარჩენ და არ შეიცვალონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა საკუთრებითი სახელების გადაკეთება (ანუ ერთგვარი სიყალბის მოქმედება*). ამიტომ დაგვიანებულად და უადგილოდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი ქართული გაზეთის ცდა ისეთი საკუთრებითი სახელების შემოღებისა, როგორიცაა მაგალითად: სერბეთი, იტალიეთი, ავსტრეთი, და სხვანი. ეს სახელები ამ სახით არც ისტორიულნი არიან ქართულ სალიტერატურო ენაში და არც ცოცხალ კილოკავებში გვხვდებიან; ამიტომ, როგორც წმინდა კაბინეტური გზით გაჩენილებმა, ადგილი უნდა დაუთმონ მათს საბადლო, ისტორიულ და ცოცხალ ფორმებს: სერბია, იტალია, ავსტრია და სხვანი. დაბოლოება „ია“ საგეოგრაფიო სახელებში სულაც არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას: ამას ამტკიცებს ისეთი ქართული სახელები, როგორიცაა მაგალითად „ჭურია“ და მისი ფონეტიკური პროტოტიპი, საყოველთაოდ ცნობილი, „ივერია“.—საზოგადოდ კი სჯობს საკუთრებითი სახელები იმ სახით შემოვიტანოთ, როგორც იმ ენაში გამოითქმის, რომლიდანაც შემოგვაქვს.

*) თავისთავად ცხადია, აქ არ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა კანონმდებლობითი გზით ხდება საგეოგრაფიო სახელების შეცვლა, როგორც მაგალითად: ლენინგრადი, ლენინკანი, კრასნოდარი და სხვანი; ან კიდევ: რუსთაველის პროსპექტი, პლენანოვის პროსპექტი, ლენინის ქუჩა, ჯორჯიაშვილის ქუჩა და სხვანი.

სოციალური დაკვეთის დასაცავად

(პროფ. შ. ნუცუბიძის წერილის გამო „ხელოვნება და კლასი“—„ქართული მწერლობა“ № 3).

„სოციალური დაკვეთის“ ფორმულა შემცველია იმ ძირითად დებულებების, რომლებზედაც მემარცხენე ხელოვნების თეორეტიული კონცეპცია შენდება: თვითმიზნობრივი ხელოვნების, ესთეტიური ფექტივიზმის საწინააღმდეგოთ აქ წამოყენებულია ხელოვნების პრაქტიკულ-უტილიტარული ფუნქცია; მხატვრული ფაქტის მარადიულ-საკაცობრიო ღირებულებას აქ უპირისპირდება მისი დროულ-კონკრეტული დანიშნულების პრინციპი; თავისუფალ, „შეშთაგონებულ“ შემოქმედების თეორიას უპირისპირდება გეგმაზომილი, მიზანშეწონილი საქმიანობა. როგორც სჩანს „სოციალური დაკვეთის“ თეორია იერიშია ტრადიციული პოეტიკის ყველა ძირითად საფუძვლებზე. იგულისხმება: ეს წინააღმდეგობა გადადის ყველა „გამომდინარე“ საკითხში და ლიტერატურის თეორიის სრული რეკონსტრუქციის წინაშე გვაყენებს, იმ გარდატეხათა პარალელურად, რომელსაც ადგილი აქვს ოქტომბრის შემდეგი ხელოვნების პრაქტიკაში და რომელიც თავის მხრივ მიმდინარე რევოლუციით შექმნილი ახალი სოციალ-პოლიტიკური ვითარებით არის განპირობებული.

ბუნებრივია, რომ ამ ფორმულამ, როგორც მემარცხენე ლიტერატურულ იდეათა ერთგვარმა შემკრებმა ფოკუსმა აზრთა ცხოველი დაპირისპირება გამოიწვია, რომელიც ეხლაც გრძელდება ბეჭდვითი თუ ზეპირი დისკუსიების სახით. მარქსისტული კრიტიკა ამ საკითხში გაიყო არა ორ ბანაკად, არამედ რამოდენიმე ბანაკად. გარდა იმისა, რომ გაჩნდა „სოციალური დაკვეთის“ მომხრე დამოწინააღმდეგე თვალსაზრისი მარქსისტთა შორის, ამავე დროს ამ თეორიის მომხრეთა შორის არსებითი განსხვავებაა თეორიის ინტერპრეტაციისა და არგუმენტაციის მხრივ (მაგ: ბრიკი, კოგანი, გორბაჩევი და სხ.) და ასეთივე სხვადასხვაობაა ამ თეორიის მოწინააღმდეგეთა შორის. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მარქსისტული ლიტერატორული თეორია მხოლოდ ეხლა იმყოფება ყალიბობისა და დამუშავების პროცესში. მარქსიზმის, როგორც მსოფლმხედველობი-

სა და მეთოდის გადატანა და სწორი მომარჯვება ხელოვნებისა და ლიტერატურის პრობლემებისადმი მხოლოდ ამ დისკუსიებისა და აზრთა შეჯახების ნიადაგზე სწარმოებს. აკი ასეთივე სხვადასხვაობამ იჩინა თავი მარქსისტ კრიტიკოსთა შორის ლიტერატურის სხვა მნიშვნელოვან საკითხების გარშემო კამათის დროს, როგორც არის მაგალითად: ხელოვნების რაობის, მისი სოციალურ ფუნქციის, მხატვრული რესტავრაციის, (ან უკეთ—ესთეტიური შემკვიდრების) ფორმალისმის და სხვა პრობლემები. აქედან ცხადია, რომ „წმინდა მარქსისტული თვალსაზრისის“ სახელით გამოსვლა ამ დისკუსიაში არავის შეუძლია, რადგან დისკუსიის მიზანს სწორედ ამ წმინდა მარქსისტული თვალსაზრისის გამომუშავება წარმოადგენს.

მაგრამ თუ თეორიისა და კრიტიკის დარგში მომუშავეთა შორის ამ თეორიამ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, სამაგიეროთ „შემოქმედთა“ ბანაკი ერთსულოვნად გამოვიდა მის წინააღმდეგ და ამ ფორმულის ლიტერატურულ ლექსიკონიდან გაძევებაც მოითხოვა. და ესეც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. სავსებით გასაგებია ტრადიციულ ესთეტიკაზე აღზრდილ, „ზეშთაგონებულ“ შემოქმედთა აღშფოთება ამ პროგრესიული თეორიის წინააღმდეგ: სელვინსკი, ეს მემარცხენე ესტეტის საუკეთესო ტიპი, რომელსაც ნოვატორობა სწამს მხოლოდ ნოვატორობისათვის, ფორმალური სიახლე—მხოლოდ ფორმალური სიახლისათვის, გარეშე კონკრეტული მიზნობრივ—სოციალური დანიშნულებისა, რა თქმა უნდა ვერ გაიზიარებდა „სოციალური დაკვეთის თეორიას“.

გლატკოვი და ფადეევი ხომ ისეთ მწერალთა ტიპებია, რომელთაც თავიანთ რომანების დაწერის წინ გულდასმით უნდა გადაიკითხონ ტოლსტოის, ან სხვა კლასიკოსთა შემოქმედება და იქიდან მიიღონ შთაგონება. რა გასაკვირია თუ მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის თეორია, რომელიც ლიტერატურულ მშენებლობისათვის მამოძრავებელ იმპულსსად მკვდარ თაობათა ტრადიციებს კი არა, არსებულ სოციალურ არეს და მის კონკრეტულ მოთხოვნებს აღიარებს: ბ. პილნიაკი თვითონვე აცხადებს, რომ იგი თავის შემოქმედების ნახევარს წინასწარ სიზმარში ხედავს. ცხადია ამის შემდეგ მას და მისი ტიპის სხვა კალმოსნებს არ შეუძლიათ იმ თეორიის გაზიარება, რომელიც ლიტერატურულ მუშაობას, სხვა წარმოებითი პროცესებთან ერთად, მიზანშეწონილ, გეგმიან, შეგნებულ საქმიანობად აცხადებს.

ამიტომაც ამ მწერლების ერთსულოვანი იერიში „სოციალური დაკვეთის“ წინააღმდეგ მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ

მან საკმაოდ ძლავრად შეარყია ძველ ესთეტიკის სიმაგრეები, რომლებშიც ცოტათ თუ ბევრად ჯერ კიდევ თავს იფარავს საბჭოთა მწერლობის საკმაოდ დიდი ნაწილი.

საკითხის აქტუალობა, მისი მნიშვნელობა და რეზონანსი არსებულ ლიტერატურულ ყოფაში უკომენტარიოდაც ნათელია. ამიტომ ამ საკითხის ირგვლივ ჩვენს ლიტერატურაში დისკუსიის გადმოტანა სავსებით მიზანშეწონილი და აუცილებელი საქმეა, მით უფრო, რომ „სოციალურ დაკვეთის“ თეორიის შემადგენელი იდეები უკვე შეჭრილია ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში.

ვიდრე „სოციალურ დაკვეთის“ კრიტიკოსთა (მათ შორის პროფ. შ. ნუცუბიძის) მოსაზრებებს განვიხილავდეთ, საჭიროა იმ თვალსაზრისთა მოკლედ დასაბუთება, რომელთა სისტემას, კომპლექსს, შეადგენს „სოციალური დაკვეთის“ თეორია.

II.

„მოსაწყენია ცხოვრება, მაგრამ სასიხარულოა ხელოვნება“, „უმდაბლეს ჭეშმარიტებათა ბინდზე უძვირფასესი ჩვენი ამმაღლებელი ტყუილია“. — აი ცოცხალი ფორმულები ბურჟუაზიული ესთეტიკის, სადაც „მშვენიერის“ ცნებიდან კატეგორიულად გამორიცხულია ცნება „სასარგებლოსი“, აქედან უტილიტარულ და ესთეტიურ ღირებულებათა დაპირისპირება; ხელოვნების გადაბარგვა მშვენიერებისა და ესთეტიურობის სამსახურში; აქედან ესთეტიური ფეტიშიზმი — ხელოვნების განყენება ცხოვრების პროცესიდან და დაუსრულებელი დავა ამ ორი, თითქოს ერთმანეთს გარეშე არსებული კატეგორიების ურთიერთობათა შესახებ.

როგორც ვიცით, მემარცხენე ხელოვნების თვალსაზრისი აღმოცენებულია ძველი პოეტიკის ამ ძირითად პოსტულატისადმი რადიკალურ დაპირისპირების ნიადაგზე. და „სოციალური დაკვეთის“ თეორიაც პირველ ყოვლისა ესთეტიურ ფეტიშიზმის საწინააღმდეგო თეორიაა. აქ უარყოფილია ხელოვნების თვითმიზნობრივი, ესთეტიური ღირებულება აღიარებულია მხატვრული ფაქტის პრაქტიკულ-უტილიტარული ფუნქცია. ეს დებულება ლოდიკურად გამომდინარეობს ხელოვნების რაობის ისეთი გაგებიდან, რომელიც მემარცხენე მწერლობამ წამოაყენა და რომლითაც ხელოვნება — ცხოვრების მშენებლობათ, ამ პროცესის ორგანიულ მონაწილედ ცხადდება.

ყოველი მხატვრული ფაქტი არა მარტო შედგება სოციალური გარესკნელისა, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრების მდინარების ფაქ-

ტორიც,—ამიტომ იგი პასუხია ამა თუ იმ სოციალურ მოთხოვნაზე, ნაკარნახევი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ინტერესით. მაგრამ ეს სოციალური დანიშნულება მხატვრული ფაქტის დროებითი თვისებაა. მის გამომწვევ სოციალ-პოლიტიკურ ვითარების გარდამავლობასთან ერთად გარდამავალია მისი აქტუალობა და მნიშვნელობაც. მხატვრული ნივთი მაინც განაგრძობს არსებობას; იგი ტრადიციის ინერციით გადაეცემა სხვა თაობებს; გადადის სრულიად სხვაგვარი ინტერესებით, მსოფლმხედველობით, მისწრაფებებით შედგენილ სოციალურ არეში და ასეთ შემთხვევაში მხატვრული ფაქტს დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი დანიშნულება, ამიტომ მოკლებულია აქტუალურ სოციალურ ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში იგი მართლაც უსარგებლო, ესთეტიურ კატეგორიად იქცევა, როგორც ყოველი ნივთი, რომელიც დაკარგავს რა თავის მოსახმარ ღირებულებას, გადავა მუზეუმში, რომ მასზე „წარსული შევისწავლოთ“, ან იქცევა სამკაულად, გასართობ და „დამამშვენებელ“ საგნად.

ამ პროცესის დასახასიათებლად კლასიკური მაგალითი მოყავს სერ. ტრეტიაკოვს. ის აღნიშნავს მაგალითად ხანჯლის ისტორიას, რომელიც გამოიგონეს თავის დროზე გარკვეული პრაქტიკული მიზნით—მტრებისაგან თავდასაცავად. წინაპარმა იგი კედელზე დაკიდა, საწოლთან ახლოს, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად ყოფილიყო. გაიარა დრომ, ხანჯალმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება, მაგრამ ის მაინც ჰკიდია კედელზე, როგორც სამკაული, უბრალო ნივთი, ტრადიციით შერჩენილი და ყოველგვარ ფუნქციისაგან დაცლილი.

ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ ან ჭონჭაძის „სურამის ციხე“ ჩვენთვის ეხლა მხოლოდ ლიტერატურული დოკუმენტებია, საინტერესო მასალა ჩვენი მწერლობის ისტორიის, ან თუნდაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შესასწავლად, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ეს ნაწარმოებები თავის დროზე სულ სხვა ფუნქციას ასრულებდნენ—ბატონ-ყმურ ურთიერთობის პირობებში მათ პროგრესიული სოციალური ფაქტორის დანიშნულება ჰქონდათ.

ამ რიგათ ყოველი მხატვრული ფაქტი, მოსხლეტილი თავის დროულ-სივრცულ ლოკალს და გადატანილი სხვაგვარ სოციალურ ვითარების არეზე, კარგავს თავის უტილიტარულ ღირებულებას და ესთეტიურ კატეგორიად იქცევა. ხელოვნების ისტორია ამ დებულების ცოცხალი ილლიუსტრაციაა.

აქედან ადვილი გასაგებია თუ რატომ უარყოფს „სოციალური დაკვეთის“ თეორია ხელოვნების მარადიულ და საკაცობრიო ღირე-

შულებას. დროულ-სივრცეული ლოკალი უთუოდ განსაზღვრავს მხატვრული ფაქტის მასალობრივ-ხერხობრივ ბუნებას და მას ადგილობრივ-ისტორიულ ღირებულებად ხდის. ამავე დროს არ არსებობენ მარადიული, ან საკაცობრიო ინტერესები და მოთხოვნები. ამიტომაც მხატვრული ფაქტი, გამოწვეული რაიმე სოციალური მოთხოვნით არ შეიძლება მარადიული ან საკაცობრიო იყოს. რა თქმა უნდა არის ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივი, ცოტათ თუ ბევრათ საერთო სოციალური ამოცანები, ამის მიხედვით ნაკლებად და მეტად გამძლე მხატვრული ფაქტებიც მაგრამ რაიმე აბსოლიუტზე ლაპარაკი (მარადიულ-საკაცობრიო ღირებულება) წმინდა წყლის მეტაფიზიკაა. აქედან გამომდინარეობს ეპიგონობის, მხატვრული რესტავრაციის, წარსულის ესთეტიური ტრადიციების უარყოფა და ნოვატარობის პრინციპი.

მაგრამ ეს ნოვატარობა არ წარმოადგენს თვითმიზანს. იგი არ შეიძლება ქაოტიურ-ანარქიულ სტიქიათ წარიმართოს. ნოვატარობა საჭიროა იმიტომ, რომ გაცვეთილი ხერხობრივი აპარატი, რომელიც აღარ შეეთავსება ახალი ცხოვრებით მოტანილ მასალას, ვერ ახდენს გავლენას ახალ სოციალურ არეზე, ვერ უპასუხებს ახალ მოთხოვნებს, შეიცვალოს სათანადოთ ახალ გზებითა და საშუალებებით. მაგრამ ამისათვის ხელოვანს უნდა ესმოდეს ის დანიშნულება, რომლისთვისაც იგი მუშაობს, უნდა ესმოდეს რა მასალებზე უხდება მას მუშაობა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და მაშასადამე უნდა ესმოდეს როგორი მხატვრული საშუალებებით შეიძლება ამ გარკვეული მასალების ნიადაგზე, გარკვეულ დანიშნულებებისათვის შესაფერი მხატვრული ნივთის ფორმაცია. აქედან ცხადია, რომ ლიტერატურული მუშაობა უთუოდ მიზანშეწონილი და გეგმიანი პროცესია ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენს დროში, როდესაც მთელი სოციალურ ცხოვრების რეგულიაცია, ყოველგვარი წარმოებითი პროცესი მკაცრად უმორჩილდება გეგმისა და დირექტივის კარნახს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ახალი საზოგადოების განხორციელება.

ამიტომ „სოციალური დაკვეთის“ თეორია კატეგორიულად უარყოფს „ღვთიური მუხების“ „ზეშთაგონების“ და „ზეკაცურ შემოქმედების“ ლეგენდებს, რომლითაც ხელოვნება გამოთიშული იყო და გამოყოფილი სოციალური ყოფის სხვა პროცესებიდან.

ასეთია „სოციალური დაკვეთის“ თეორიის შინაარსი, იმ გაგებით, როგორც ეს თეორიის ავტორებს — მემარცხენე მწერლობის ფრონტს ესმის.

გავსინჯოთ ამ თეორიის საწინააღმდეგოთ წამოყენებული არგუმენტები.

III

რუსულ მარქსისტულ კრიტიკაში „სოციალური დაკვეთის“ მოწინააღმდეგეთა შორის უმთავრესად ვიაჩესლავ პოლონსკი, პერევერზევი და ნუსინოვი უნდა აღინიშნოს.

ჩემი ფიქრით ეს ავტორები სწორად ვერ არკვევენ (ან არ არკვევენ) სადისკუსიო თეორიის აზრს და მისი ნებითი თუ უნებლიე დამახინჯების ნიადაგზე აშენებენ საკმაოდ მკაცრ კრიტიკას.

ამ წერილის ფარგლებში ჩვენ მოგვიხდება შევჩერდეთ მათ მიერ წამოყენებულ მხოლოდ ძირითად დებულებებსა და არგუმენტებზე, რადგან საკმაოდ ვრცელ დისკუსიის პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხების დაყენებისა და გადაჭრისათვის აქ არც დრო გვაქვს და არც ადგილი.

ვიაჩესლავ პოლონსკიმ „სოციალური დაკვეთის“ ფორმულა გაიგო როგორც ხელოვანის გამოყოფა თავისი კლასისაგან და მისდამი ვაჭრულ-ხელოსნური დაპირისპირება. მისი აზრით ეს იდეებით და სახეებით ვაჭრობას უდრის. კლასი შეუკვეთს, ხელოვანი შეასრულებს. აქ დამჭირავებელისა და დაჭირავებულის ურთიერთობაა. აქ გაწყვეტილია ორგანიული კავშირი კლასსა და მის ხელოვანს შორის. აქ ხელოვანი განყენებულია საზოგადოებრივობისაგან და ამდენათვე ეს თეორია მეტაფიზიკური და იდეალისტურია.

ჩვენ სწორედ იმიტომ შევეცადეთ ამ წერილის წინა ნაწილში ჩამოგვეყალიბებია სადისკუსიო ცნების შინაარსი, რომ ნათელი გამხდარიყო თუ როგორ არა სწორად, დამახინჯებულად ესმის პოლონსკის ეს თეორია.

„სოციალური დაკვეთის“ თეორია სწორედ კლასისა და მისი ხელოვანის, საზოგადოებრივობისა და მწერლის ურთიერთობისაგან გამოყოფის საწინააღმდეგო, და მათ შორის ორგანიული ურთიერთობის აღიარების თეორიაა. „სოციალური დაკვეთა“ ნიშნავს არა ინდივიდუალურ შეკვეთას, კლასის რომელიმე წარმომადგენლის, ან დაწესებულების, ან ორგანოს მიერ რომელიმე ხელოვანისა და მწერლის მიმართ. ეს არ გულისხმობს მწერლის მუშაობას თავისი შეგნებისა, რწმენისა და თვალსაზრისის წინააღმდეგ ვისიმე შეკვეთით და წინადადებით. ასეთი „სპეცური მოხერხებულება“ „ვიწრო ტექნიციზმი“ მკაცრად უარყოფილია „Лед“ის მიერ რუსეთში (იხ. ს. ტრეტიაკოვის წერილი „Продолжение следует“ წიგნში „Литература факта“).

„სოციალური დაკვეთა“ გულისხმობს ხელოვანის მიერ საკუთარ

აზროვნებით, ინტუიციით, დაკვირვებით თავისი დროის, თავისი კლასის მოთხოვნათა დი საჭიროებათა სწორად შეგნებას და გაგებას. ამ საჭიროებათა მიხედვით უნდა მოახდინოს მან მასალებისა და ამ მასალების დასამუშავებელ მეთოდების შერჩევა. განა ამ გვარად არ მუშაობს ყოველი შეგნებული მონაწილე მიმდინარე სოციალისტური მშენებლობისა? და რატომ იქნება ეს კლასიდან გამოყოფა, ან იდეებით და სახეებით ვაჭრობა?

ცხადია, პოლონსკი საკმაოდ მძლავრად მოქცეულია ტრადიციული ესთეტიკის გავლენაში, ამიტომაც მისთვის გაუგებარია და მიუღებელი თუ როგორ შეიძლება ხელოვნების არეში შეიჭრას ეს „უბრალო“ ყოფითი ცნება—„დაკვეთა“. აკი პოლონსკიმ სცადა „მუზებისა“ და „შთაგონების“ დაცვა, ხელოვნების მარადიულობისა და კაცობრიულობის დაცვა, რამაც იგი „გენიალობის“ მეტაფიზიკურ ცნების აღიარებამდე მიიყვანა და კიდევ მეტი—ზეკლასიურ და ზედროულ გენიოსთა აღიარებამდე. რაღა დარჩება აქედან კლასიურ ხელოვნების თეორიას და მარქსისტულ ხელოვნებათ-მეტყველებას?

პოლონსკის მეორე მთავარი არგუმენტი ნოვატორობის საკითხს შეეხება: თუ ხელოვანი კლასის ან საზოგადოების მოთხოვნას ასრულებს, მაშ რაღას იტყვით იმ ნოვატორობის შესახებ, რომლებიც საზოგადოებრიობის მოთხოვნათა წინააღმდეგ მიდიან და სწორეთ ამით ქმნიან ხელოვნების პროგრესსო?

აქაც ადგილი აქვს გაუგებრობას და აზრის გაყალბებას.

როგორც ზემოთაც დავინახეთ „სოციალური დაკვეთის“ თეორია სწორედ ნოვატორობის თეორიაა, რადგან იგი გულისხმობს ახალ ცხოვრების მიერ წამოყენებულ სოციალურ საჭიროებათა მიხედვით ასევე ახალი გზებისა და მეთოდების გამონახვას, ასევე ახალი მასალების შერჩევას ლიტერატურულ მუშაობაში.

„სოციალური დაკვეთა“ სრულიად არ გულისხმობს, რომ მწერალი ეკითხებოდეს მკითხველს, თუ რა სურს მას და მისი გემოვნებისა და სურვილის მიხედვით მუშაობდეს. ასე რომ იყოს მაშინ მართლაც შეჩერდებოდა და გაიყინებოდა ლიტერატურის ისტორია. ჩვენ ვამბობთ, რომ მწერალმა თვითონ უნდა გაიგოს და შეიგნოს თუ რა სჭირდება ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში მოწინავე, პროგრესულ (და არა უთუოდ გაბატონებულ) კლასს და ამის მიხედვით წარმართოს თავისი მხატვრული მუშაობა. და რადგან მოწინავე, პროგრესული კლასის საჭიროება და მოთხოვნა (სულ სხვაა სურვილი და სულ სხვაა საჭიროება) ყოველთვის ნიშნავს ძველი მდგომარეობიდან დაძვრას, ამიტომ ასეთი მოთხოვნით ნაკარნახევი მხატ-

გრული პროდუქცია უეჭველად პროგრესული და ნოვატორული იქნება.

ამ რიგათ „სოციალური დაკვეთის თეორია ნოვატორობის პირდაპირი აპოლოგიაა, მაგრამ ეს ნოვატორობა საზოგადოებრივად ფუნქციონალური ნოვატორობაა და არა ქაოტიურ-ესთეტიური ნოვატორობა.

აქედან აღვიღო გასაგები იქნება, ის შეცდომა, რომელშიაც მოქცეულია პერევერზევი, როცა იგი „სოციალურ დაკვეთის“ ფორმულას, „სოციალური ბრძანების“ ფორმულას ამჯობინებს. აი როგორ ესმის მას „სოციალური დაკვეთის თეორია: „მკითხველს აქვს ასეთი წიგნის მოთხოვნილება, მკითხველს სურს ასეთი პოეტური ნაწარმოები; მოდის პოეტი და აცხადებს: „მე შენ ამ წუთში გაგიკეთებ ასეთს“. მკითხველი აღვიღათ შეამჩნევს, რომ პერევერზევის ინტერპრეტაციაში სადისკუსიო ფორმულა სრულიად ყალბათ არის გაგებულნი; რომ სოც. დაკვეთა მკითხველსა და მწერალს შორის ასეთ მიმართებას არ ნიშნავს, ამის შესახებ უკვე ვსთქვით და განმეორება საჭირო აღარ არის.

მაგრამ პერევერზევი აყენებს საკითხს შემდეგნაირად: „სოციალური დაკვეთის“ თეორია ეწინააღმდეგება შეგნების მდგომარეობით დეტერმინიულობის თეორიას. რაც მატერიალისტური მოძღვრების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენსო.

პირიქით „სოციალური დაკვეთის“ თეორია სწორედ იმ დებულებას ემყარება, რომ გარემოება (კლასის მოთხოვნები და ინტერესები გარემოებით არის ნაკარნახევი) უნდა კარნახობდეს ხელოვნების ფორმებს და მასალებს. მაგრამ ეს თავისთავად, მექანიკურად როდი ხდება. ხელოვანის მოვალეობაა: სწორად გაიგოს ეს „გარემოების“ კარნახი და მისი მიხედვით წარმართოს ლიტერატურული მუშაობა, სად არის აქ უარყოფა შეგნების მდგომარეობით განსაზღვრულობის თეორიისა?

ნუსინოვი „სოციალური დაკვეთის“ თეორიას ნაწილობრივ იღებს. ის ყოფს ლიტერატურას—ეპოქისა და ყოველდღიურობის მწერლობათ. მეორის მიმართ სადისკუსიო ფორმულა სწორად მიაჩნია, პირველის მიმართ—შეცდომათ.

აქ ორგვარ შეცდომასთან გვაქვს საქმე: შეუძლებელია „ეპოქალური“ (თერმინს ვხმარობთ პირობითად უფრო გამძლე ნაწარმოების აღსანიშნავად) და „არა ეპოქალური“—ე. ი. ყოველდღიური ნაწარმოები განვასხვავოთ მარტოდენ თემატიური მასალის მიხედვით. რამდენი „საკაცობრიო იდეალების“ თემატიკაზე დაწერილი ნაწარ-

შოები გაქრა ლიტერატურის ისტორიიდან იმიტომ, რომ ეს მასალები მოექცენ მდარე და უვარგის ხერხობრივ აპარატში—იაფთასიან შესრულებაში. ნაწარმოების დროული გამძლეობა მარტო თემატიურ მასალებისაგან არ არის დამოკიდებული, გარდა ამისა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „სოციალური დაკვეთის“ თეორიას სავსებით არ ეწინააღმდეგება ისეთი მდგომარეობა, როცა კლასის ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივი ინტერესის შესაფარდი მხატვრული ფაქტი ცოტათ თუ ბევრად გამძლე გამოდგება დროულ მანძილზე. ასეთი ფაქტები აუარებელია ლიტერატურის ისტორიაში. „სოციალური დაკვეთა“ მხოლოდ აბსოლიუტს უარყოფს.

აგრეთვე უმართებულოა პერევერზევის შენიშვნა, თითქოს „სოციალური დაკვეთის“ თეორიის ავტორები მწერლის იდეოლოგიური ორიენტაციის საკითხს გვერდს უვლიდენ. აქ საქმე მხოლოდ იმაშია, რომ შემარცხენე მწერლობის თვალსაზრისით ნაწარმოების შეფასების დროს უმთავრესია ის სოციალური ეფექტი, რომელსაც ნაწარმოები ახდენს და არა ის განზრახვა, რაც ნაწარმოების ავტორს გულში ქონდა, და ავტორის შთამომავლობა. ლიტერატურის ისტორიამ იცის აუარებელი მაგალითები, როცა ერთი კლასიდან გამოსული მწერლის შემოქმედება ემსახურებოდა მეორე კლასის ინტერესებს და ეს სამსახური მხოლოდ მისი ნაწერების სოციალური ეფექტით განიზომება.

ასეთია იმ უმთავრეს არგუმენტების ძალა და სიმტკიცე რომელიც ჯერ-ჯერობით რუსულ კრიტიკაში წამოყენებულია „სოციალური დაკვეთის“ თეორიის წინააღმდეგ.

IV

ჩვენს მწერლობაში ამ საკმაოდ მნიშვნელოვანსა და აქტუალურ პრობლემას პირველად. პროფ. შ. ნუცუბიძე გამოეხმაურა. პირველყოვლისა უნდა ითქვას, რომ პროფ. ნუცუბიძის წერილში არ სჩანს ვარკვეული თვალსაზრისი ამ საკითხის გარშემო და საბოლოოთ გაუგებარი რჩება ავტორის პოზიცია.

ამავე დროს სადისკუსიო ფორმულის ინტერპრეტაციაში. იგი ისევე ენდობა პოლონსკის და სხვა კრიტიკოსებს, როგორც საკითხის გარეგნული ისტორიის გადმოცემაში. ამით ის გარემოება გვინდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს არ მოუსურვებია „სოციალური დაკვეთის“ თეორიას უშუალო წყაროებით გაცნობოდა ე. ი. გაცნობოდა ამ საკითხში იმ ლიტერატურულ მიმდინარეობის მასალებს, სადაც ეს თეო-

რია გამომუშავდა ე. ი. „ქედ“-ის მწერლების თვალსაზრისს. ემყარება რა ავტორი დისკუსიაში მონაწილე კრიტიკოსების ინტერპრეტაციას, რომელთა უმრავლესობაც, როგორც ზემოთ შევეცადე დამემტკიცებია, ყალბათ და დამახინჯებულად არკვევენ ამ ფორმულას, ცხადია ავტორი მთელ რიგ შეცდომებს უშვებს, როგორც პრობლემის გაშუქებაში, ისე, „ქედ“-ის პოზიციისა და აგრეთვე ზოგიერთ შემავალ საკითხთა გარკვევაშიაც.

„სოციალურ დაკვეთის“ ცნება თავისთავად ცხადია ბევრს არაფერს შეიცავს. მასში გამოთქმულია ის აზრი, რომ ხელოვანი თავის შემოქმედებას უმორჩილებს, ანუ თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობს გარკვეულ სოციალურ იდეებით, რომლებიც მისი ნამოქმედარის თემატიკაში, კომპოზიციაში, ჟანრში ბატონობს და უკუიფინება“. სწერს, ნუცუბიძე და ამ შემხვევაში იგი ემყარება პ. კოვანის აზრს, რომელიც აგრეთვე ფიქრობს, რომ „სოციალურ დაკვეთის“ თეორია ახალს არაფერს ამბობს.

ეს აზრი არ არის მართალი. ჩვენ ზემოთ ვსცადეთ გაგვერკვია, რომ „სოციალური დაკვეთის თეორია მკაცრი იერიშია ტრადიციული პროექტის ყველა საფუძვლებზე, ეს თეორია რომ მართლა იმით განისაზღვრებოდეს, რაზედაც ნუცუბიძე ლაპარაკობს, მაშინ მის გარშემო მარქსისტ კრიტიკოსთა შორის დისკუსიაც არ იქნებოდა. რომელი მარქსისტი შეგედავებათ იმაში, რომ ხელოვანი გარკვეული სოციალური იდეებით ხელმძღვანელობს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში სოციალური იდეები „ბატონობს და უკუიფინება“.

მაგრამ მარქსისტთა შორის დავა იმის შესახებ—არის თუ არა ხელოვნება ესთეტიური კატეგორია (ზოგი მარქსისტი იმ აზრსაც იცავს, რომ ხელოვნებას ცხოვრების გამშვენიერების ფუნქცია აქვს, როგორც დეკარაციას, ან კოსტიუმს სოციალური ყოფისათვის) თუ მას პრაქტიკულ უტილიტარული ღირებულება აქვს. კამათია მარქსისტთა შორის იმის შესახებაც: შეიძლება თუ არა ხელოვნებაში მარადიულ—საკაცობრიო ღირებულებათა არსებობა; აზრთა სხვადასხვაობაა აგრეთვე იმ საკითხში; თავისუფალია ხელოვანი თავის შემოქმედებაში, თუ ისიც, როგორც სხვა წარმოებითი პროცესების მონაწილეც, გარკვეულ გეგმით და მიზანშეწონილობით მუშაობს (შთაგონებისა თუ სოციალური გეგმის, სოციალური დირექტივის პრინციპი).

და „სოციალურ დაკვეთის“ შესახებ გამართული ცხოველი დისკუსია სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ეს თეორია სწორედ ამ სადისკუსიო საკითხებში გარკვეულ თვალსაზრისთა სისტემას შეად-

გენს და არა იმ სავესებით მარტივსა და ყველასათვის (ყოველ შემთხვევაში ყველა მარქსისტისათვის) უდავო აზრის აღიარებას, რომელზედაც ნუცუბიძე ლაპარაკობს.

პროფ. ნუცუბიძის აზრით „სოციალური დაკვეთის“ პრობლემა იცვლება იმის მიხედვით თუ როგორი ურთიერთობაა კლასსა და ხელოვანს შორის. „თავისი კლასი“ თუ „სხვისი კლასი“ იძლევა დაკვეთას. საკითხის ასეთ დაყენებაში ნუცუბიძე პოლონსკისა და პერევერზევის მიდგომას გვაგონებს, საქმე ისაა, რომ არ შეიძლება მწერალმა შეასრულოს „სხვისი კლასიდან“ მიღებული „სოციალური დაკვეთა“. რატომ უნდა აქ მხედველობაში გვაქვს ნაწარმოების სოციალური ეფექტი და არა მწერლის წარმოშობა. თუ მწერალი თავისი ნაწერების სოციალური ეფექტით პროლეტარიატს ემსახურება, იგი პროლეტარიატის მწერალია; თუნდაც იგი პიროვნულად ბურჟუაზიულ კლასიდან გამომდინარეობდეს; პირიქით—თუ მწერალის მხატვრული პროდუქცია ბურჟუაზიის სასარგებლო შედეგებს აღწევს, ასეთი მწერალი ბურჟუაზიული მწერალია თუნდაც პროლეტარი იყოს თავისი შთამომავლობით.

შესაძლებელია თუ არა ერთი კლასიდან გამოსული ხელოვანის მხატვრული პროდუქცია უპასუხებდეს მეორე კლასის სოციალურ მოთხოვნებს? შესაძლებელია თუ მასში მოხდა დაშორება თავისი კლასისაგან და თავისი შეგნებით, სულიერი კონსტიტუციით მეორე კლასის იდეებითა და მისწრაფებებით გაიმსჭვალა, ამის მაგალითები აუარებელია. (პოლიტიკაში კლასიკურ მაგალითს ენგელსი წარმოადგენს). ამრიგათ ნუცუბიძისათვის პრობლემის სირთულე ამ მხრივ გამოწვეულია საკითხის არა სწორი დაყენებით—მწერლის კლასიურობის შესახებ. ეს უკანასკნელი უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ მისი ნამოქმედარის სოციალური ეფექტით ყოველი მხატვრული ნაწარმოები კლასიურ საზოგადოებაში ან ერთი, ან მეორე კლასის „შეკვეთას“ ასრულებს; თუ რომელიას, ეს „სოციალური დაკვეთის“ პრობლემის ხასიათს არ სცვლის.

რომ ნუცუბიძეს საკითხი ასე დაეყენებია, მაშინ აღარ გამოთქვამდა იმ უმართებულო აზრს „ლეფის“ შესახებ, (როგორც ამას პოლონსკი, პერევერზევი და სხვები სჩადიან) თითქოს ამ ბანაკში „სოციალურად ერთი კატეგორიის მწერლობა მეორე კატეგორიის სამწერლო ამოცანების ანუ შეკვეთის შესრულებას ლამობდა“.

„ლეფი“-ს ბანაკს ჩვენ ვიცნობთ მათი ლიტერატურული პროდუქციით, (სხვაგვარად ისინი ჩვენთვის საინტერესონი არც არიან) ეს პროდუქცია, არა ნაკლებ რომელიმე სხვა ლიტერატურული მიმ-

დინარეობის პროდუქციაზე—უბასუხებს პროლეტარიატის სამწერლო ამოცანებს. მხოლოდ ამის საწინააღმდეგო მოსაზრების დამტკიცების შემდეგ შეიძლება იმის განცხადება, რომ „ლეფი“ სოციალურად „სხვა“ კატეგორიაა, ხოლო სულ „სხვა“ კლასის ამოცანების სამსახურს ლამობს.

ასევე უმართლებულობა, როცა პროფ. ნუცუბიძე (მსგავსად შტეინმანისა) უპირისპირებს „სოციალურ დაკვეთის“ „ლეფურსა“ და წმინდა მარქსისტულ“ თეორიებს. ავტორი სწერს:

„იგი (ლაპარაკია“, ბრიკის თვალსაზრისზე) უფრო ახლოს სდგას სოციალური შეკვეთის“ იმ გაგებასთან, რომელიც „ლეფს“ ახასიათებდა (უნდა შევნიშნოთ ავტორს, რომ ო. ბრიკი თვითონ „ლეფელი“ არის და ამ თეორიის ასეთი გაგების ერთ-ერთი ავტორთაგანი) ვიდრე წმინდა მარქსისტულთან, სადაც „სოციალური შეკვეთა“ „სპეცური“ იდეოლოგიით არაა შენაცვლებული“.

გამოდის, რომ მემარცხენე მწერლობის თვალსაზრისი ამ საკითხში „სპეცური“ იდეოლოგიით განისაზღვრება ხოლო ყოფილა მეორე—„წმინდა მარქსისტული“ გაგება „სოციალური დაკვეთისა“. რომელია ეს გაგება? რატომ არის იგი „წმინდა მარქსისტული“, ხოლო მემარცხენე მწერალთა გაგება „სპეცური“? ამის შესახებ ავტორი არაფერს გვეუბნება. ჩვენ კი ზემოთ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, თუ როგორ ებრძვის მემარცხენე მწერლობა „სპეცურ“ იდეოლოგიას და როგორ ემყარება „სოციალურ დაკვეთის“ მემარცხენეთა გაგება მარქსიზმის საფუძვლებს.

პროფ. ნუცუბიძე სცდილობს ხელოვნება გამოყოს სხვა წარმოებით პროცესებისაგან და მას სპეციფიკა მოუნახოს ხელოვანის შემოქმედებაში თავისუფლების ელემენტის აღიარებით, სწორედ ისევე, როგორც ამას პოლონსკი და სხვები აღიარებენ. ამ საკითხში ავტორი მართლაც ეწინააღმდეგება „სოციალურ დაკვეთას“ „ლეფურ“ გაგებას.

რით ასაბუთებს ავტორი ხელოვანის თავისუფლებას? იმით, რომ „კომპოზიციის, მიდგომის, ჟანრის, გემოვნების (სახვითი გაგებით) სხვაობა—ლიტერატურული და საზოგადოთ ხელოვნებისა და შემოქმედების ფაქტია“, ეს საკმაოდ ბუნდოვანი აზრი ასე უნდა გავიგოთ: თუ არ არსებობს ორი სრულიად ერთნაირი მხატვრული ფაქტი, მაშ მხატვრული შემოქმედების პროცესს უეჭველად „თავისუფლების“ ელემენტი ახლავს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ „თავისუფლება“ არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ ორ ერთნაირ ლექსს—ერთი ლექსის ღირებუ-

ლება აქვს რადგან მხატვრული ფაქტის ღირებულება მასში მოქცეულ მასალების ორგანიზაციის მეთოდის თავისებურებაში მდგომარეობს ამიტომ ხელოვანი სცდილობს მის მიერ აღებულ მასალათა განსხვავებული ორგანიზაცია მოახდინოს, თავისებურ მეთოდებისა და ხერხების შერჩევის გზით, იმ ამოცანასთან შეფარდებით, რომელსაც იგი კონკრეტულად ისახავს.

ეს არის სპეციფიური მეთოდი მუშაობისა—ნაწარმოების სპეციფიური ეფექტის მისაღწევად და განა ამ მუშაობაში არ არის მიზანშეწონილობა, კანონზომიერება, გეგმიანობა?

ავტორი თავისი დებულების დასამტკიცებლათ განაგრძნობს:

„თუ ხელოვანი იმას არ აკეთებს, რის გაკეთებაც მას შეუძლია იგი ოსტატი კი არა ფინაჩია“ და შემდეგ „ნაწვალები იქნება სატირიკოსის ელევია, პროზის ოსტატის სონეტს ოფლის სუნი ასდინდება“ ეს სავსებით მართალი მოსაზრება არაფერს ამბობს ხელოვანის შემოქმედებითი თავისებურებისა და თავისუფლების შესახებ. როგორი სუნი ასდინდება ნალბანდის მიერ გამომცხვარ ქადას, ან ნაწვალები იქნება თუ არა დურგალის მიერ შეკერილი პიდაჟაკი? აქ შრომის სპეციალიზაციის საკითხთან გვაქვს საქმე და მეტი არაფერი.

პროფ. ნუცუბიძე ეხება პოეტიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს და სწერს: „შემოქმედების ანალიზი ნათელჰყოფს, რომ პოეტს ისევე ესაჭიროება გამოსახვა, როგორც მოაზროვნეს სიტყვა, როგორც აზრის გამოსავლენი საშუალება“. მკითხველი შეამჩნევს, რომ აქ საქმე გვაქვს ტრადიციულ პოეტიკის ცნობილ ფორმულასთან „ხელოვნება არის სახეებით აზროვნება“, რომელიც ჯერ კიდევ პოეტებნიას პოეტიკიდან მოდის და მე-19 საუკუნის ლიტერატურულ აზროვნებაში ბატონობს. უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი პოეტიკა არ იზიარებს ამ ტრადიციულ შეხედულებას. სახე (გამოსახვა) არავითარ შემთხვევაში არ არის პოეზიის აუცილებელი, ლოგიური ელემენტი, არამედ მისი ერთ-ერთი სტილისტური ხერხი.

ამით ვათავებთ წერილს იმ იმედით, რომ დაინტერესებული ამხანაგები გამოეხმაურებიან ამ ფრიად აქტუალურ საკითხს და დაგვეხმარებიან პრობლემის სწორად გადაჭრაში.

— : —

ლეო ქიაჩელი

(მისი ახალი რომანის გამო.)

ლეო ქიაჩელი ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო, დასრულებულ ფიგურად შეიძლება ჩაითვალოს. მას აქვს საკუთარი სტილი, მზერა და საგანი. მისი ნაწარმოებნი თავისებური სინაზით და ნათელით არის მოსილი. მაგრამ ამჟამად ჩვენ არ ვეხებით მის შემოქმედებას მთლიანად, ვინაიდან ლეო ქიაჩელი მრავალფეროვანია. ჩვენ გვინდა ვისაუბროთ ორ მის ნაწარმოებზე, რომელიც ერთსა და იმავე ეპოქას ეხება. ესენია: „ტარიელ გოლუა“ და უკანასკნელი მისი რომანი „სისხლი“, სახელგამის მიერ ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოცემული.

„ტარიელ გოლუათი“ შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში ლ. ქიაჩელი და მისითვე უდავოდ დაიმკვიდრა იქ საკუთარი ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც 1905 წლის ეპოქის ასე თუ ისე ღირსეულ სურათად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. თითქოს გაამართლა ამით ლ. ქიაჩელმა ჰეინეს თქმა: კარგი მწერალი ლომსა ჰგავს. იგი პირველადვე ლომის ლეკვს ჰშობს და არა ჯერ კატის კნუტსაო.

კითხულობ ამ ფაქიზი გრძნობით გამთბარს მოთხრობას და გიკვირს: საიდანა აქვს ავტორს ასეთი სინაზე, რომანტიზმი ამ რკინის ეპოქაში?

მოთხრობის ფონია: პოლიტიკურად ახლად გამოღვიძებული სოფელი. ერთობა და ერთობის ხალხი. შეტაკება შიგ სოფელში და სოფლისა ხელისუფლებასთან. ბრძოლა სიყვარულის და მოვალეობისა, ინდივიდუალობისა და სოციალობისა—ერთმანეთში გადახლართული. მოთხრობაში ნაკლებადაა ცალკე ინდივიდუალობათა გამოკვეთილი სახეები. ყველაზე თვალსაჩინონი მათ შორის—ტარიელ გოლუა და გაიოზ გადალენდიაა. მართლაც მათ თავისი ნოყიერი მიწის სუნი უდით. დანარჩენნი უფრო ფერკმრთალნი და უსრულნი არიან.

ტარიელ გოლუა—სოფლის თვალთა. გმირი—ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ტარიელი დაჯილდოებულია ისეთი თვისებით,

სულით, რომლის წინაშე ყველა ძალაუნებურს მოკრძალებას გრძნობს. აქვს ის, რასაც რუსები ინაყნიე-ს უწოდებენ. მას შესაფერისი გარეგნობაც ამშვენებს.

ვაკვირდები ტარიელს, მის ბუნებრივ სიძლიერეს და უნებურად მაგონდება ქართული ლიტერატურის მეორე სახე: ოთარაანთ ქვრივი. ტარიელი—ერთობის დროის ოთარაანთ ქვრივია, ოღონდ მხატვრულად უფრო ნაკლებად გამოკვეთილი.

„დროის ქარიშხლით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა“.

როგორც ოთარაანთ ქვრივი, ისე ტარიელი, უთუოდ გაიდვალისაყიებულია. ზოგჯერ აღარც კი იცით, ინტელიგენტთან გაქვთ საქმე, თუ მარტოოდენ სოფლის მოწინავე და ბუნებით ჭკუიან კაცთან. ნაკლებად არის ნათელყოფილი ბაჩუასთან განწყობილებაც. რით აიხსნება იგი? ბაჩუას სიკვდილზე ტარიელი ამბობს: „მაღალი ზნეობა, დიდი სული დაკარგეთ ძმებო. გლაზა და უსარგებლო კი არ დაგვიკარგავს!“

ასეთი თქმა გლახის პირით (თუნდაც მოწინავესა) გადაჭარბებულია ნაკლებად რელიგიური ლევანისა და თინას პიროვნება. უფრო გამოკვეთილია დავითი და გაიოზ გადალენდია, განსაკუთრებით უკანასკნელი. რაინდული ნაპერწკლები და ზნეობრივი განურჩევლობა, სიყვარული შმაგი და ბოროტებამდე მისული. ბოლოს თითქოს მელანქოლიური, სრული მორჩილება ბედისწერისადმი—აი, გაიოზი. შესანიშნავია მოთხრობაში გაიოზის მიერ ლევანის მკვლელობის სცენა, აგრეთვე გაიოზის უკანასკნელი შეხვედრა ბეჟანასთან.

ყურადსაღებია ხალხის კრების სურათი. მშვენიერად არის გადმოცემული ის პირველი აღტყინება, სოციალობის გრძნობის გაღვიძება, რასაც სოფლად მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში აქვს ხოლმე ადგილი.

როგორც ამ მოთხრობასა, ისე მის ახალ რომანში—უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ეს არის დიალოგის გაუმართავობა. ლ. ქიაჩელს გმირები ყველანი თითქმის ერთნაირად ლაპარაკობენ—ლაპარაკობენ ავტორის სტილით. ლ. ქიაჩელმა უეჭველად უნდა მიაქციოს ამას დიდი ყურადღება, ვინაიდან თქმის ინდივიდუალობა ხშირად უფრო მეტს ნათელს ჰფენს ადამიანს, ვიდრე გრძელი აღწერილობანი.

ბევრად უფრო ფართოდ არის მოხაზული ქიაჩელის უკანასკნელი ნაწარმოები „სისხლი“. მისი თემაც წარსული რევოლუციონური მოძრაობაა. მაგრამ თუ „ტარიელ გოლუა“ ფართო მასების აღტყინების ხანას ეხება, „სისხლის“ საგანი მისი მომდევნო პერიოდი, რეა-

ქციის დრო—1907 წელია. აქ უკვე ხელჩართული ბრძოლაა გამართული გამარჯვებულ თვითმპყრობელობასა და რევოლუციონერებს შორის. ეს ბრძოლა მძაფრია და ორისავე მხრით დაუნდობელი. ავტორი თვით აქტიური მონაწილე იყო იმ ხანის მოძრაობისა და ამიტომ კარგად იცის მთელი მისი საყოფაცხოვრებო მხარეები: არალეგალური მუშაობა, გახშირებული ექსპროპრიაციები, ციხე, ციხიდან მასიური გაქცევა, საზოგადოების სხვადასხვა ფენათა დამოკიდებულება რევოლუციონერებისადმი და თავდადებული, სადა გმირობა ბრძოლის მონაწილეებისა. „სისხლი“ არსებითად განიხილავს „ტარიელ გოლუასაგან“ ლოკალობის მხრითაც: „ტ. გოლუაში“ მოქმედება სწარმოებს სოფლად, ხოლო „სისხლში“—ქალაქის ფონია აღებული და ავტორი სოფელს მხოლოდ ოდნავ ეხება. ავტორს პირველ თავის მნიშვნელოვან მოთხრობასთან შედარებით დიდი პროგრესი ეტყობა: იგი სწერს ბევრად უფრო დაჯერებულად და „სისხლის“ როგორც კომპოზიციის, ისე გაქანება იმდენად განიხილავს „ტარიელ გოლუასაგან“, რამდენადაც მოთხრობა რომანისაგან.

რომანი მიიმართება ორი თითქმის პარალელური მაგისტრალით: ეს არის ერთი მხრით რომანის მთავარი გმირის—არჩილ დადიანიანის და ცაცა რამაძის სიყვარული, მეორე მხრით უბედური სიყვარული სოფლელი რევოლუციონერის ანდრო ქარივაძის და ვარდო ვარაძისა. რომანი იწყება შესანიშნავად: ეს არის ის მომენტი, როდესაც ქარივაძის სატრფოს ვარდოს ძალით გაათხოვებენ დიდ მოხელე აბლანდიაზე. ქარივაძის ფიგურა თავიდანვე მოკვეთილად არის მოცემული და შემდგომი მისი მოქმედება მისი ხასიათისა და მდგომარეობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს. ანდროს პოლიციაც სდევნის და ის მიდის ფოთს—იბრძოლოს როგორც რევოლუციონერმა და როგორც ძლიერთა ამა ქვეყნისათაგან შეურაცხყოფისათვის შურისმაძიებელმა. ანდრო უერთდება აქტიურ რევოლუციონერ—ტერორისტთა ჯგუფს. ავტორს საქმის ცოდნით, ბუნებრივად აქვს აწერილი ანდროს პირველი შეხვედრა ტერორისტებთან. განსაკუთრებით კარგია სცენა სამსონასაგან მისთვის რევოლვერის ჩუქებისა. ყოველგვარი ყალბი პათოსის გარეშეა გადმოცემული ექსპროპრიაციის მოწყობა (მატარებელზე თავდასხმა), რევოლუციონერების ბრძოლა ჯართან და რამდენიმე მათგანის დაღუპვა. შესანიშნავია ის მომენტი, როდესაც ანდრო, რათა მტრებს ხელთ არ ჩაუგდოს სატანჯავად, იძულებულია მძიმედ დაჭრილ სამსონას ბოლო მოუღოს სამსონისავე ნაჩუქარი რევოლვერით. ფაქიზი ფსიხოლოგიური მომენტია აგრეთვე ის ადგილი რომანისა, სადაც დაღუპვას გადარჩენილი, გა-

ტანჯული, უჭმელუსმელი ნიკო და ანდრო ქუთაისს ჩამოვლენ და ამხანაგი მათ ხორცი თუ მასპინძლდება. ანდრო საჭმელს არ ეკარება. რკინისებური და ყოველგვარ სანტიმენტალობას მოკლებული ნიკოც კი მიხვდა ანდროს სულისკვეთებას, თითონაც „უცებ შესწყვიტა ჭამა, ხორციან თევზს ხელი ჰკრა და მოიშორა.

— რაშია კაცო საჭმე... რატომ არ გინდათ? ხორცს მიწუნებთ? ცუდი არ გეგონოსთ!— მიმართა მას დათომ შეურაცხყოფილად.

— არა... აქ სულ სხვა ამბავია, დათო... შენ ვერ გაიგებ!.. ლამის გამაგიჟოს ამ მეგრელმა, — უბასუხა ნიკომ ოდნავ გაჯავრებით... —

როგორც ანდრო, ისე ნიკო, ციხეში მყოფი გოგია, დათო და სხვები — მოქმედების ადამიანები არიან. მათ არ სჩვევიათ რეფლექსია და თვითანალიზი. საერთოდ მათი სახით ავტორს იარაღის ხალხის ნამდვილი სურათი აქვს მოცემული. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქ აღვილი აქვს ერთგვარ გადაჭარბებას. როდესაც ანდრო პარტიის დადგენილებით ციხის უფროსს აბლანდიას ჰკლავს, დასწვდება, სალოკ თითს სისხლში ჩააწებს და „უცნაური მღვდელთმოქმედების მსგავსი წესის დაცვით, პირიდან გამოყოფილ ენისკენ წაიღებს“... —

რასაკვირველია, შესაძლებელია ასეთი რამაც მომხდარიყო ოდესმე. სურათი შესანიშნავია. მაგრამ ეს სრულიად არაა დამახასიათებელი ჩვენებური რევოლიუციონერ — ტერორისტებისათვის, რომელთაც, ცხადია, თავის მსხვერპლთან საპირადო არა ჰქონდათ რა. საერთოდ, რომანის მსვლელობაში ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებას დებულობ, თითქოს ქარივადეს უმთავრესად პირადი შეურაცხყოფა და შურისძიების გრძნობა ამოქმედებდეს.

სულ სხვა ყალიბისაა არჩილ დადიანი, ინტელიგენტი, მაღალი წრიდან გამოსული ახალგაზრდა, რომელიც ერთ-ერთ რევოლიუციონერ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. ავტორი მას არ გვიჩვენებს რევოლიუციონერ მოქმედებაში. ჩვენ არ ვიცით, რა გზით და როგორ მივიდა არჩილი იმ მდგომარეობამდე, რითი მოიპოვა მან რევოლიუციონერ წრეებში პატივისცემა და ავტორიტეტი. სამაგიეროდ საგნებით ნათლად არის აღსახული მისი და ცაცას სიყვარულის ხვეულები, იჭვი და ერთმანეთის ტანჯვა. არჩილს უჭირს შეათავსოს პირადი ბედნიერება და პოლიტიკური მუშაობა და აქედან არის ის ტრაგიზმი, რომელსაც იგი თითქოს ხელოვნურადაც ჰქმნის. ბუნდოვნად არის დასაბუთებული ის ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომელიც არჩილს ემართება ციხეში. მკითხველისათვის ნაკლებად გასა-

გებია მიზეზი, რამაც არჩილი ძველისა რწმენისაგან განძარცვა. თუ შემდგომი მისი ცხოვრების ფაქტებს მივიღებთ მხედველობაში, განსაკუთრებით მეგობარ შალვა რამაძესთან საუბარს, უნდა ვიფიქროთ რომ არჩილის გონება ეროვნულ პრობლემის, საქართველოს ბედის საკითხს დაუპყრია. აქ არჩილის მაგივრად თითქოს შალვა ლაპარაკობს და მის იდუმალ ფიქრებს ამჟღავნებს. მაგრამ რომანის მთელი პირველი წიგნის განმავლობაში მკითხველისათვის მაინც გაურკვეველია არჩილის ტანჯვის მიზეზები. მიუხედავად ამისა, ბუნებრივად არის აწერილი მაშინდელი მისი სულიერი მდგომარეობა. ფრიად დამახასიათებელია, როცა არჩილი, თითქოს თავისი ძველი რწმენის გასამაგრებლად, თავის თავის დასაძლევად—კითხულობს ლექციას, რათა ციხის ამხანაგებში მისდამი დაბადებული ეჭვები განფანტოს. საერთოდ კი არჩილის ფიგურა არ არის დასრულებული და საფიქრებელია, რომ იგი მთლიანად გადიშლება რომანის მეორე ნაწილში.

საქმის ზუსტი ცოდნით და მხატვრულად გამართლებულ ხაზებით არის მოცემული ქიაჩელის მიერ ციხის ცხოვრება, ზოგიერთი იქაური და საერთოდ იმდროინდელი ტიპი (მაგალითად „ანტიდურინგით“ გატაცებული „ფილოსოფოსი“ მელიტონი), ტუსალების ნახვა, ციხის ადმინისტრაცია და განსაკუთრებით გვირაბის საშუალებით გაქცევის ამბავი. სხარტად, მაგრამ დამაჯერებლად არის გადმოცემული ვარდოს დაღუპვა და მეგრული ტირილი.

თითქოს ეპიზოდურია ფიგურა არჩილის დედისა, მაგრამ ხატვით ნაჭედი და დასრულებულია. ნათელნი არიან ანდროს სოფლელი ამხანაგები, შალვა რამაძე, თავით ფეხთამდე ტიპიური ინტელიგენტი და ცაცა.

ორიოდე სიტყვა ავტორის სტილზე: იგი ნაზი და დარბაისელი, ხანდახან თითქმის ეპიურია. ეს ხანდახან სურვილს ჰბადებს, რომ ავტორმა მეტი ექსპრესია გამოიჩინოს. რომანის, მღელვარე ეპოქას თითქოს უფრო ჩქარი ტემპი შეეფერება...

საერთოდ რეაქციის ხანის საზოგადოებრივი ფონი რომანში სინამდვილითაა აწერილი. კვანძი ხელოვნებით არის შეკრული და—მკითხველი ამ ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე შეუსუსტებელი ინტერესით კითხულობს. ეს კი დიდი გამარჯვებაა მწერლისა. მოველით რომანის მეორე ნაწილს, რომელიც ავტორს, რამდენადაც ვიცით, უკვე შემზადებული აქვს. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ნაწილიც სრული გამართლება იქნება იმ სახელისა, რომელიც ქიაჩელმა ქართულ ლიტერატურაში თავიდანვე დაიმკვიდრა.

ლევ ტოლსტოის სოციალური მოძღვრება

ზევით ჩვენ უმთავრესად ტოლსტოიზმის სოციალური საფუძვლებისა და მისი განვითარების მთავარ ეტაპების შესახებ ვსაუბრობდით. ახლა საჭირო არის არსებითად შევეხოთ ტოლსტოის მოძღვრების ძირითად შინაარსს, ე. ი. იმ მოძღვრებას რომელიც ტოლსტოიმ შეიმუშავა 80-იან წლებიდან დაწყებული. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ტოლსტოიმ 80-იან წლებში გლახურ თვალსაზრისზე გადასვლასთან ერთად შეითვისა სოციალისტური მსოფლმხედველობაც, თავისებური ქრისტიანული ანარქიზმის სისტემა. 1911 წ. „ЗВЕЗДА“-ს ფურცლებზე ნ. ლენინი გარკვევით სწერდა: „ტოლსტოის მიმდინარეობა აუცილებლად უტოპურია და, თავისი შინაარსის მიხედვით, რეაქციონური ამ სიტყვის სწორი და ღრმა მნიშვნელობით. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ ყოფილიყოს სოციალისტური, არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელიც ძვირფას მასალას მოგვცემს მოწინავე კლასების გასანათლებლად“¹¹⁾. ჩვენ ქვევით შევეხებით იმ საკითხს, თუ როგორი იყო ტოლსტოის სოციალიზმი და როგორ შეფასებას უკეთებდა მას ლენინი. ხოლო მოყვანილი ციტატა ლენინიდან გარკვევით აღნიშნავს იმას, რომ ლენინი ნახულობდა თავისებურ სოციალისტურსა და ძველი წყობილების კრიტიკულ ელემენტებს ტოლსტოის მოძღვრებაში, და ეს ციტატა პირდაპირ მის წანააღმდეგ არის მიმართული, ვინც უარყოფს აღნიშნულ ელემენტებს ტოლსტოის მოძღვრებაში. პირველყოვლისა საჭიროა ტოლსტოის მოძღვრებისა და მისი სოციალიზმის იმგვარად გაგება, როგორც ეს ტოლსტოის ესმოდა, ხოლო შემდეგ მისი სოციალურ-კლასიური საფუძვლების შეფასება მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით.

ყოველ სოციალისტურ სისტემაში ხუთი ძირითადი მომენტი შეიძლება აღინიშნოს, რომელთა სრულად შესწავლა ნათელ-წარმოდგენას მოგვცემს თვით მთლიანი სისტემის შესახებ: 1) კრიტიკა

¹¹⁾ ლენინი: ტ. XI, II, გვ. 174.

არსებული წყობილებისა; 2) ახალი სისტემით გათვალისწინებული საზოგადოებრივი წყობილების ფორმები; 3) საშვალებანი და გზები თანამედროვე წყობილებიდან სასურველ წყობილებაში გადასასვლელად; 4) თვით მოძღვრების ფილოსოფიურ-სოციოლოგიური საფუძვლები და 5) ის კლასიურ-სოციალური შინაარსი, რომელსაც გამოხატავს მთლიანად სისტემა; რომლის თვალსაზრისითაც არის აშენებული მთელი მოძღვრება.

ტოლსტოის მოძღვრების უკანასკნელ მომენტს ჩვენ უკვე შევეხეთ; საჭიროა გავითვალისწინოთ დასახელებული მუხლებიც ტოლსტოის სისტემის მიხედვით უფრო დეტალურად.

1. ლ. ტოლსტოის თვალსაზრისი

ტოლსტოის სოციოლოგიური შეხედულება და მთელი მსოფლმხედველობა რელიგიაზედ არის აგებული. მან მეცნიერება დაუმორჩილა რელიგიას, ხოლო რელიგია კი მისი გაგებით არკვევს ადამიანის ურთიერთობის საკითხს ღმერთთან. აქედან ტოლსტოის სოციოლოგიური შეხედულების შინაარსიც განსაზღვრული ხდება: ტოლსტოის გაგებით საზოგადოებრივ წყობილებას საფუძვლად უდევს ერთი უდიდესი კანონი—ღვთაება, რომელიც ამოძრავებს ისტორიას და საზოგადოების განვითარების საქმესაც.

„მხოლოდ ღვთაების ნების გამოძევავენებას,—სწერს ლ. ტოლსტოი,—რომელიც დამოუკიდებელია დროისაგან, შეუძლია ჰქონდეს დამოკიდებულება მთელ რიგ მოვლენებთან, რომელიც უნდა მოხდეს რამოდენიმე წლისა ან საუკუნის შემდეგ, და მხოლოდ ღვთაებას... ერთად-ერთი თავისი ნების მიხედვით შეუძლია განსაზღვროს კაცობრიობის მოძრაობის მიმდინარეობა“¹²⁾.

ამრიგად, ტოლსტოი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონსა და საზოგადოების მამოძრავებელ ფაქტორებს ეძებს არა თვით საზოგადოებაში, არამედ საზოგადოების გარეშე, ღმერთის განყენებულ ცნებაში. მას სწამს ისტორიული კანონშეწონილობა, მაგრამ ეს კანონშეწონილობა ტოლსტოის შეხედულებით მყარდება არა საზოგადოების შინაგანი განვითარებით, არა საწარმოო ძალთა ზეგავლენით, არამედ ღვთაების მიერ წინასწარ განსაზღვრულ გეგმის მიხედვით*). დგება რა ტოლსტოი ასეთ სოციოლოგიურ-რელიგიურ თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც ყოველივე საზოგადოე-

¹²⁾ ლ. ტოლსტოი. ტ. VIII გვ. 311.

*) შეად. Иванов—Разумник: Истор. рус. общественной мысли ტ. II, გვ. 226—32.

ბრივი წყობილება განსაზღვრული უნდა იყოს წინასწარ ღვთაების მიერ, ტოლსტოი აუცილებლად კონტრასტში იმყოფება თავისი სოციალური მოძღვრების ერთ მთავარ გამოსავალ მომენტთან — ძველი წყობილების უარყოფასთან და მას საშვალეა ერთმევა კრიტიკულად შეხედოს არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას, რადგან იგი დამყარებული არის ღვთაების მიერ და არა თავისი შინაგანი განვითარების გზით ან ადამიანთა დამოუკიდებელი სურვილების მიხედვით არის აღმოცენებული. თუ არ ვარგა არსებული წყობილება, მაშინ არ ვარგებულა თვით ღვთაება, რომლის წინასწარი განსაზღვრითაც აღმოცენდა იგი; ასეთ შემთხვევაში ტოლსტოი „სოციალური რეფორმატორის“ აუცილებლად ანადგურებს ტოლსტოი მეცნიერსა და სოციოლოგს.

ტოლსტოი ამ წინააღმდეგობას თითქოს ვერ ხედავს და იგი ცდილობს თავისი სოციალური მოძღვრების დასაბუთებას რელიგიისა და ზნეობის ძირითად საფუძვლების მიხედვით. ხოლო რელიგიისა და ზნეობის ძირითადი პრინციპები მას გამოყავს ღვთაების ცნებიდან და შემდეგ ცდილობს ამ პრინციპების მიხედვით ცხოვრების მოწესრიგებას: „თუ რელიგია — სწერს ტოლსტოი, — დამყარებული ურთიერთობაა ადამიანისა მსოფლიოსთან (ე. ი. ღმერთთან ს. ხ.) რომელიც განსაზღვრავს მისი (ადამიანის) ცხოვრების აზრს, მაშინ ზნეობა არის განმარტება და მითითება ადამიანის იმ სამოქმედო მოღვაწეობაზე, რომელიც თავის თავად გამომდინარეობს ღმერთთან ადამიანის ამა თუ იმ დამოკიდებულებიდან“¹³⁾.

ამრიგად, ტოლსტოის განმარტებით, რელიგიის ფუნქცია გამოიხატება ცხოვრების აზრის ძებნაში, ხოლო ზნეობის საქმეს შეადგენს რელიგიის მიერ მოპოებულ დასკვნების პრაქტიკულად განაღდება ცხოვრებაში.¹⁴⁾ აქედან გამოდის, რომ ზნეობა დამოკიდებული არის რელიგიაზე, ხოლო რელიგიის შინაარსს საზღვრავს ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობა, უკეთ ღვთის ცნება.

„იმის მტკიცება — სწერს ტოლსტოი, — რომ სოციალური პროგრესი ამუშავებს ზნეობას, ნიშნავს მტკიცებას, რომ ბუხარის აშენება იწვევს სითბოს. სითბო წარმოსდგება მზისაგან. ბუხარი მხოლოდ მაშინ იძლევა სითბოს, როდესაც მასში არის შეშა, ე. ი. მზის მუშაობა. სწორედ ასევე ზნეობა წარმოსდგება რელიგიისაგან. ცხოვრება სპეციალურ ფორმებში იწვევს ზნეობას მხოლოდ მაშინ, როდეს-

¹³⁾ ლ. ტოლსტოი: ტ. XV, გვ. 429.

¹⁴⁾ Д. Кви́тко: „Философия Толстого“ გვ. 84.

საც ცხოვრების ამ ფორმებში მოთავსებული არის რელიგიის ადამიანებზე ზეგავლენის ნაყოფი—ზნეობა“¹⁵⁾.

მაგრამ როგორ შინაარსს აძლევს რელიგია ზნეობას და როგორ საზღვრავს მის პრაქტიკულ მოქმედების საფუძვლებს? რელიგია ტოლსტოის განმარტებით „ერთნაირად სცნობს ყოველ ადამიანში ღვთაებრივ დასაწყისს და ამიტომ უარყოფს ადამიანისაგან ადამიანზე ძალდატანების შესაძლებლობას“. რელიგიის „საფუძველს წარმოადგენს სიყვარული, და არა ძალდატანება, რომელიც (ძალდატანება) ერთად-ერთი ხელს უშლის ასეთი (სოლიდარობაზე და შრომაზე აგებულ) საზოგადოებრივ წყობილების დამყარებას“¹⁶⁾.

ამრიგად ტოლსტოის შეხედულებით, ზნეობამ უნდა განახორციელოს ცხოვრებაში რელიგიის ძირითადი მოთხოვნილება—სიყვარული. „საზოგადოებაში ასეთი რელიგიური შეგნების განმტკიცებითა და გავრცელებით ადამიანი შეიგნებს ერთობის მნიშვნელობას, ძმობის ყოველგვარ დარღვევის შეუძლებლობას, მოყვასისადმი პატივისცემას და ზნეობრივად თავის მოყვასზე რაიმე ძალდატანების მოხდენის დაუშვებლობას“ (იქვე).

ასეთი არის ტოლსტოის სოციალური ფილოსოფიის გამოსავალი თვალსაზრისი.

ლ. ტოლსტოის სწამს, რომ პროგრესისა და წარმატების უმთავრესი წყარო ადამიანის შინაგან არსში მარხია. „საყოველთაო მარადიული კანონი—სწერს ტოლსტოი,—ყოველი ადამიანის სულში არის გამოსახული. პროგრესისა ან სრულქმნობის კანონი დაწერილი არის ყოველი ადამიანის სულზე, და მხოლოდ დაბნეულობის გამო გადააქვთ ისტორიაში“. მეორეს მხრივ ტოლსტოის სწამს, რომ ადამიანის შეგნებამ თავის ისტორიულ განვითარებაში სამგვარი სტადია განვლო: ¹⁷⁾ პირველი—ხასიათდება პირადი ან ცხოველური შეგნებით, ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. ეს პერიოდი უკვე განვლო კაცობრიობამ. მეორე—საზოგადოებრივი ან წარმართული შეგნებით, რომელიც სცნობს არა მარტო პირადულს ცხოვრებას, არამედ პიროვნებათა კრებულსაც და იგი მზად არის ამ კრებულს მსხვერპლადაც შეეწიროს. ამ პერიოდში ნაწილობრივ იმყოფება კაცობრიობა, მაგრამ უკვე იჭრება მესამე პერიოდის ელემენტები, რომელიც ბრძოლას აწარმოებს საზოგადოების წარმართულ-

¹⁵⁾ ტოლსტოი: ტ. VX გვ. 437.

¹⁶⁾ ლ. ტოლსტოი: ტ. XX, გვ. 821.

¹⁷⁾ იხ. კრებული: „О Толстом“ გვ. 197. 1928 წ. აქსელორდის წერილი.

საზოგადოებრივ შეგნებასთან. ამ მესამე ხანას ახასიათებს მსოფ-
ლიო ან ღვთაებრივი შეგნება, რომელიც არა ადამიანის ან ადამიან-
თა კრებულში ხედავს სიცოცხლის აზრს, არამედ მარადიულ, გარ-
დუგალ ცხოვრების წყაროში—ღმერთში. ასეთი მარადიული შეგნე-
ბის დამყარება შესაძლებელი არის მომავალში და ქრისტიანული რე-
ლიგიის ზეგავლენით კაცობრიობა სწორედ აქეთკენ მიექანება. მომა-
ვალმა სოციალურმა წყობილებამ ცხოვრებაში უნდა გაანადღოს
ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დებულებანი. და ტოლსტოი
ასეთი თვალსაზრისის განვითარებით პირდაპირ მივიდა ქრისტიანუ-
ლი ანარქიზმის ძირეული პრინციპების აღიარებამდე. ტოლსტოის
ანარქიული წყობილება მიაჩნია ისეთ წყობილებად, რომელშიაც ადა-
ადამიანი ადვილად განახორციელებს ღვთაების ნებას და უშუალო
დამოკიდებულებას დაიჭერს მასთან; ტოლსტოის მთავარი შეხედულება
იმაში გამოიხატება, რომ მას უნდა ღვთაებასა და ადამიანს შორის
შუამავალი არ იყოს, არ არსებობდეს არც ერთი ორგანიზაცია,
რომელიც მოისურვებს ადამიანსა და ღმერთს შორის დადგომას და
შუამავლის როლის გაწევას. აქედან წარმოსდგა ტოლსტოის უარყო-
ფითი დამოკიდებულება ძალდატანებითი ორგანიზაციებისადმი—სა-
ხელმწიფოს, ეკლესიის და სხვათა უარყოფა; აქედანვე წარმოსდგა
ტოლსტოის ქრისტიანული ანარქიზმიც—ყოველმხრივ თავისუფალი
პიროვნების უშუალო კავშირი ღმერთთან.

2. ლ. ტოლსტოის მოძღვრების ნეგატიური ნაწილი

თუ ტოლსტოი იმ ეპოქაში არსებულ სოციალ-ეკონომიურსა და
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას აკრიტიკებდა თავისი რე-
ლიგიურ-მორალური პრინციპების საზომით, სამაგიეროდ სოციალ-
კლასიური საფუძვლები ამ კრიტიკისა წვრილი ბურჟუაზიის, გლეხობის
სოციალურს პირობებში უნდა ვეძიოთ. 1910 წ. ამ საკითხის შესახებ
ღ ე ნ ი ნ ი სწერდა:

„ტოლსტოის ნაწერებში გამოიხატება როგორც ძალა, ისე სი-
უსუსტე, როგორც სიძლიერე, ისე სივიწროვე, სწორედ გლეხური მა-
სიური მოძრაობისა. მისი მხურვალე გრძნობიერი, ხშირად დაუნდობ-
ლად მკაცრი პროტესტი სახელმწიფოსა და პოლიციურ-სახაზინო
ეკლესიის წინააღმდეგ გამოხატავს პრიმიტიული გლეხური დემოკრა-
ტიის განწყობილებას, რომელშიაც ბატონყმობის, ჩინოვნიკური თვით-
ნებობისა და ცარცვის, ეკლესიური იეზუიტისმისა, მოტყუილებისა
და მაშენიკობის ეპოქამ დააგროვა უამრავი სიბრაზე და სიძულვი-

ლი. მისი (ტოლსტოის) შეურყეველი უარყოფა კერძო საკუთრებისა მიწაზე, გადმოგვცემს გლახური მასების ფსიქოლოგიას იმ ისტორიულ მომენტში, როდესაც ძველი საშვალო საუკუნის მიწადმფლობელობა, — როგორც მემამულეთა, ისე სახაზინო — „სანადელო“ — საბოლოოდ გადაიქცა ქვეყნის შემდეგი განვითარების შემფერხებლად და როდესაც ეს ძველი მიწადმფლობელობა აუცილებლად ძირიანად და დაუნდობლად უნდა დამსხვრეულიყო. მისი (ტოლსტოის) შეუწყვეტელი, საესე ღრმა გრძნობებით და ცოცხალი აღშფოთებით, კრიტიკა კაპიტალიზმისა გადმოგვცემს პატრიარქალური გლახის მთელს უბედურებას, რომელსაც მოეგლინა ახალი, უხილავი, გამოუცნობი მტერი (კაპიტალიზმი), რომელიც ამსხვრევდა სოფლის ცხოვრების ყველა საფუძვლებსა და რომელსაც თან მოჰქონდა გაუგონარი გაღატაკება, სიღარიბე — მთელი უბედურება „პირველ დაწყებული დაგროვებისა“... მაგრამ მხურვალე პროტესტანტმა, დიდმა კრიტიკოსმა მასთანავე თავის ნაწერებში ისეთი გაუგებრობა გამოიჩინა კრიზისის მიზეზების გაგებასა და მისგან გამოსვლის საშვალეების გამომუშავებაში, რომელიც შეეფერება მხოლოდ პატრიარქალურ გულუბრყვილო გლახსა და არა ევროპიულად განვითარებულ მწერალს“¹⁸⁾.

ტოლსტოის არ ჰქონდა შემუშავებული სწორი შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების შესახებ, მას არ ჰქონდა შესწავლილი აგრეთვე თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საფუძვლები. აქედან, ცხადია, რომ ტოლსტოის კრიტიკა მიმართული კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ, ვერ იქნებოდა სრული, თუმცა ის მეტის-მეტად მკაცრი და დაუნდობელი იყო.

ტოლსტოი მორალური საზომით უარყოფდა მთლიანად კაპიტალისტურ წყობილებას და ვერავითარ დადებით მომენტს ვერ ხედავდა მასში. ტოლსტოისათვის გაუგებარი იყო დებულება კაპიტალისტური წყობილების აუცილებლობისა და ისტორიულობის შესახებ. აუცილებლობისა და ისტორიზმის ცნება სავსებით გამოდევნა ტოლსტოის მოძღვრებიდან მორალურმა პრინციპმა; მისთვის კაპიტალიზმი მორალურად გაუმართლებელი იყო, როგორც ძალდატანებისა და სხვისი შრომის ექსპლოატაციაზედ აგებული წყობილება: ამ წყობილებაში ფეხ-ქვეშ გათელილია რელიგიისა და მორალის ძირითადი პრინციპი და ამიტომ იგი მიუღებელი და გაუმართლებელია მთელი თავისი შინაარსით. ტოლსტოის არ სწამს ის, რომ კაპიტალიზმი შედარებით ფეოდალურ წყობილებასთან პროგრესიულ მოვლენას წარმოად-

¹⁸⁾ ნ. ლენინი. ტ. XI, II, გვ. 116.

გენდა და რომ მან ხელი შეუწყო საზოგადოების კულტურულ წარმატებასა და ტექნიკურ-ეკონომიურ დაწინაურებას. წინააღმდეგ, ტოლსტოისთვის ძველი წყობილების ფორმებთან შედარებით კაპიტალიზმი ყველაზე უფრო საშინელი და მორალურად გაუმართლებელია: კაპიტალიზმმა გაანადგურა გლეხობა, მოსწყვიტა იგი თავის მიწასა და ბუნებას და ფულის სრულ მონა-მორჩილად გადააქცია. კაცობრიობის მთელი უბედურებაც ამაში მდგომარეობს; „ფული—სწერს ტოლსტოი—ძალდატანებელს ესაჭიროება, არა როგორც გაცვლის საშვალეობა, არამედ ძალდატანების გასაადვილებლად, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ფული ადვილად ინახება და მისი საშვალეობით ადვილად შეიძლება დამონება უამრავი ხალხისა... გარდა ამისა ფული ესაჭიროება მოძალადეს იმისათვის კიდევ, რომ მისი უფლება სხვისი შრომით სარგებლობისა არ შემოიფარგლოს განსაზღვრული რაოდენობით, არამედ გავრცელდეს ყველაზე, რომელსაც ესაჭიროება ფული“¹⁹).

ტოლსტოის შეხედულებით ეს ასე არ იყო ნატურალური მეურნეობის პერიოდში, ვინაიდან მაშინ ფული არ არსებობდა. ამიტომ ნატურალურ მეურნეობის პირობებში ექსპლოატაციას არ ქონდა ასეთი განუსაზღვრელი ხასიათი, როგორც ჩვენ ვხვდებით კაპიტალიზმის პერიოდში²⁰). მაგრამ ტოლსტოი არა მარტო ფულის ბატონობას აკრიტიკებს, არამედ იგი უარყოფს თანამედროვე ტექნიკასაც და თანამედროვე მეცნიერებასაც: მისთვის თანამედროვე ცივილიზაცია მხოლოდ გახრწნილების გამომხატველია; თანამედროვე მეცნიერება მხოლოდ ჩაგვრასა და მონობას ემსახურება, თანამედროვე ტექნიკა ფულის ბატონობას უწყობს ხელს და ადამიანის პიროვნების გამთელავია. „შეუძლებელია იმ მეცნიერებაში,—სწერს ტოლსტოი—რომელიც აღმოცენდა ბოროტ-მოქმედებაზე... შემუშავებულიყო რაიმე არამც თუ სასარგებლო, არამედ ხალხისათვის არა-საზარალოც კი, იმ ხალხის, რომლის უფლებების დარღვევაზედაც არის აშენებული ეს მეცნიერება“. ტოლსტოი სწორად აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ წყობილების პერიოდში კულტურა, ტექნიკა და მეცნიერება უმთავრესად გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურება და ხელს უწყობს ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცებას; მაგრამ მას მაინც აქვს დიდი ისტორიულ-პროგრესიული მნიშვნელობა: სხვა ისტორიულ პე-

¹⁹) ტოლსტოი: ტ. XIII, გვ. 97.

²⁰) „ფული,—განაგრძობს ტოლსტოი,—მონობის ახალი საშინელი ფორმა არის... (შედარებით ძველ მონობასთან) უფრო ცუდი, რადგან იგი ანთავისუფლებს მონასა და მონადმფლობელს მათი პირადი ადამიანური დამოკიდებულებისაგან“.
(იხ. „Какова моя жизнь“ გვ. 134).

რიოდში და სხვა პირობებში აღნიშნული ფაქტორები აუცილებლად გადაიქცევა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და სოციალური ურთიერთობის განმტკიცების აუცილებელ საშვალებად. ტოლსტოიმ ხელაღებით უარყო ყოველივე ეს და უკან, პატრიარქალურ ურთიერთობისაკენ მოუწოდა კაცობრიობას. ამ შემთხვევაში ნათელი ხდება ტოლსტოის ახალი აზროვნების რეაქციონური ელემენტები. ტოლსტოის იდეური ნათესაობა ამ შემთხვევაში რუსოსთან უდავოა. როგორც კაპიტალიზმის მშობიარობის დასაწყისში XVIII საუკუნის წვრილ-ბურჟუაზიულ წრიდან გამოსულმა მოაზროვნემ—რუსომ—უარყო ახალი ცივილიზაცია მთელი თავისი მოვლენებით და გაბატონებული კლასებით და პირველყოფილ მდგომარეობაში დაინახა უსრულესი ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა, ისევე რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების პირობებში—წვრილ-ბურჟუაზიულმა მოაზროვნემ, არისტოკრატიული წრიდან გამოსულმა ლ. ტოლსტოიმ მთლიანად უარყო კაპიტალისტური წყობილება და პატრიარქალური გლეხის ცხოვრებაში ეძებდა ხსნას. ერთიც და მეორეც შემცდარ ნიადაგზე იდგენ; ერთიც და მეორეც ამ შემთხვევაში წვრილ-ბურჟუაზიის რეაქციონურ სულისკვეთებას გამოხატავენ.

ტოლსტოისათვის გაუგებარი იყო კაპიტალისტური წყობილების რთული მექანიკა და ის კანონები, რომელიც ბატონობენ ამ წყობილებაში. მას არ ესმოდა, რომ კაპიტალიზმი წარმოადგენს ისტორიულ-აუცილებელ ფორმაციას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში; რომ კაპიტალიზმი ობიექტიურად (ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ) და სუბიექტიურად (კლასიურ-პროლეტარული მომენტი) ამზადებს ნიადაგს უმაღლეს საზოგადოებრივ ურთიერთობაში გადასასვლელად.

მსგავსად პრუდონისა ტოლსტოი კერძო საკუთრებას ქურდობას უწოდებს. „აღდგომაში“ ჩვენ ვხედავთ შემდეგ საინტერესო ადგილს: „...ფაბრიკანტები იპარავენ მის შრომას, აძლევენ რა მცირე ხელფასს; მთავრობა მთელი თავისი მოხელეებით, გადასახადის სახით ცარცვავს მას შეუწყვეტლივ... ჩვენ, მემამულეებმა გავცარცვეთ ის დიდხანია, წავართვით რა მას მიწა, რომელიც საერთო კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს“²¹). როგორც პრუდონი, ისე

²¹) „Воскресенье“. „მონობა—სწერს ტოლსტოი—არის თავის-თავის განთავისუფლება შრომისაგან, რომელიც საჭიროა საკუთარი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ამ შრომის დავალება სხვაზე. იქ, სადაც ასეთი წესი არსებობს, როგორც ვეროპის ყველა ქვეყნებში, სადაც სარგებლობენ ათასობით სხვისი შრომით და სთვლიან ამას თავისუფლებად—იქ არის მონობა ყველაზე უფრო საშინელი ფორმით“. („Какова моя жизнь“. გვ. 183).

ტოლსტოიც მხოლოდ მსხვილ საკუთრებას უწოდებს ქურდობას, წერილ საკუთრების პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთ არ შეიძლება იგი ჩაითვალოს,²²⁾ თუმცა წინააღმდეგ პრუდონის ინდივიდუალიზმისა, მიწის საერთო საკუთრებასა და სოციალიზმს ქადაგებს.

ტოლსტოის მთელი ნაწერები 80-ან წლებიდან იქეთკენ იყო მიმართული, რომ გადაერჩინა გაპროლეტარების გზაზე შემდგარი გლეხი განადგურებას და დაეცვა მისი დამოუკიდებელი არსებობა. მთელ რიგ ნაწერებში მან სასტიკად გააკრიტიკა არსებული მიწადმფლობელობის წესი და სასტიკად გაილაშქრა თავად-აზნაურული წოდებისა და მისი ეკონომიური უპირატესობის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ შეიძულა იგი მემამულეთა კლასმა, ამიტომ იყო, რომ მას სდევნიდა რუსეთის თვითმპყრობელობა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი—1905 წლის რევოლუციის მთავარ მიზეზად ტოლსტოის მიწის საკითხი მიაჩნდა. 1907 წ. ჰენრიხ ჯორჯის წიგნის წინასიტყვაობაში იგი სწერდა: „ამ უამად რუსეთში სწარმოებს რევოლუცია, რომლის სერიოზული საფუძველი ერთია: უარყოფა მთელი ხალხის, ნამდვილი ხალხის მიერ მიწის საკუთრებისა... რუსეთის ხალხის დიდ უმეტესობაში ყოველთვის სცოცხლობდა და დღესაც სცოცხლობს ჰენრიხ ჯორჯის ძირითადი იდეა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მიწა არის მთელი ხალხის საერთო კუთვნილება და რომ გადასახადი შეიძლება გაწერილი იქნეს მხოლოდ მიწაზე და არა ადამიანთა შრომაზე“²³⁾.

ტოლსტოი სასტიკად ილაშქრებდა ოფიციალურ ეკლესიის წინააღმდეგ; პოლიციურ-სახაზინო ეკლესიის კრიტიკა ტოლსტოის საყვარელ თემას შეადგენდა; დიდმა მწერალმა ფართო საზოგადოებას ნათლად დაანახვა ის გახრწნილება და სისაძაგლე, რომელიც მეფობდა პოლიციურ ეკლესიაში; ტოლსტოიმ ნათელყო ამ ეკლესიის დანიშნულება და როლი თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ წყობილების დაცვის საქმეში. სინოდმა არ აპატია ტოლსტოის ეს თავხედობა და 1901 წელს იგი ანათემას მისცა; მაგრამ ამით ტოლსტოის გავლენა ერთი-ორად გაიზარდა.

²²⁾ „საკუთრება ეს ფიქციაა—სწერს ტოლსტოი,—რომელიც არსებობს მხოლოდ იმათთვის, რომელთაც მამონი სწამთ და მას ვმსახურებიან... ქრისტიანი ინთავისუფლებს თავს მისგან შინაგანი შეგნებით... საკუთრება, როგორც დღეს არსებობს—ბოროტებაა. საკუთრება თავისავად, როგორც სიამოვნება იმით თუ რა და როგორ გავაკეთე—სიკეთეა... საკუთრება კი, დაცული ძალ-დატანებით ეს ბოროტებაა“). (Спелые Колосья“ გვ. 153-4 აგრეთვე გ. პლენხანოვის წერილი ზემოდ აღნიშნულ კრებულში გვ. 183).

²³⁾ ლ. ტოლსტოი. ტ. XVI, გვ. 301-02.

აღსანიშნავი არის ტოლსტოის შეხედულება საერთოდ სახელმწიფოზე²⁴⁾ და კერძოდ რუსეთის პოლიტიკურ წყობილებაზე. სახელმწიფოს გაგების საკითხში ტოლსტოის უახლოესი კავშირი აქვს პრუდონის ანარქისტულ თეორიასთან, — ტოლსტოის თეორიით სახელმწიფო ძალდატანებითი ორგანიზაციაა, რომელიც იცავს გაბატონებული კლასის ინტერესებს. ფულისა და კერძო საკუთრების ბატონობა, სწერს ტოლსტოი, ყველას მონურ მდგომარეობაში აყენებს; რომ დაიცვას გაბატონებულმა კლასმა თავისი უპირატესობა და ეკონომიური ბატონობა, მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ძალდატანების ორგანიზაციის შექმნა, პოლიტიკური ბატონობის ხელში თავის მოყრა, განსაკუთრებული პოლიციის, სასამართლოს, ადმინისტრაციისა და ოჯახის მოწყობა. ყოველივე ეს არის ძალდატანებითი ორგანიზაციის ფუნქციები, რომელთა გამართლება შეუძლებელია მორალურად. ტოლსტოი არ ზოგავს ფერადებსა და სიტყვებს, რომ სავსებით გამოამხეუროს სახელმწიფოს ბოროტება. ყოველი მთავრობა იმისათვის არსებობს ტოლსტოის სიტყვით, რომ დაჩაგროს ხალხი, დაარღვიოს მათი თავისუფლება; სახელმწიფო დაყრდნობილია უმცირესობაზე, რომელთაც დახმარებას უწევენ მეცნიერი მრჩეველნი. „მთავრობა და გაბატონებული კლასები უფლებას კი არ იცავენ, სამართლიანობის მსგავს რომელსაც კი არ ეყრდნობიან, არამედ გაწვრთნილი მეცნიერების დახმარებით შექმნილ ისეთს ხელოვნურ ორგანიზაციას, რომლის წყალობითაც მთელი ხალხი ძალდატანების ქვეშ არის მოქცეული და რომლისაგანაც შეუძლებელი ხდება განთავისუფლება“. მთავრობა არის ორგანიზაციული ძალდატანება, ხოლო სახელმწიფოს მასშტაბით მოწყობილი ორგანიზაციული ძალდატანება ყველაზე უფრო საშინელი ბოროტებაა. რაზე ეყრდნობა ეს ორგანიზაცია? სასამართლოზე, ეკლესიებზე, პოლიციაზე, ჯარზე; ყველას ესმის ამ ორგანოების უარყოფითი მხარეები, მაგრამ იძულებული ხდებიან მათ დაემორჩილონ. ღარიბებს ესმით, რომ უსამართლობაა მემამულის ხელში მიწების თავის მოყრა, მაგრამ წინააღმდეგ თავიანთი ინტერესებისა, ინახავენ პოლიციასა და ჯარს, რომ დაიცვან მემამულეთა ბატონობა მიწაზე. ომებს იწვევს არა ხალხთა მტრობა, არამედ მდიდართა ინტერესები და მათი მთავრობები. „არ ყოფილა ისტორიაში არც ერთი ომი, რომელიც გამოწვეული არ ყოფილიყოს მთავრობათა მიერ, სრულიად დამოუკიდებლად

²⁴⁾ შეად. Е. Трубецкой: „Спор Толстого и Соловьева о государстве“ კრებულში: „О религии Льва Толстого“ გვ. 19—76, 1912 г.

ხალხის — სარგებლობისაგან, რომელთათვისაც ომი ყოველთვის საზარალოა“...²⁵⁾.

პატრიოტიზმი ტოლსტოისთვის არის მონობა: პატრიოტიზმი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით მხოლოდ იარაღი არის მთავრობისათვის, რომ მიაღწიოს თავის ბოროტ მიზნებს...²⁶⁾.

ამრიგად, ტოლსტოიმ მეტად მკაცრი ფერადებით დაგვიხატა თანამედროვე სახელმწიფო და უნდა ითქვას საუცხოვოთ გამოაშკარავა მისი სოციალ-კლასიური სახე. სახელმწიფო ტოლსტოიმ განიხილა, როგორც ანარქისტმა და მორალისტმა და მასში ბოროტების მეტი ვერაფერი დაინახა. მაგრამ ტოლსტოი, როგორც ანარქისტი უარყოფს ყოველგვარ სახელმწიფოს და მასში ვერავითარ დადებით მხარეს ვერ ვპოულობს.²⁷⁾ ტოლსტოისათვის ყოველგვარი სახელმწიფო არის ბოროტება და მასთან შერიგება შეუძლებელია. აქედან წარმოსდგება სახელმწიფოს უარყოფა, ანარქიზმი და აპოლიტიზმი ტოლსტოის მოძღვებაში. ტოლსტოი თავის სწორად დაწყებულ ანალიზს სახელმწიფოს ცნების შესახებ შუაზე სწყვეტს და სრულიად არ ესმის, რომ პროლეტარული სახელმწიფოს ისტორიული დანიშნულება სხვა არის, ვინემ ბურჟუაზიული სახელმწიფოსი დაჩაგრული კლასისათვის ახალი ტიპის სახელმწიფო აუცილებელი იარაღს წარმოადგენს თავისი თავის განსათავისუფლებლად. ტოლსტოისათვის ასეთი რაღ გაუგებარი და მორალურად მიუღებელი არის. ამიტომ იგი სახელმწიფოს გარეშე ცდილობს ცხოვრების გადახალისების პირობების მოძებნას.

ასეთი არის საერთოდ ტოლსტოის შეხედულება თანამედროვე წყობილებაზე და კერძოდ სახელმწიფოზე. როგორც დავინახეთ, მთავარი გამოსავალი წერტილი ტოლსტოის სოციალური მოძღვრების კრიტიკული ნაწილისა არის რელიგია და ზნეობა: თანამედროვე წყობილების არც ერთი ფორმა არ შეესაბამება ზნეობის ძირითად პრინციპის მოთხოვნილებას და ამიტომ ტოლსტოის შეგნებით უნდა მოისპოს ასეთი წყობილება და აშენდეს ახალი თანახმად რელიგიის და ზნეობის მოთხოვნილებებისა.

²⁵⁾ ტოლსტოი: ტ. XVIII გვ. 166.

²⁶⁾ იქვე.

²⁷⁾ ტოლსტოი ამბობდა: „Христианство, взятое в его истинном значении, отрицает государство, оно отрицает всякое правительство“ (Эльцбахер: Анархизм, გვ. 198, 1907 წ.).

3. ლ. ტოლსტოის სოციალური იდეალები.

როგორი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას მოითხოვს ტოლსტოი, როგორი არის მისი სოციალური იდეალები? უნდა ვსთქვათ, რომ ტოლსტოი არ იძლევა გარკვეულ გეგმას ახალი წყობილების შესახებ, არ ცდილობს კონკრეტულად და დეტალურად აგვიწეროს ეს ახალი წყობილება, როგორც ამას იძლეოდნენ დიდი უტოპისტები. ტოლსტოი ფიქრობს, რომ მუშა ხალხის განთავისუფლება მონობისაგან საუკეთესო წყობილების პროექტებით ვერ მოხდება²⁸⁾ ამისათვის საჭიროა მხოლოდ ახალი რელიგიური მოძღვრების გავრცელება ხალხში. ამით ტოლსტოის შეხედულება ძლიერ განსხვავდება დიდი უტოპისტების შეხედულებისაგან.

რა კი ტოლსტოი უარყოფდა „საუკეთესო მომავალი წყობილების პროექტების“ მნიშვნელობას მშრომელთა განთავისუფლების საქმეში, ამიტომ არც ცდილობდა ასეთი პროექტი მოეცა. მაუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია მოვხაზოთ ტოლსტოის სოციალური იდეალების მთავარი კონტურები. 1896 წ. ტოლსტოი სწერდა:

„არსებული წყობილება უნდა დაირღვეს... უნდა მოისპოს შეჯიბრებაზე აგებული წყობილება და შეიცვალოს კომუნისტურით; უნდა მოისპოს კაპიტალისტური წყობილება და შეიცვალოს სოციალისტურით; უნდა მოისპოს მილიტარიზმის წყობილება და შეიცვალოს საერთო განიარაღებითა და არბიტრაჟით; უნდა მოისპოს ვიწრო ნაციონალიზმის სეპარატიზმი და შეიცვალოს კოსმოპოლიტიზმითა და საერთო ძმობით; უნდა მოისპოს ყოველგვარი დესპოტიზმი და შეიცვალოს თავისუფლებით; ერთი სიტყვით, უნდა მოისპოს ძალდატანება და შეიცვალოს ადამიანთა თავისუფლებით და სიყვარულის ერთიანობით“²⁹⁾.

როგორც დავინახეთ ტოლსტოის არ სწამდა მატერიალური პროგრესი, იგი მთლიანად და სავსებით უარყოფდა თანამედროვე ტექნიკასა და ეკონომიურ მიღწევებს; მაშასადამე, ტოლსტოის არ სწამდა ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის საშვალებით და რომელზედაც უნდა აშენდეს სოციალისტური წყობილება. ტოლსტოიმ ასეთი ეკონომიურ-ტექნიკური საფუძვლები გამოაცილა თავის სოციალურ პროექტებში სოციალისტურ საზოგადოებას; საბაგიეროდ მისი აშენება მოინდომა კაპიტალიზმის წინააღმდეგობის ნატურალური მეურნეობის—რასაკვირველია, გლეხური მეურნეობის—პრიმიტიულ საფუძვლებზე.

²⁸⁾ ლ. ტოლსტოი: ტ. XX, გვ. 281.

²⁹⁾ ლ. ტოლსტოი: XVIII, გვ. 202.

მაგრამ, უარყოფდა რა მატერიალური პროგრესის შესაძლებლობას და სასურველობას, ტოლსტოი სამაგიეროდ მთელი თავის მდიდარი ერუდიციითა და გენიალური მხატვრული ფანტაზიით ქადაგებდა მორალური პროგრესის უცილებლობას*). მორალური პროგრესი ტოლსტოის აზრით შეიძლებოდა ნამდვილი ქრისტიანიზმის შეთვისებისა და გავრცელების ნიადაგზე, ხოლო მორალური პროგრესი კი აუცილებლად, თავისი შინაგანი განვითარების გზით იწვევს მთელი საზოგადოებრივი შენობის შეცვლასა და სამართლიანი, მორალურად გამართლებული წყობილების დამყარებას. როგორც თავისი სოციალური მოძღვრების ნეგატიურ ნაწილში ტოლსტოიმ მოიმარჯვა რელიგიისა და მორალის პრინციპები და ამ საზომით გააკრიტიკა კაპიტალისტური და ექსპლოატატორული საზოგადოებრივი წყობილება, აგრეთვე თავის მოძღვრების პოზიტიურ ნაწილშიაც ტოლსტოიმ იგივე პრინციპები მოიმარჯვა.

„დადგება დრო და იგი უკვე მოდის, როდესაც ცხოვრების ქრისტიანული საფუძვლები თანასწორობა, ხალხთა ძმობა, დოვლათის საერთო კუთვნილება, ბოროტების წინააღმდეგ ძალით არ ბრძოლა — გადაიქცევიან იმდენად ბუნებრივ და უბრალო მოვლენებად, როგორათაც დღეს ჩვენ გვეჩვენება ოჯახური, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლები. არც ადამიანსა და არც კაცობრიობას არ შეუძლიათ უკან დაბრუნება. საზოგადოებრივი, ოჯახური, სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაგება უკვე განვლო ხალხმა. და საჭიროა წინ წასვლა და შეთვისება შემდეგი შეხედულებებისა, რაც უკვე ხდება ამ ჟამად“³⁰⁾.

ტოლსტოი ქრისტიანული ანარქიზმის ნიადაგზე სდგას: იგი უარყოფს სახელმწიფოსა და ყოველგვარ ძალდატანებისა და ავტორიტეტის მატარებელ ორგანოს; მისი იდეალი თავისუფალ წვრილმწარმოებელთა თავისუფალი კავშირი არის. ამ მხრივ მისი გამოსავალი წერტილი არის კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ნატურალური მეურნეობა. მან წვრილი მწარმოებლის — პატრიარქალური გლეხის საზომით განიხილა კაპიტალისტური მეურნეობა და უარყო იგი, როგორც განმანადგურებელი და დამრღვევი წვრილ მწარმოებლის დამოუკიდებელი არსებობისა, მეორეს მხრივ. ტოლსტოიმ ამავე წვრილი მწარმოებლის საფუძველზედ ააგო მომავალი წყობილების შენობა. ცნობილია, რომ მარქსისტული სოციოლოგიის საზომით კომუნისტური საზოგადოება ნატურალური მეურნეობის ნიადაგზედ იქნება აგებული.

*) იხ. Д. Квитко: „Философия Толстого“ 1928 წ.

30) ლ. ტოლსტოი: ტ. XV.

ლი; მაგრამ იგი იქნება უმაღლესი განვითარებისა და ტექნიკური წარმატების ნაყოფი—თავისი შინაარსით განსხვავებული კაპიტალიზმის წინააღმდეგობის ნატურალური მეორეობისაგან. ტოლსტოის იდეალი ასეთი ნატურალური მეორეობა არ არის. ტოლსტოი იყურება უკან და კაპიტალიზმის წინაპერიოდში ეძებს საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო იდეალებს; იგი პატრიარქალური წყობილების იდეალიზაციას ახდენს: ამ მხრივ ტოლსტოის სოციალური მოძღვრება აშკარა რეაქციონურია და კაცობრიობას დრომოქმულ-დახავსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობისაკენ მოუწოდებს. მარქსიზმს სოციალიზმი კაპიტალიზმის შემდეგ ისტორიულად აუცილებელ ეტაპად მიაჩნია; ტოლსტოი სოციალიზმს კაპიტალიზმის წინაპერიოდის განახლებულ ნატურალურ მეორეობის საფუძვლებზე აგებს; მარქსი პროლეტარულ თვალსაზრისს ედ სდვას, რომელიც კაპიტალიზმს აკრიტიკებს მისი დამსხვრევისა და უმაღლეს საზოგადოებრივ ფრომაში გადასვლის მიზნით; ტოლსტოი ნატურალური მეორეობის წვრილ მესაკუთრეს გამოსახავს, რომელიც, კაპიტალისტურ ურთიერთობას აკრიტიკებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობის პატრიარქალური მეორეობის აღდგენის მიზნით. პირველი ისტორიული განვითარების საფუძველს ეყრდნობა და რევოლუციონურია, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკაში, ისე პოზიტიურ დასკვნებში; მეორე—ოპოზიციონურ-პროტესტანტულია არსებულ წყობილების კრიტიკაში, ხოლო რეაქციონური-პოზიტიურ ნაწილში.

ყველაზე უფრო რელიგიურად ტოლსტოიმ ეს თავისი წვრილი გლეხური მწარმოებლის თვალსაზრისი მარქსიზმის საწინააღმდეგოდ მიმართულ დებულებებში გამოსახა³¹). თვითმპყრობლობისაგან აკრძალულს თავის ცნობილ წიგნაკში „К рабочему народу“ (1902) ტოლსტოი სწერდა:

„სოციალისტური მოძღვრება (ე. ი. მარქსიზმი ს. ხ.) ამბობს, რომ ადამიანთა ბედნიერებისათვის საჭიროა არა ასეთი ცხოვრება მცენარეთა და ცხოველთა შორის, სადაც შესაძლებელი არის ადამიანმა მიწის შრომით თვითონვე დააკმაყოფილოს თითქმის მთელი თავისი აუცილებელი მოთხოვნილებები, არამედ ცხოვრება სამრეწველო ცენტრებში მოწამლული ჰაერით, მაგრამ სულ უფრო და

³¹) სოციალურ საკითხებს ტოლსტოი ეხებოდა შემდეგ წერილებში: „Работство нашего времени“, „Где выход“, „Неужели это так надо“, „Единственное средство“, „Об общественном движении в России“, „Как освободиться рабочему народу“, „Великий грех“, „Что же делать“, რომელთა უმეტესობა საზღვარგარეთ დაიბეჭდა.

უფრო გაფართოებული მოთხოვნილებებით, რომელთა დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ფაბრიკებში უაზრო შრომით. ფაბრიკული ცხოვრებით მოხიბლულ დაბნეულ მუშებს სწამთ ეს და მთელ თავიანთ ძალღონეს ანდომებენ საცოდავ ბრძოლას კაპიტალისტებთან სამუშაო საათების შემცირებასა და კაპეიკების მომატებას და ფიქრობენ, რომ ისინი ამით აკეთებენ დიდ საქმეს, მაშინ, როდესაც ერთად ერთი დიდი საქმე, რომელსაც მიწიდან მოწყვეტილი მუშები უნდა ანდომებდნენ მთელ თავიანთ ძალღონეს, იმაში მდგომარეობს, რომ გამონახულ უნდა იქნეს საშუალება ბუნების წიაღში ცხოვრებისათვის დასაბრუნებლად და მიწადმოქმედების შრომაზე გადასასვლელად... ასე რომ მუშებსაც, რომლებმაც უკვე დასტოვეს მიწა და საფაბრიკო შრომით სცხოვრობენ ესაჭიროებათ არა კავშირები, ამხანაგობები, გაფიცვები, ბავშური სეირნობა 1 მაისს დროშებითა და სხვა, არამედ მხოლოდ ერთი: გამონახვა საშვალეებისა საფაბრიკო მონობისაგან განსათავისუფლებლად და მიწის შრომაზე გადასასვლელად“.³²⁾

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ტოლსტოის არ ესმის საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიური კანონი და მაშასადამე, პროლეტარიატის წარმოშობის ეკონომიური აუცილებლობა კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში; ტოლსტოის არაფერი არ გაეგება და არც სწამს თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობისა და მისი ფორმების. მაგრამ, მეორეს მხრივ, ტოლსტოის იდეალები სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების ვითარებას და პირდაპირ რეაქციონურია: უარყოფა ტექნიკის, ეკონომიური წარმატებისა, უმაღლესი სამეურნეო ფორმების და იდეალიზაცია ნატურალური მეურნეობის პატრიარქალური ფორმებისა, თავისი დამოუკიდებელი წვრილი მესაკუთრით, პირდაპირ გაუმართლებელია პროგრესის საზომით და განუხორციელებელი რეაქციონური უტოპიაა ისტორიულად.

ტოლსტოი კაპიტალისტური წყობილების მკაცრი კრიტიკოსი იყო, მაგრამ მისი სოციალური იდეალები ძლიერ შორს იდგა თანამედროვე მუშათა მოძრაობის შინაარსიდან. სამართლიანად სწერდა როზა ლუქსემბურგი:

„კრიტიკა, რომელიც ტოლსტოიმ გაუკეთა არსებულ წყობილებას,—რადიკალურია; ამ კრიტიკამ არ იცის არავითარი საზღვრები, უკან დახევა, კომპრომისები. ტოლსტოიმ არ იცის აგრეთვე არავითარი საშვალეო გზები, არავითარი პალიატივები სოციალური

³²⁾ Л. Толстой „К рабочему народу“, гл. 5—13.

ბოროტების შესამცირებლად... ტოლსტოის სოციალური კრიტიკა და სოციალური შეხედულებანი აყენებენ მას სოციალიზმის რიგებში, დიდ მოაზროვნეთა სახელოვან ავანგარდთა რიგებში, რომელნიც უნათებენ თანამედროვე პროლეტარიატს მისი განთავისუფლების ისტორიულ გზას. მიუხედავად ამისა, არავინ არ ყოფილა ისე შორს თანამედროვე მუშათა მოძრაობიდან, მისი შინაარსიდან, როგორც ტოლსტოი³³⁾.

4. ლ. ტოლსტოის ბრძოლის მეთოდი.

არანაკლებ გაუგებრობას იჩენს ტოლსტოი თავისი სოციალური იდეების რეალურად განხორციელების მეთოდის გამომუშავების საკითხში. როგორი მეთოდით, როგორი საშვალებებით და გზებით ცდილობს ტოლსტოი თავისი სოციალური მიზნების განხორციელებას?

ტოლსტოის სოციალური მოძღვრება შემუშავდა სასტიკი რეაქციის პერიოდში—80 წლებში, როდესაც სახელოვან „ნაროდნაია ვოლიას“ რევოლუციონური და ტერორისტული ბრძოლა დამარცხდა და საზოგადოება მწვავე სულიერმა განწყობილებამ შეიპყრო. ტოლსტოის მოძღვრება პირდაპირ მიმართული იყო ნაროდნიკული მოძრაობის ყველა მიმდინარეობათა ტაქტიკის წინააღმდეგ; იგი ძირიანად უარყოფდა რევოლუციონურ მეთოდს და მშვიდობიან საშვალებათა ნიადაგზე იდგა. შემცდარია ის დებულება თითქოს ტოლსტოი არ ებრძოდეს ბოროტებას: არავის რუსეთის ცნობილ კლასიკოსთა შორის ამ ბოროტების წინააღმდეგ არ უბრძოლია იმდენი, რამდენიც იბრძოლა ტოლსტოიმ. მაგრამ მისი ბრძოლის ტაქტიკა იყო მშვიდობიანი, ქადაგებაზე დაყრდნობილი და ადამიანის „შინაგან განწყობილების გარდაქმნისაკენ“ მიმართული. ტოლსტოის ფორმულა: „ბოროტებას არ უნდა ეწინააღმდეგო“ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში შემუშავდა და არსებითად მიმართული იყო რევოლუციონური ტაქტიკის წინააღმდეგ. ლ. ტოლსტოი უკიდურესობაში გადავარდა რომ გამოეხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციონურ მეთოდისადმი. ტოლსტოი ებრძოდა ბოროტებას, მაგრამ არა ძალით, არამედ მორალური ზეგავლენის გზით. მაგრამ განვიხილოთ უფრო ახლო ტოლსტოის მეთოდი, იგი საინტარესოა და მასთანვე საგულისხმიერო მრავალი მხრივ.

³³⁾ P. Люксембург: „Лев Толстой“ კრებულში: „О Толстом“ გვ. 125-6 1928 წ.

ტოლსტოის კარგად ესმოდა, რომ გაბატონებული კლასები და მათი მთავრობა თავისით, საკუთარი შეგნებით არ აიღებდნენ ხელს თავიანთ ბატონობაზე და არ დაარღვევდნენ არსებულ წყობილებას. ტოლსტოი სწერდა:

„მიწის განთავისუფლებას მემამულეთა ბატონობისაგან მთავრობა არასოდეს არ დაუშვებს იმიტომ, რომ მთავრობის შემადგენლობის დიდი უმეტესობა მიწადმფლობელები არიან და ამ მიწადმფლობელობაზე არის დამყარებული მთელი მათი არსებობა. მათ იციან ეს და ამიტომ მთელი თავიანთი ძალღონით ცდილობენ დაიცვან ეს უფლება... ასევე ძნელი არის გადასახადებისაგან განთავისუფლება. გადასახადებით სცოცხლობს მთელი მთავრობა, სახელმწიფოს მეთაურიდან — მეფიდან დაწყებული უკანასკნელ პოლიციელამდე. და ამიტომ გადასახადების მოსპობა თვით მთავრობის მიერ ისევე უაზროა, როგორც ის, რომ ადამიანმა უკუაგდოს თავისი არსებობის ერთად ერთი წყარო“³⁴).

მაშ თუ მთავრობა და გაბატონებული კლასები თავისი სურვილით არ აიღებენ ხელს თავიანთ ბატონობაზე, გამოსავალი ერთადერთი შეიძლება იყოს: რევოლუციონური ბრძოლა არსებულ წყობილების დასამხობად; მაგრამ ტოლსტოი მაინც სხვაგვარად ფიქრობს: მისი ტაქტიკა არა რევოლუციაში გამოიხატება, არამედ სხვა რამეში. აქაც, ტოლსტოის მეთოდის შემუშავების საქმეზე გადამჭრელი როლი ითამაშა რელიგიურმა და მორალურმა თვალსაზრისმა. ტოლსტოი პრინციპიალურად უარყოფს რევოლუციონურ ტაქტიკას და მშვიდობიანი მორალური ზეგავლენის მოძიებას. 1904 წ. ტოლსტოი სწერდა თავის მოწაფე ჩერტკოვს:

„მთელი კაცობრიობის ისტორია სულ უფრო და უფრო გამოიხატება ძალის გონებრივი არგუმენტაციით შეცვლაში; რაც უფრო ნათელი ხდება საზოგადოებაში ძალის უაზრობა, მით უფრო უახლოვდება საზოგადოება ჭეშმარიტ თავისუფლებას“³⁵).

არა ძალით, არა რევოლუციით, არამედ „გონებრივი სინათლით“, შინაგანი ზნეობრივი ამაღლებით უნდა წავიდეს წინ კაცობრიობა. ამ საზომით ტოლსტოი ებრძოდა მუშათა მოძრაობის ყოველგვარ ფორმას, უარყოფდა ძალისადმი ძალის დაპირისპირებას, ებრძოდა რევოლუციონურ მეთოდს. ილია ნაკაშიძისადმი *) მიწე-

³⁴) Л. Толстой: „Где выход?“ გვ. 6-7.

³⁵) В. Чертков: „Наша революция“, გვ. 75, 1907 წ.

*) 90-ან წლებში და 20-ე საუკუნის დასაწყისში ტოლსტოის თავისი მიმდევრები გაუჩნდა საქართველოშიაც. ამ მხრივ აღსანიშნავი არის ი. ნაკაშიძე,

რილ წერილში იგი ურჩევდა გურიის გლეხობას ემოქმედნათ ქრისტეს კანონების მიხედვით. გადაეცით გურიის გლეხობას, სწერდა ტოლსტოი, რომ „ხალხის მთელი უბედურება იმისგან წარმოსდგება, რომ ხალხი დახმარებასა და თავისი ცხოვრების მოწყობას მოელის სხვისგან, ხელისუფლებისაგან; მაგრამ, როდესაც ხედავენ, რომ მთავრობისაგან მათ არა აქვთ დახმარება და მშვიდობიანობა, იწყებენ ხელისუფლების ძაგებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას. არსებითად კი არ არის საჭირო არც ერთი და არც მეორე, არც დახმარების ლოდინი მთავრობისაგან და არც მათზე ჯავრობა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ“³⁶⁾

ბოროტებისაგან არც არაფერს არ უნდა მოელოდე და არც უნდა ებრძოდე მას იარაღით ხელში: ბოროტებას უნდა გაუდგე გვერდზე და თავისი საკუთარი თავის ამალღებით და „შინაგანი განათებით“ უნდა ცდილობდე განახლებისათვის მოღვაწეობას.

ტოლსტოი ორი მოსაზრებით უარყოფს რევოლუციონურ მეტოდს: ძალით ძალის მოსპობა შეუძლებელია, ერთი ძალის ადგილს მეორე ძალა დაიჭერს, ისეთივე უარყოფითი და ბოროტი, როგორც პირველია... „ეს საშვალეა (რევოლუციონური ს. ხ.), არამც თუ ვერასოდეს ვერ აღწევს თავის მიზანს, არამედ ყოველთვის აუარესებს, ვინემ აუმჯობესებს მუშების მდგომარეობას“³⁷⁾. მეორეს მხრივ, რევოლუციონური დაპირისპირება უფრო აბოროტებს მთავრობას და აძლევს მას საბაბს სიბოროტისათვის; მხოლოდ განზე გადგომით და თავის საკუთარ თავის ამალღებაზე ფიქრით შეიძლება დაეკარგოს სახელმწიფოსა და ბოროტებას მოქმედების აზრი, მოხდეს, ასე ვსთქვათ, მისი თვითგაუქმება.

...„Только одно непротивление прекращает зло, помещает его в себе, нейтрализует его, не позволяет ему итти дальше, как оно неизбежно идет... Для уничтожения правительственного насилия, — сწერს მეორე წერილში ტოლსტოი, — есть только одно средство: воздержание людей от участия в насилии... В какой же степени и когда осуществится в каждом обществе и во всем мире замена насилия разумным и свободным соглашением, утвержденным обычаем, — будет зависит от силы и ясности

რომელიც პირადი ნაცნობი იყო ტოლსტოისა და მასთანვე მისი მიმდევართა წრეც ყავდა ჩვენში. ვა-ან წლებში არ. ჯორჯაძეც ტოლსტოის იდეების მიმდევარი იყო. ამის შესახებ „Северный Вестник“-ში (1898 წ.) მას წერალებიც აქვს მოთავსებული საბუელის პსევდონიმით.

³⁶⁾ ლ. ტოლსტოი: ტ. XX, გ. 228.

³⁷⁾ Л. Толстой: „К рабочему вопросу“ გვ. 4.

сознания людей и от количества отдельных людей, усвоивших это сознание“ ³⁸⁾).

ასეთი არის ტოლსტოის ტაქტიკის ძირითადი შინაარსი. ტოლსტოი ჩამოთვლის მთელ რიგ მომენტებს, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ქრისტიანულად განვითარებული და მორალურად ამაღლებული პიროვნება თავის მოღვაწეობის დროს: მან არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ძალდატანებაში, არ უნდა წავიდეს ჯარში, არ უნდა გადაიხადოს გადასახადი, არ უნდა ისარგებლოს სასამართლოთი და სახელმწიფოს არც ერთი აპარატით, არ უნდა დაექირავოს მემამულესა და ფაბრიკანტს, არ აიღოს იჯარა და სხვ. რომ მუშები, — განაგრძობს ტოლსტოი — შესაფერისად განვითარდებოდნენ და შეიგნებდნენ, რომ უაზრობა და მიუღებელია მთავრობისა და მდიდრების სამსახური, რომ ისინი „თავისუფალი“ დამოუკიდებელი მოქმედების გზას დაადგებოდნენ, — მთელი საზოგადოებრივი წყობილება სრულიად შეიცვლებოდა ყოველგვარ ძალდატანებითი გადატრიალების გარეშე. ³⁹⁾ თავის ცნობილ წიგნში ტოლსტოი სწერს:

„იმის შესახებ, რომ ქრისტიანი არ უნდა გახდეს ჯარის კაცად... მე არა ერთხელ მიწერია. საკმარისი არის რომ თქვენ, მუშები, არ წახვიდეთ ჯარში, მიწის მფლობელობა მემამულეებისათვის გადაიქცეს არამც თუ უსარგებლო, არამედ შეუძლებელიც და მათი მიწა გახდეს საერთო საკუთრებად... მე ვქადაგობ არა გაფიცვებს, არამედ იმას, რომ მუშებმა უარი სთქვან ჯარში მონაწილეობის მიღებაზე, — რომელიც ძალდატანებას ახდენს თვითონ მუშებზე, — და მემამულეთა მიწებზე მუშაობაზე და მათზე დაქირავებაზე არა მხოლოდ იმისათვის, რომ ეს მუშებისათვის სასარგებლო არ არის და მათს დამონებას იწვევს, არამედ იმისათვის, რომ ეს არის ცუდი საქმე, რომლისაგანაც თავს უნდა იკავებდეს ყოველი ადამიანი... შეიძლება ამას ისიც მოყვეს, რომ... მთავრობა იძულებული შეიქმნეს შესწყვიტოს მემამულეთა კერძო საკუთრების დაცვა და მემამულეთა მიწა თავისუფალი გახდეს... და ბოლოს ისიც შეიძლება, რომ მთავრობა შეიგნებს რა მიწის განთავისუფლების აუცილებლობას, საჭიროდ სცნობს... კანონით უარყოს მიწის საკუთრება“ ⁴⁰⁾.

არ არის დღეს საჭირო ტოლსტოის ტაქტიკის უარყოფის შესახებ ვრცლად წერა: იგი სავსებით და საფუძვლიანად უარყო ის-

³⁸⁾ „Работство нашего времени“, გვ. 74.

³⁹⁾ В Чертков: „Наша революция“, გვ. 44.

⁴⁰⁾ „К рабочему народу“.

ტორიულმა განვითარებამ, პროლეტარული რევოლუციის ვითარებამ, როგორც უვარგისი და რეაქციონური მეთოდი.

ტოლსტოის სოციალურ მოძღვრებაში თავმოყრილია როგორც რეაქციონური, ისე პროგრესიული ელემენტები. სად უნდა ვეძიოთ ტოლსტოის ასეთი გაორების სოციალ-კლასიური მიზნები? ლენინმა ამ საკითხზე 20 წლის წინად უპასუხა: წვრილ-ბურჟუაზიული გლეხის მდგომარეობაში კაპიტალიზმის განვითარების პირობებში: თვით-მპყრობელურმა რეფორმამ და კაპიტალიზმის განვითარების მძიმე პირობებმა გაძარცვა გლეხობა, გაანადგურა იგი და მოუსპო არსებობის საშვალეობა. აქედან წარმოსდგა გლეხის სიძულვილი არსებულ წყობილებისადმი, რაც უდავოდ ასახა და გამოამჟღავნა ტოლსტოიმ თავის ნაწერებში.

„მეორეს მხრივ—სწერს ლენინი—გლეხები, რომელნიც ისწრაფოდნენ ცხოვრების ახალ ფორმებისაკენ, სრულიად შეუგნებლად, პატრიარქალურად, მახინჯად ეპყრობოდნენ იმას, თუ როგორ უნდა იქნეს მოპოებული თავისუფლება, ვინ უნდა უხელმძღვანელოს მათ ამ ბრძოლაში, როგორ დამოკიდებულებაშია გლეხური რევოლუციის ინტერესებისადმი ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რატომ არის საჭირო ძალდატანებით ჩამოგდება მეფის მთავრობისა მემამულეთა მიწადმფლობელობის გასანადგურებლად. გლეხობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ ასწავლა მათ სიძულვილი მემამულისა და მოხელისადმი, მაგრამ ვერ ასწავლა და არც შეეძლო ესწავლებია, თუ სად ეპოვა პასუხი ყველა ამ კითხვებზე“.⁴¹⁾ ტოლსტოის იდეებიც გამოხატავენ გლეხური მოძრაობის სისუსტეს, წვრილ-ბურჟუაზიული მესაკუთრის სიფრთხილესა და რეაქციონურ მიდრეკილებებს.

ტოლსტოის მოძღვრება ეკუთვნის წარსულს: დღევანდელს პირობებში ტოლსტოიზმს გამოცლილი აქვს ნიადაგი, იმდენად, რამდენადაც გლეხობამ თავისი მოკავშირე პროლეტარიატში ჰპოვა და უკანასკნელმა იგი რევოლუციონურ მოძრაობაში ჩაითრია.

მაგრამ წარსულში ტოლსტოიმ თავისებური რევოლუციონური და პროგრესიული როლიც ითამაშა იმდენად, რამდენადაც იგი უარჰყობდა არსებულ წყობილებას და ებრძოდა მემამულე თა მთავრობას.

10. X. 28 წ. ტფილისი.

⁴¹⁾ ნ. ლენინი. ტ. XI, 1. გვ. 116.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქ. რ—ლი

ჯ. ბოკაჩიო. დეკამერონი. თ. სახოკიას თარგმნილი იტალიურით. ზ. 6 X 10. გვ. 244. ფ. 2 მ. სახელგამი. 1929 წ.

ბოკაჩიო მამა არა მარტო იტალიური პროზისა, რომელიც პირველად მან აიყვანა უდიდეს სიმაღლეზე. იგია აგრეთვე მამათმთავარი ნოველისა მთელს ევროპულ ლიტერატურაში. მისი სხარტი, სადა, მხატვრული მოთხრობები გადათარგმნილია ყველა კულტურულ ენაზე. ბოკაჩიო ამტყუნებს უაილდის ცნობილ აფორიზმს: კლასიკოსები ეს ის მწერლებია, რომელთა სახელი ყველამ იცის და რომელთაც არავინ კითხულობს. მე-XIV საუკუნეში დაწერილი მისი „დეკამერონი“ ახლაც ფრიად სახალისო საკითხავია და კერძოდ ამ ორ წელიწადში ქართულად მისი ნოველები ორჯერ გამოვიდა.

„დეკამერონში“ თავმოყრილია ასი ნოველა, რომელსაც ათი დღის განმავლობაში (აქედანაა თვით ნაწარმოების სახელი) უამბობენ ერთმანეთს გასართობად შვიდი ქალი და სამი ვაჟი (სხვათა შორის ამ მანერით არის დაწერილი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“). ამ ნოველებში ნათლად არის ასახული რენესანსის წინა ხანის იტალიური ქალაქების ცხოვრება, როდესაც შუა საუკუნეების ასკეტიზმს წყალი შეუდგა და ხორციულმა მიმართულებამ თავისი აპოლოგეტები ჰპოვა. ბოკაჩიო გონებამაზვილი და მხიარული მწერალია და დაცინის განსაკუთრებით სამღვდელთა, რომელიც თითქმის ყოველგან მატყუარად გამოჰყავს. იგი თხრობაში ფრიად გაბედულია და მისი ნოველები განსაკუთრებით სიყვარულის შესახებ) ხშირად ცინიზმის ზღვარამდე მიდის (მაგალითად ნოველაში „ნათლიმამა პიეტროს ჭაკი“. მაგრამ საერთოდ იგი თავის მსუბუქ იუმორს არ ჰღალატობს და მკიობველს იზიდავს.

თ. სახოკიას მიერ თარგმნილი ნაწილი „დეკამერონისა“ უმთავრესად ესაა მეცხრე დღის ნოველები, რომელნიც სიყვარულს ეხებიან (30 ნოველა). „დეკამერონის“ შესახებ მთლიანი წარმოდგენის შესამუშავებლად, ცხადია, მარტო ეს არ კმარა, ვინაიდან ბოკაჩიოს აქვს ნოველები, სადაც იგი იდეალურ და უფრო მაღალ გოდნობებს უმღერის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ნაწილი მაინც ყველაზე დამახასიათებელია ბოკაჩიოს სტილის და საერთოდ წერის მანერისა. პატივცემულ თედოს წიგნი უთარგმნია გულმოდგინებით და სიყვარულით—კარგი ქართულით, რომელიც თავისი იერით საბას არაკებს მოგვაგონებს. მრავლად აქვს მთარგმნელს ისეთი სიტყვები, რომელიც თანამედროვეობისათვის უცხოა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო შუა საუკუნეების და განსაკუთრებით ნოველებში ასახული სამღვდელთა ცხოვრების კოლორიტის დასაცავად.

სახელგამისაგან წიგნი ლამაზად არის გამოცემული და შიგ მოთავსებულია „დეკამერონის“ საუკეთესო გამოცემებიდან გაღმთლებული სურათები. წიგნს დართული აქვს აგრეთვე მთარგმნელის მოკლე წინასიტყვაობა. სამწუხაროდ, მდარეა ქალღმერთი და ზოგჯერ ნაბეჭდი ერთი-ერთმანეთში გადის. კორექტურული შეცდომები ნაკლებადაა.

Z.

პანაიტ ისტრატი. ქართლ თურინჯი. თარგმანი ფრანგულით, მ. ჯავახიშვილისა. ზ. 5 X 8, გვ. 183. ფ. 80 კ. სახელგამი. 1929 წ.

პანაიტ ისტრატის ტყუილად როდი უწოდებენ ბალკანელ გორკის. მისი მოთხრობების თბილესი გორკისებური „ფსკერის“ ცხოვრება და იქაური დეკლასიური ელემენტების თავგადასავალია. განსხვავება ისაა, რომ პანაიტ ისტრატი ასწერს არა „ნაკაცარებს“, არამედ იმ ადამიანებს, რომელნიც ამ ფსკერში დაბადებულან და აღზრდილან. ისევე როგორადაც გორკის, პ. ისტრატის ბევრი რამ შეაქვს მოთხრობაში სუბიექტიურად განცდილი, ელემენტები თავისი პირადი თავგადასავალიდან და თითქმის ყოველთვის პირველი პირით სწერს.

წინამდებარე მოთხრობაში აწერილია ქალაქ ბრაილოს სამი ახალგაზრდას თავგადასავალი. არაკი ფრიად სადაა და უპრეტენზიო, მაგრამ დაწერილი რომანტიული სიყვარულით, თბილი გრძნობით და სადა სტილით. მისი გმირები დაუდგვარნი, ტემპერამენტუანები არიან და სწორედ აქედან წარმოსდგება მათი ტრაგიზმიც: ცხოვრება სასტიკია და ერთს ჭკუაზე შეარყევს, მეორეს ნაკაცარად აქცევს. ისტრატის ფრიად დამაჯერებლად აქვს აწერილი ერთსა და იმავე დროს ორის სიყვარული პროსტიტუტკის მიერ, რომელიც მისი კალმის ქვეშ ისე ფაქიზდება, რომ მკითხველს ავიწყდება, რომ მას საქმე აქვს „ფსკერის“ ხალხთან. სწორედ ეს სისადავე და ძალდაუტანებლობა თხრობისა არის ისტრატის დიდი ღირსება.

მის. ჯავახიშვილის მიერ მოთხრობა ნათარგმნია მშვენიერი ქართული ენით. თითქოს სრულიად არა სჩანს, რომ თარგმანთან გაქვთ საქმე. ასეც უნდა იყოს: თარგმანი უნდა იყოს არა თარგმანი სიტყვებისა, არამედ გამოთქმის და აზრისა. აქა-იქ არის ზოგიერთი სიტყვა, რომელსაც ქართულად უფრო უკეთესი შესატყვისი მოებოება. მაგალითად—„გველს“ (ბავშვთა საფრენი)—ჩვენში ერქანს, ფრიალას უწოდებენ. უხერხულია აგრეთვე სიტყვა „ხალხის ნახირი“ (გვ. 5). მაგრამ ეს არის მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და საერთოდ თარგმანი დახვეწილი ქართულით შესრულებული, სიამოვნებით იკითხება.

სახელგამს ისტრატის წიგნი საუკეთესოდ გამოუცია. კარგია ქალაქი, შრიფტი და გარე კანი. სამწუხაროდ, კორექტურული შეცდომები საკმაოდ მოიპოვება, თუმცა აზრის დამახინჯებას ადგილი არა აქვს. ფასიც ხელმისაწვდომია.

ქ რ მ ნ ი კ ა .

= ქართველი მწერლები სრ. საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას, რომელიც გაიხსნა 8 აპრილს რუსთაველის თეატრში, მიესალმა ქართველი მწერლების დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ: გრ. რობაქიძე, ს. შანშიაშვილი, ვ. რუხაძე, ს. ეული, გ. გუჩიშვილი, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი და სხვ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით ყრილობას სიტყვით მიმართა ნ. მიწიშვილმა, პროლეტარული მწერლობის სახელით ს. ეულმა.